

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-13/2
1381

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

4. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ქურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1981

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»



თბილისი
ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ზოშტარია (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Мелкадзе В. И., Микеладзе И. С., Путқарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштария Т. С. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1981, № 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 **телефон**

გადაეცა წარმოებას 17.11.81; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.4.82; შეკვ. № 3532; ანაწყობის ზომა 7×11¹/₂; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,8; სააღრიცხვო-სავაგომცემლო თაბახი 7,9; უე 05487; ტირაჟი 900;

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ამხანაზ ლეონიდ ილიას ძე ბრძანებას

ეკონომიკა

ზ. ბურღული, ნ. ჯაღალაშვილი, ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია ფინანსების მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემაში	7
მ. ბერიძე, რეგიონალური ეკონომიკის ეფექტიანობის კრიტერიუმის შესახებ	20
ა. ბრეგვაძე, ლ. მინდორაშვილი, საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.).	29
დ. შანგელია, მეხილეობა საბჭოთამდელ საქართველოში	41
ბ. ალიაშვი, ეკონომეტრიკული მოდელების დამუშავებისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხი	57

სამართალი

ი. ბაჩიაშვილი, სოციალური პროცესები: მართვა და რეგულირება	68
ზ. ნადარევიშვილი, ძმის ადგილმამულის ფასდაკლებით ყიდვის უფლება ძველ ქართულ იურიდიულ პრაქტიკაში	79
ი. გომიზაშვილი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ზოგიერთი თავისებურება	84

რეცენზია, იხმორმაცნია, ძრონიკა

დიდი სჭულისკანონი და რუის-ურბნისის ძეგლისწერა	95
ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა რესპუბლიკური კონფერენცია	104
<u>ვალერიან ირაკლის ძე მელქაძის ხსოვნას</u>	109

უურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის 1981 წლის ნომრების შინაარსი	111
---	-----

17051

დ. ბერიძე, რეგიონალური ეკონომიკის ეფექტიანობის კრიტერიუმის შესახებ

СОДЕРЖАНИЕ

ТОВАРИЩУ ЛЕОНИДУ ИЛЬЧУ БРЕЖНЕВУ	5
---	---

ЭКОНОМИКА

Ш. И. БУРДУЛИ, Н. И. ЗЕДЕЛАШВИЛИ. Организация учета и контроля исполнения бюджета в автоматизированной подсистеме управления финансов	7
Т. А. БЕРИДЗЕ. О критерии экономической эффективности региональной экономики	20
А. И. БРЕГВАДЗЕ, Л. А. МИНДОРАШВИЛИ. Мясная и молочная промышленность Грузинской ССР в период Великой Отечественной войны (1941—1945 гг.)	29
Д. Л. ШЕНГЕЛИЯ. Плодоводство в досоветской Грузии	41
Т. М. АЛИЕВ. Некоторые вопросы разработки и применения экономических моделей	57

ПРАВО

И. М. БАЧИАШВИЛИ. Социальные процессы: управление и регулирование	68
Г. Н. НАДАРЕЙШВИЛИ. Отзвук одного архаического явления в древнегрузинской юридической практике	79
И. В. ГОДЗИАШВИЛИ. Некоторые особенности, характеризующие преступность несовершеннолетних	84

РЕЦЕНЗИИ, ИНФОРМАЦИИ, ХРОНИКА

Большой номаканон и Руис-Урбинское уложение	95
Республиканская конференция молодых ученых-экономистов	104

Памяти Валериана Ираклиевича Мелкадзе	109
--	-----

Содержание номеров журнала «Мацне» («Известия») серии экономики и права	111
---	-----



ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე!

დღეს, როცა სამოცდათხუთმეტი წელი შეგისრულდათ თქვენ, ჩვენს ამხანაგსა და მეგობარს, უგულთადაცა და მოგესალმებით და მსურვალედ გლოცავთ სამშობლოს მაღალ ჯილდოს.

ჩვენი ქვეყნის საბჭოთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტები თქვენი ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიც არი. კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, სოციალიზმის საფუძვლების შექმნა — ყველა ამ დიად, სიახლით არნახულ საქმეში არის ლენინური სკოლის კომუნისტის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარჯის წილი. ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა თქვენი, როგორც გამოჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელის, ნიჭი, მთლიანად შეიცანით მხედრული შრომაც. იმის პირველი ტრაგიკული დღიდან გამარჯვების სახელოვან დღემდე იმყოფებოდით მოქმედი არმიის რიგებში, გამრულად იბრძოდით ჰიტლერული დამპყრობლების წინააღმდეგ. თქვენი ცხოვრების გზის სახელოვანი ეტაპები გახდა სახალხო მეურნეობის აღორძინებაში მონაწილეობა, ლეგენდარული ყამირის ეპოპეა, მსოფლიოში პირველი კოსმოსური კვლევის ორგანიზაცია, სხვა დიდი მიღწევები.

სამოცი წლის წინათ დაიწყო თქვენი შრომითი მოღვაწეობა. აი უკვე ორმოცდაათი წელია თქვენ კომუნისტური პარტიის რიგებში ხართ. და მართლაც რომ სამართლიანია თქვენი სიტყვები: „...ჩემი სიცოცხლის ყოველი დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ჩვენი კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა ქვეყანა“.

თქვენ, საბჭოთა ხალხის სახელოვანი შვილი, მუდამ გამოირჩეოდით მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვით. ყოველი საკითხის მიღმა თქვენ ხედავთ ადამიანთა ინტერესებს და ამას სხვებსაც ასწავლით.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძე, ფლობთ იმის ხელოვნებას, რომ აერთიანებდეთ ადამიანებს, ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობისათვის განაწყობდით მათ. თქვენ მომადლებული ვაქვთ იშვიათი ნიჭი ხედავდეთ თითოეული ამხანაგის უნარს, პოულობდით მისი საუკეთესო გამოყენების გზებს.

ამა თუ იმ პრობლემას რომ წყვეტთ, ყოველთვის გაუბრძობართ უმაქნის აჩქარებას, ცდილობთ ჩასწვდეთ საქმის არსს. ღრმა იდეურობას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისადმი ერთგულებას უხამებთ შეურიგებლობას ყოველგვარ ჩამორჩენილობასთან, უძრაობასთან. ეს მუდმივ მოქმედებითს იმპულსს აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, მთელი ჩვენი პარტიის საქმიანობას.

აი უკვე ჩვიდმეტი წელია, თქვენ განმსაზღვრელი წვლილი შეგაქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკაში.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძე, მიგიძღვით ისტორიული დამსახურება სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დაძლევაში, პარტიასა და ქვეყანაში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნაში. სათუთი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, შეურიგებლობა ყოველგვარი უსამართლობისადმი, ნდობა და მომთხზვნელობა, გერგილიანობა და გაბედული ძიება — აი სტილი,



რომელიც ბატონობს ჩვენს საზოგადოებაში. ამ სტილს კომუნისტები სავსებით საფუძვლიანად უკავშირებენ თქვენს მოღვაწეობას, ლეონიდ ილიას ძვე.

თქვენი ინიციატივით განხორციელდა ფართო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს სისტემის შემდგომი განვითარება, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავება. ყოველივე ეს აისახა სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც სავსებით საფუძვლიანად შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვეობის თვალსაჩინო დემოკრატიული დოკუმენტი.

თქვენი მითითებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის კულტურის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის შესახებ ყველა მშრომელის მოქმედების პლატფორმა გახდა. კარგად არის ცნობილი, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებთ საზოგადოების სულიერი სავანძურის გამრავლებას, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარებისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ათწლეულის განმავლობაში უდიდეს ყურადღებას უთმობთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას და, ხართ რა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, მიაღწიეთ, რომ საბჭოთა ხალხის, მისი მეგობრებისა და მოკავშირეების მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის უზრუნველყოფილი.

ასმილობით ადამიანი ყველა კონტინენტზე კარგად გიცნობთ როგორც ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმის ქომაგს. თქვენ ბრძანდებით შემოქმედი სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების მშვიდობის პროგრამებისა, რომლებიც ახალ ჰორიზონტებს სახავს მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენს დროში არ არის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც თქვენსავით ესოდენ ბევრი რამ გაუკეთებინოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. თქვენს სახელთან არის დაკავშირებული საერთაშორისო დიპლომატიის შენელების პოლიტიკა, თქვენს დაუტყობელ თავდადებულ ბრძოლას მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა ადამიანები, ფართო ვაგებით ეცილება პლანეტის ყველა ხალხი.

ფასდაუდებელია ის, რაც ვააკეთებთ და კვლავაც ყოველდღიურად აკეთებთ ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის. სკკპ XXVI ყრილობაზე ახალი დიდი ამოცანები დაუსახებთ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა მშრომელს. მუშავდება სასურსათო, ენერჯეტიკული და სხვა პროგრამები, რომლებმაც უნდა დაგვაძლევინონ არსებული სიმწლენი და ეფექტიანად გაუწიონ სამსახური ხალხის კეთილდღეობას, მის ბედნიერებას.

გამოგხატავთ რა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა, ყველა საბჭოთა ადამიანის აზრებსა და გრძნობებს, სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძვე, ჯანმრთელობას, უშრეტ ენერჯიასა და სულიერ სიმხნევეს, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი პოლიტიკური სიბრძნე, თქვენი, როგორც ხელმძღვანელის, მდიდარი გამოცდილება კვლავაც ემსახურება ჩვენი პარტიისა და ხალხის ინტერესებს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმეს.

საბჭოთა კავშირის	სსრ კავშირის	სსრ კავშირის
კომუნისტური	შმაღლესი საბჭოს	მინისტრთა
პარტიის	პრეზიდიუმი	საბჭო
ცენტრალური		
კომიტეტი		

შალვა ბურღული, ნათელა ჯაფარიძე

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია ფინანსების მართვის ავტომატიზებულ ქვისისტემაში

სკკბ ცენტრალური კომიტეტის მიერ 1979 წელს მიღებული დადგენილება „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“, აგრეთვე სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ ითვალისწინებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისას არსებითად იცვლება ფინანსური კავშირთა თეორია, ძლიერდება ფინანსების და ბიუჯეტების დაგეგმვისა და მის შესრულებაზე კონტროლის როლი, განუზომლად იზრდება საფინანსო სამსახურების მნიშვნელობა. მოგების განაწილებისა და გამოყენების ახალი წესით წარმოებრივი ფონდების გადასახდელთა შემოღება, პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების ოპტიმალური დავალებების შესრულებით საწარმოთა კოლექტივების დაინტერესება, ეკონომიკური სტიმულის გაძლიერება და სხვა მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ფინანსური ბერკეტებით წარმოებაზე ზემოქმედებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და საბოლოო ანგარიშში ეროვნული შემოსავლების ზრდას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებმა სააღრიცხვო და კერძოდ, საკონტროლო-ეკონომიკური მუშაობის ნაწილში უნდა უზრუნველყონ საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 თებერვლის დადგენილება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, სამინისტროსა და უწყებას ამოცანად უსახავს აღრიცხვის კონტროლისა და რევიზიის სრულყოფის ფართო ღონისძიებების გატარებას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ახალ პირობებში საფინანსო ორგანოებმა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის საგეგმო და ანალიზური მუშაობა, გაამაჩვილონ ყურადღება საფინანსო-საკრედიტო, ოპერატიულ-ტექნიკური ოპერაციების სიზუსტეზე და, რაც მთავარია გააძლიერონ კონტროლი ბიუჯეტის (ფაქტიურ) საკასო შესრულებაზე ისეთი მძლავრი ბერკეტის გამოყენებით, როგორც არის აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი. ახალი პროგრესული მეთოდებით მუშაობის პირობებში საფინანსო ორგანოებმა, საწარმო ორგანიზაციების საფინანსო სამსახურებმა, აღრიცხვის მუშაკებმა უნდა გამოიკვლიონ ის მიზეზები, რომ-

ლებიც გავლენას ახდენს გაერთიანების, ფაბრიკის, ქარხნის, ტრესტის შემოსავალ-გასავლისა და მოგების დონეზე, ღრმად ჩაწვდნენ ეკონომიკურ პროცესებს, გამონახონ რენტაბელობის გადიდების, ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები. ამასთან დაკავშირებით განსაზღვრონ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ფულადი სახსრები: მოგებიდან ანარიცხების, ბრუნვის გადასახადის, ფონდების გადასახდელუბის, და სხვა გადასახდელუბისა და გამოსაღებების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო ორგანოების მიერ ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯების ზუსტ დაგეგმვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების პროცესი საფინანსო სისტემის ყველა ორგანოში დაკავშირებულია სისტემატურად მზარდი აღრიცხვის ობიექტებისა და დიდი რაოდენობის ფინანსურ-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებასთან. ამიტომ, ბიუჯეტის შედგენა და მისი შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგება მიეკუთვნება ყველაზე უფრო რთულ და შრომატევად სამუშაოებს, რომელთა შესრულების რაციონალური ორგანიზაცია პირდაპირ დამოკიდებულებაშია ოპერაციების შინაარსსა და აღრიცხვის ობიექტების თავისებურებებზე.

საბიუჯეტო აღრიცხვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების პროცესში მათი მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი ნაირსახოვანი საფინანსო-საკრედიტო ოპერაციები.

ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილი ორგანულად არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის საერთო გეგმასთან და სოციალისტური მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპებთან. ამიტომ, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილი წლითიწლით გეგმაზომიერად იზრდება.

სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო გეგმები ითვალისწინებს ყველა დარგის განვითარების მაღალ ტემპებს, მძიმე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი განვითარების ბაზაზე მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის განუზრეგლ ამაღლებას, სამრეწველო წარმოების ზრდას, კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებას და, აქედან გამომდინარე, ეროვნული შემოსავლის ყოველწლიურ ზრდას. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ „1960 საბაზისო წელთან შედარებით, 1965 წელს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპმა შეადგინა 137 პროცენტი, ხოლო 1968 წელს — 165, და 1975 წ. — 257 პროცენტი“¹.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი იქმნება სოციალისტურ მეურნეობაში, ამიტომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასახდელები, რომლებიც 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ყველა შემოსავლის 91%-ზე მეტს შეადგენდა.

ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე. საბიუჯეტო სახსრების ყველაზე დიდი

¹ Э. А. Шеварднадзе, Советская Грузия, изд. «Полит. труд», М., 1979 г., с. 57.

ნაწილი განკუთვნილია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სხვა დარგების დაფინანსებისათვის. კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის ზრდასთან ერთად ხარჯები სახალხო მეურნეობასა და სოციალურ-კულტურულ დონის-ძიებებზე ბიუჯეტში წლითიწლობით იზრდება. სახალხო განათლებაზე, კადრების მომზადებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, ჯანმრთელობის დაცვა-სა და ფიზიკურ კულტურაზე, სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზარუნ-ველყოფაზე ხარჯები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთა დიდ ნაწილს.

მმართველობის ხარჯები, რომლებიც განკუთვნილია სახელმწიფო ხელი-სუფლების, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის შენახვისათვის, სახელმწიფო მმართველობის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების მე-ოხებით ყოველწლიურად მცირდება².

სახალხო მეურნეობის თანამედროვე სირთულის პირობებში, როდესაც დარგების განვითარების სისწრაფეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განა-პირობებს ბიუჯეტის აღრიცხვისა და კონტროლის სრულყოფის შესაძლებლო-ბა იქმნება მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის დანერგვის გზით გამომ-თვლელი ტექნიკის გამოყენების პირობებში.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების პროცესების შინაარსი და და-დგენილი წესები განსაზღვრავენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დო-ნის, ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემისა და კერძოდ მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის მართვის ავტომატიზებული სისტემა „მას — ფინორგანო“³ უნდა ითვალისწინებდეს სამ ქვესისტემას: ბიუჯეტის შედგენის ქვესისტემა; ბიუჯეტის შესრულების ქვესისტემა; ბიუ-ჯეტის შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემა.

აქედან ჩანს, რომ ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის ფინანსე-ბის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც აქვს თავისი ობიექტები, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და სტრუქტურა, ისევე როგორც ყველა დო-ნის მართვის ავტომატიზებული სისტემა, შეიძლება დაიყოს ფუნქციონალურ, ორგანიზაციულ და ელემენტარულ ქვესისტემებად. ერთ-ერთი ასეთი ქვესის-ტემათაგანი შეიძლება იყოს ადგილობრივ ფინორგანოებში სახელმწიფო ბიუ-ჯეტის შესრულების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს დიდი წარმადობის ელექტრონუ-ლი გამოთვლითი ტექნიკის ერთ ცენტრში თავმოყრისა და მათი ფართოდ გა-მოყენების საფუძველზე საფინანსო ორგანოებში საბიუჯეტო, ფინანსური და მეურნეობრივი საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

გადაწყვეტილების შერჩევა და მიღება წარმოადგენს ფინანსური საქმიან-ობის შემადგენელი ნაწილის ხარჯთნუსხებისა და ბიუჯეტების შესრულების სფეროში, რომელიც ხორციელდება განსაკუთრებული ხერხებითა და მეთო-

² სამეურნეო ანგარიშინაობაზე მყოფი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით რომლებიც მმართველობის ხარჯებს ღარავენ თავისი შემოსავლებით, ბიუჯეტური დაწესებულების ხარჯე-ბი იფარება ბიუჯეტიდან, დამტკიცებული ხარჯთნუსხების მიხედვით.

³ „მას — ფინორგანო“ — სახელწოდება პირობითია.



დებით. აღრიცხვა და კონტროლი, როგორც მეურნეობრივი საქმიანობის მართვითი ფუნქციები, ემყარებიან გარკვეულ საცნობარო ინფორმაციას, რომლის კრიტერიუმსაც წარმოადგენს ისეთი ოპერატიულ-მეურნეობრივი ოპერაციები, დირექტიული და ნორმატიული მასალა და მითითებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. შემდგომი სწორი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიური დოკუმენტების შემოწმებისა და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მაჩვენებლების აღრიცხვისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში გამომთვლელი მანქანებით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სქემით:

	მართვითი გადაწყვეტილება	
შესავალი	კონტროლი	გამოსავალი
ინფორმაცია	შეზომვა	ინფორმაცია
	შეუასება	მართვის ობიექტი

კორექტირება

თუ მმართველობას განვიხილავთ, როგორც ერთ განუწყვეტელ დინამიკურ პროცესს, რომლის შინაარსსა და ძირითად ფუნქციას სათანადო გადაწყვეტილებების მიღება და მათი შესრულება წარმოადგენს, მაშინ ნათელი გახდება ის ორგანული კავშირი, რაც ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებაზე კონტროლს შორის არსებობს: ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა საფინანსო ორგანოების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი უზრუნველყოფს მართვის ობიექტის ყოველმხრივ შემეცნებას. ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულებაზე კონტროლი, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, მჭიდროდა დაკავშირებული ბიუჯეტის დაგეგმვასა და მისი შესრულების ორგანიზაციასთან, პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან.

კონტროლის ობიექტური აუცილებლობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს პრინციპი: ვინც ხელმძღვანელობს მანვე უნდა გააკონტროლოს.

საფინანსო ორგანოთა მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების წინაშე მდგარ ამოცანათა გადაწყვეტის აუცილებელი პირობების შექმნა. საფინანსო ორგანოების რაციონალური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების მართვითი დავალებების შემუშავება საინფორმაციო უკუკავშირების გამოყენების საფუძველზე.

მართვითი დავალებების შესრულებაზე კონტროლის რაციონალური ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს სისტემატურ მაკორექტირებელ მოქმედებას ბიუჯეტის შესრულებაში ცვლილებების შესატანად და ფულადი სახსრების გადასანაწილებლად, საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების პროცესში. კონტროლის ასეთი ფუნქცია უნდა განხორციელდეს მართვის ავტომატიზებული სისტემის ყველა ქვესისტემის მიერ დამუშავებული ინფორმაციული ნაკადების საფუძველზე უკუკავშირის მეშვეობით.

უკუკავშირების საშუალებით კონტროლის განხორციელების სისტემა საბიუჯეტო ორგანოთა რაციონალური მართვის პროცესების სრულყოფისა და

მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივას ქმნის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ ინფორმაციული უკუკავშირი წარმოადგენს მართვის ავტომატიზებული სისტემის სამუშაო პროცესების რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, იგი იქმნება ავტომატურად, ინფორმაციული ნაკადების დამუშავების დროს და აუცილებელია ზუსტი, მორიგი მართვითი გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც მართვით სისტემებში ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების შემდგომი სრულყოფის საფუძველს წარმოადგენს.

ბიუჯეტის შესრულების მართვის პროცესში ინფორმაციის ნაკადები საფინანსო (მართვითი) ორგანოდან გადაეცემა შემსრულებელს. ამასთანავე, ამ ინფორმაციათა მოძრაობის პროცესში ხორციელდება უკუკავშირი საწარმო-ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებს შორის.

უკუკავშირი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლისა და მართვითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის საზომიც.

მკიდრო კავშირი საფინანსო ორგანოებსა და ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ორგანოებს შორის, აპირობებს მართვის ავტომატიზებული სისტემის ნებისმიერი ქვესისტემის დამოუკიდებლობას ინფორმაციათა უკუკავშირების მოქმედების პირობებში. ამასთან ერთად, მართვის ავტომატიზებული სისტემის დამოუკიდებელი (კონკრეტულ შემთხვევაში აღრიცხვა და კონტროლი) ქვესისტემა აუცილებლად მოითხოვს ინფორმაციის მექანიზებულ და მუშავების მაღალ დონეს, რაც აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

სახალხო სამეურნეო აღრიცხვის მექანიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმას ჯგუფური მომსახურების საანგარიშო მანქანათა სადგურები წარმოადგენს, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და სააღრიცხვო-ეკონომიკური, აგრეთვე სახარჯუნსხო-ბიუჯეტური ინფორმაციის დამუშავებას ხელშეკრულებათა საწყისებზე აწარმოებენ. ჯგუფური საანგარიშო მანქანათა სადგურების უბირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ-ში 1970 წლის დასაწყისში იყო 30 ჯგუფური სადგური, აქედან სამეურნეო ანგარიშზე — 29. ამჟამად სამეურნეო ანგარიშზე მყოფი 46-ზე მეტი ჯგუფური საანგარიშო მანქანათა სადგური მოქმედებს, რაც მათი საერთო რაოდენობის 31 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს სსრ-ში „1978 წლის დასაწყისში 150-მდე საანგარიშო მანქანათა დანადგარი (გამომთვლელი ცენტრების ჩათვლით) მომსახურეობას უწევდა 2600-ზე მეტი საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებას, მათ შორის: 20 გამომთვლელი ცენტრი ემსახურებოდა 300-მდე საწარმოსა და ორგანიზაციას, ქალაქისა და რაიონის საანგარიშო მანქანათა 52 სადგური, მომსახურეობას უწევდა 1700-მდე საწარმო ორგანიზაციისა და დაწესებულებას⁴. გარდა ამისა, მექანიზებული აღრიცხვის ფაბრიკების, საანგარიშო მანქანათა ბიუროების და სხვა ორგანიზაციული ფორმის საანგარიშო მანქანათა დანადგარების მეშვეობით ხორციელდებოდა 600-ზე მეტი საწარმო-ორგანიზაციისა და დაწესებულების ანგარიშწარმოების სხვადასხვა უბნის აღრიცხვის მე-

4 საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1978 წ. არქივი „საქმე აღრიცხვის ცენტრალიზაცია და მექანიზაცია“.

ქანიზაცია. მიუხედავად ამისა, მთლიანად რესპუბლიკაში საანგარიშო მანქანათა დანადგარებით განხორციელებული საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აღრიცხვის მექანიზაციის ხვედრითი წონა მათი სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მთელი შემადგენლობის მიმართ საშუალოდ შეადგენდა: 1976 წ. 22,2%, 1977 წ. — 26,3%, 1978 წ. — 30,5%.

სსრ კავშირის სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს სისტემის გამოთვლითი ცენტრებისა და საანგარიშო მანქანათა სადგურების მეშვეობით, მექანიზებული ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხელფასის, კვების პროდუქტების, ბავშვთა საბავშვო ბაგებისა და ბაღებში შენახვისათვის, მშობელთა გადასახდელების და სხვა ფინანსურ გაანგარიშებათა აღრიცხვა, რაც ბიუჯეტურ დაწესებულებათა საერთო მექანიზაციის დონის 91% შეადგენს. ხოლო, კომპლექსური მექანიზაციის საერთო დონე კი მეტად დაბალია და სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა მოცულობის 20%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის მასშტაბით „აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის“ შედეგად ბიუჯეტურ დაწესებულებებიდან გამონათავისუფლებულ იქნა 30,7 ათასი კაცი ხელფასის საერთო ფონდით — 17,7 მლნ. მან⁵.

სსრ კავშირში მთლიანად საბიუჯეტო აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის შედეგად მიღწეული შრომითი დანახარჯების შემცირების და დიდი ეკონომიკური ეფექტის მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკებში მაინც არსებობს მისი შემდგომი გაფართოების მთელი რიგი ხელის შემშლელი მიზეზები. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც) ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის მექანიზაცია ცენტრალიზებული ბუჰალტერიების მქონე საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებსა და სხვა მმართველობის ორგანოების (სამინისტროები და უწყებები) დაქვემდებარების საანგარიშო მანქანათა სადგურების მეშვეობით, რომლებიც სავსებით ვერ უზრუნველყოფენ სააღრიცხვო ეკონომიკური და ფინანსურ-ბიუჯეტური ინფორმაციის კომპლექსურ მექანიზაციას. მაგალითად, „უკრაინის სსრ-ში მოქმედი 859 ცენტრალიზებული ბუჰალტერიიდან საანგარიშო მანქანათა დანადგარების მომსახურებით მხოლოდ 369 სარგებლობს, ბელორუსიის სსრ-ში სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედ 85 ცენტრალიზებულ ბუჰალტერიიდან — 35, საქართველოს სსრ-ში მოქმედ 190 ორგანიზაცია-საწარმოს და 1302 საბიუჯეტო დაწესებულების ცენტრალიზებული ბუჰალტერიიდან აღრიცხვის მექანიზაცია გატარებულია 251 ცენტრალიზებულ ბუჰალტერიაში, მათ შორის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის საანგარიშო მანქანათა სადგურების მომსახურებით უზრუნველყოფილია 197 ცენტრალიზებული ბუჰალტერია“⁶, ამასთან, ცენტრალიზებულ ბუჰალტერიაში მექანიზებულია მხოლოდ ცალკეული სახის სამუშაოები, უმეტესად კი, შრომისა და ხელფასის აღრიცხვა, მაგრამ ამ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია ხასიათდება მთელი რიგი ხარვეზებით (შეცდომები ხელფასის დარიცხვაში, გადასახადებისა და გადასახდელების და-

5 სსრკ კკ-ს 1977 წ. არქივი „ცნობა სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობის შესახებ“.

6 შ. ბურდული, სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების სრულყოფის პრობლემები სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში, თბ., 1977, გვ. 75.

კავებაში და სხვა, რაც ხშირად 10—15%-ს აღემატება). მიუხედავად ამისა, აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია გაერთიანებული ანგარიშწარმოების პირობებში გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

ზემომოყვანილი მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სამუშაოთა წარმოების გაიაფება მმართველობითი აპარატის ხარჯების შემცირების, მუშაკთა გამონათვისუფლების და სხვა რაციონალურ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე. ეს იქიდან ჩანს, რომ 8 წლის მანძილზე (1971—1978 წწ.) საქართველოს სსრ ბიუჯეტურ ორგანიზაცია-დაწესებულებათა სააღრიცხვო აპარატი გაიზარდა 1,8-ჯერ, ხოლო სამუშაოთა მოცულობა 3,5-ჯერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვაქვს შესაძლებლობა და საკმაო რეზერვებიც, რათა ჩვენს რესპუბლიკაში გავაფართოოდ ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის მექანიზაციის დონე, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და გავზარდოთ ხარისხიანად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში არსებული გამოთვლითი ტექნიკის სრული დატვირთვისა და სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა მანქანური წარმოების რაციონალური ტექნოლოგიის დანერგვის საშუალებით შეიძლება მკვეთრად ავამაღლოთ საბიუჯეტო აღრიცხვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობა.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პირობებში სააღრიცხვო ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების პირდაპირი ეფექტი განისაზღვრება ისეთ ძირითად მაჩვენებლებში, როგორცაა: მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება, სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოების თვითღირებულების შემცირება, მმართველობითი აპარატის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გადიდება, სააღრიცხვო ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების შრომატევადობის შემცირება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილობისა და მექანიზაციის დონის მაჩვენებლები და სხვ.

სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობის განსაზღვრა შეიძლება, როგორც ცალკეულ სამუშაოთა სახეების, ისე მთლიანად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, არა მარტო ხელითა და მანქანებით შესრულებულ სამუშაოთა წარმოების ნორმა საათებისა და სხვა მაჩვენებლების ურთიერთშედარების, არამედ სხვა ტიპისა და წარმადობის მანქანებით შესრულებულ ცალკეულ სამუშაოთა გარკვეული მაჩვენებლების (გამომუშავების ნორმა-საათების, შრომატევადობის საათები) ურთიერთ შედარების საფუძველზე შედეგების გამოვლენის გზითაც. ამ შემთხვევაში, ეფექტურობის გაანგარიშება წარმოებს მანქანურ შესრულებაზე გადაყვანილ ცალკეულ საინფორმაციო პროცედურის მიხედვით. ერთდროულად განისაზღვრება პირველადი (ოპერატიული) ინფორმაციის შეგროვების რეგისტრაციისა და საინფორმაციო ცენტრში გადაცემის და მათი ინფორმაციის მატარებლებზე ასახვის ეფექტურობა. ამიტომ, სხვადასხვა სახისა და წარმადობის გამოთვლიელი მანქანებისა და გადაამკემი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგების გამოვლინება მიზანშეწონილია ეკონომიკური ეფექტიანობის განზოგადებული მაჩვენებლების საშუალებით. ასეთი მაჩვენებლების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს სახალხო მეურნეობაში „ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტურობის მაჩვენებლები“. ამ შემთხვე-

ვაში, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საშუალო ეფექტურობის (ე) კოეფიციენტის განსაზღვრა ხდება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტურობისა და კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის კოეფიციენტთა გამოანგარიშების ტიპური ფორმულებით გათვალისწინებული მეთოდის ანალოგიურად:

$$e = \frac{q_1 - q_0}{z_1 - z_0}$$

სადაც q_0 არის ღირებულება (ნორმატიული) წლის განმავლობაში საბაზისო დონის ტექნიკით შესრულებულ გამოთვლითი სამუშაოებისა.

q_1 — ღირებულება ექსპლუატაციაში მიღებული ახალი ტექნიკით წლის განმავლობაში შესრულებულ გამოთვლითი სამუშაოებისა;

z_0 — კაპიტალური დანახარჯები ძველ ტექნიკაზე.

z_1 — კაპიტალური დანახარჯები ახალ ტექნიკაზე.

ასეთი ფორმულის გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა სახისა და წარმადობის გამოთვლელი მანქანებით განხორციელებული გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტიანობა და მანქანების გამოყენების ყველაზე უფრო რაციონალური ტექნოლოგია.

ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებზე სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია მოითხოვს მონაცემთა ტექნიკური დამუშავების წინასწარ დაწვრილებით ალგორითმიზაციასა და პროგრამირებას, ე. ი. დეტალური განაწილის შედგენას შესავალი ინფორმაციის მანქანის დამამსოვრებელ უჯრედებში მოსათავსებლად. ეს უკანასკნელი აპრობებს ინფორმაციის დამუშავების პროცესების ტექნოლოგიასა და გამოთვლათა შედეგების საჭირო ფორმებში მიღებას. ალგორითმიზაციის სისრულესა და სისწორეზე, აგრეთვე პროგრამის სიზუსტეზე დიდადაა დამოკიდებული შესრულებულ სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა სისრულე და უტყუარობა, სწრაფ-მოქმედი ელექტრონული ტექნიკის ეფექტურობა⁷.

ფინანსურ-ბიუჯეტური ინფორმაციის დამუშავების ეფექტურობის ამოღებისა და მაქსიმალური მექანიზაციის და ავტომატიზაციისათვის საჭიროა საანგარიშო კლავიშაინი და პერფორაციულ მანქანებთან ერთად გამოყენებულ იქნეს „ეს“ ტიპის ელექტრონული გამოთვლელი მანქანები.

ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო სისტემაში არსებული საანგარიშო-ტექნიკურ საშუალებათა დონე საფინანსო ორგანოების მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემებზე გადაყვანის საშუალებას იძლევა „ეს ეგმ“ გამოყენებით უწყებრივ საანგარიშო მანქანათა სადგურებისა და გამოთვლითი ცენტრების ჩამოყალიბების ბაზაზე (რესპუბლიკურ და ავტონომიურ-რესპუბლიკურ ფინანსთა სამინისტროებთან).

იმ საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ცენტრალიზებული ბუხვალტერიებისათვის, რომლებიც სტატისტიკურ სამმართველოს სისტემის სმს და რსმს* მომსახურების ზონაში არ იმყოფებიან, ორგანიზებული უნდა იქნეს საერთო მომსახურების (ჯგუფური) საუწყებთაშორისო გამოთვლითი ცენტრები, რომლებიც იმუშავებენ ხელშეკრულებათა საწყისებზე

7 შ. ბურდული, „სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ორგანიზაცია, გამოცემლობა მეცნიერება, თბ., 1979, გვ. 52.

* საანგარიშო მანქანათა სადგური და სარაიონო საანგ. მანქ. სად.

და უზრუნველყოფენ სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობის მაღალ დონეს „ეგმ“ გამოყენების საფუძველზე

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფინანსურ-ბიუჯეტური და სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა შრომატევადობის დაახლოებით 55—60%-ს შეადგენს პირველადი აღრიცხვა და ოპერატიულ გადაწყვეტილებათა შემუშავება. ამიტომ მათი მექანიზაცია და ავტომატიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემებში. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ამ დარგის სპეციალისტების აზრით პირველად აღრიცხვაში შეიძლება გამოვყოთ ორი საფეხური, რომელიც ხასიათდება თავისებურებებით და მოითხოვს მექანიზაციის შესაბამის საშუალებებს.

პირველ საფეხურზე წარმოებს მეურნეობრივი ოპერაციების და მოვლენების რაოდენობრივი მონაცემების მიღება (გამოანგარიშებები და გამოთვლები), მეორე საფეხურზე კი — მონაცემების რეგისტრაცია და გაფორმება-შენახვა (ჩაწერა და პერფორაცია).

პირველადი აღრიცხვის სამუშაოთა 30—35%-ს შეადგენს გაანგარიშებისა და გამოთვლის ოპერაციები, ე. ი. მონაცემების მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოები... ამ ოპერაციების აღრიცხვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის იყენებენ სხვადასხვა სისტემის საიმპულსო მიმწოდებლებს... საზომ ხელსაწყოებს ან სხვა გამომთვლელ საშუალებებს და ასე მიღებული ინფორმაცია ავტომატურად გადაეცემა აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრს.

ცენტრალიზებული დისტანციური სისტემის საშუალებით ინფორმაციის გადაცემის დროს ყველა პირველადი ინფორმაცია კოდირებული ფორმით იწერება პერფორატორზე, პერფორენტებზე, საიდანაც მონაცემები ან უშუალოდ გადაეცემა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, ან წინასწარ გადაიწერება პერფორენტებიდან პერფორატორზე (ან პერფორენტებიდან და პერფორატორებიდან (მაგნიტურ ლენტზე) იმისდა მიხედვით, თუ როგორია მანქანაზე მონაცემების გადაცემა მოწყობილობის სისტემა.

პირველადი ინფორმაციის გამოთვლით ცენტრში დამუშავების შემდეგ მიღებული ოპერატიული მაჩვენებლები უკუმიმტკევი და მკავშირებელი არხების მეშვეობით უშუალოდ გადაეცემა მომხმარებელს.

პირველადი ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების სრულყოფის მიზნით შეაჯიოდ უნდა განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან მიმწოდებლისა და მომხმარებლის ფუნქციები. ამჟამად ხშირია შემთხვევები, როცა აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრიდან ნახევრად დამუშავებული დოკუმენტები ეგზავნება (უკან უბრუნდება) მიმწოდებელს დამატებითი დამუშავებისა ან მის საფუძველზე სხვადასხვა საჭირო ცნობების მისაღებად. ასეთი ტენდენცია უნდა შეიცვალოს დოკუმენტების სრულყოფილად დამუშავებით უშუალოდ აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრში.

მართვის ავტომატიზებული სისტემის მოქმედების პირობებში, რაც უფრო სწრაფად და სათანაოდ სიღრმით იქნება მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელზე, მით უფრო ოპერატიულად, სწრაფად და ზუსტად შემუშავდება მართვის ღონისძიება. ამით განისაზღვრება ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და დამუშავების მექანიზაციის რაციონალური ორგანიზაციის როლი.

საფინანსო ორგანოების ბიუჯეტურ-ფინანსური და სააღრიცხვო-საშედე-

გო ინფორმაციის დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია მას-ის ქვესისტემის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სამუშაო პროცესების, აგრეთვე სისტემის რაციონალური საინფორმაციო უზრუნველყოფის დაპროექტებას მოითხოვს, რაც უნდა განხორციელდეს სპეციალური საპროექტო ორგანიზაციების მიერ ფინანსთა სამინისტროების დაკვეთითა და მათი უშუალო მონაწილეობით. ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში უნდა დამუშავდეს სინთეზური და ანალიზური ანგარიშების კოდიფიკატორი. საფინანსო ორგანოს ხარჯთესხის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის კოდიფიკატორი პრაქტიკულად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) ბუხპალტრული აღრიცხვის პირველი და მეორე რიგის ანგარიშთა კოდი, ბ) მასალებისა და ძირითადი საშუალებების საგნობრივი აღრიცხვის კოდი, გ) საანგარიშსწორებო ანგარიშების ანალიზური აღრიცხვის კოდი, დ) ხარჯთესხების მუხლებისა და პარაგრაფების კოდი.

ანგარიშებს დებეტის ნიშნით ჩეკულებრივად აკუთვნებენ კოდებს 00-დან 49-მდე, ხოლო კრედიტის ნიშნით პირიქით, 49-დან 00-მდე. თითოეული ანგარიშვალდებული პირისათვის, საფინანსო ორგანოსთან ურთიერთობაში მყოფი ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ანგარიშვალდებული პირის გვარის, ორგანიზაცია-დაწესებულების სახელწოდების შემცველი რიგითი ნომერი (დაწყებული პირველიდან). პირებისა და ორგანიზაციების რაოდენობასთან დამოკიდებულებით, ცალკეულ პირს, ჯგუფს ან ორგანიზაციას შეიძლება მიეკუთვნოს ორციფრიანი კოდი. ყოველი კოდი უნდა იყოს ზუსტი, ნათლად შეჩვენდეს საგნის დასახელებას, მასალის ან ძირითადი საშუალებების სახეობას, ანგარიშვალდებული პირის გვარს, ორგანიზაციას, განყოფილებას და ა. შ.

კოდიფიკატორების გარდა უნდა შემუშავდეს საბუთბრუნვის ტიპიური გეგმა-გრაფიკი საფინანსო ორგანოებსა და საინფორმაციო გამოთვლით ცენტრს შორის საბუთების მოძრაობაზე. საბუთბრუნვის სწორი ორგანიზაციის პირობებში, საინფორმაციო ცენტრის მიერ მომსახურებულ საფინანსო ორგანოებში პირველადი საბუთების ზუსტი გაფორმება და წარდგენის ვადების დაცვა უზრუნველყოფს ბიუჯეტურ-ფინანსური ოპერაციების ზუსტ დამუშავებასა და ანგარიშებში სწორად ასახვას, რაც მექანიზებული აღრიცხვის ხარისხს აამაღლებს.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებები, ფინანსების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ, არ ითვალისწინებს აღრიცხვის მუშაკთა შორის შრომის ფუნქციონალურ განაწილებას, ამიტომ ობიექტური აუცილებლობა იქმნება მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის პროექტით დადგინდეს საინფორმაციო გამოთვლით ცენტრთან საფინანსო ორგანოების სათანადო თანამდებობრივი და მატერიალური პასუხისმგებელი პირების დამოკიდებულება, განისაზღვროს მათი მოვალეობა და საბუთბრუნვის ტიპიური კვადრების შესაბამისად განაწილდეს ვალდებულებები საფინანსო ორგანოს აღრიცხვის მუშაკთა და საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის ოპერატიულ მუშაკთა შორის.

მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის დაპროექტების რაციონალური ორგანიზაცია მდგომარეობს ისეთი ოპტიმალურ ტექნიკურ-ორგანიზაციული პირობების შექმნაში, რომელიც უზრუნ-

12074

ველყოფის ინფორმაციის დამუშავების მაღალ ხარისხს და, ამის საფუძველზე, მილიანად მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ეფექტურობას.

ინფორმაცია მართვის ყოველგვარი სისტემის აუცილებელი და უცვლელი კომპონენტია. მართვის ობიექტების მოცულობა განსაზღვრავს ინფორმაციის სხვადასხვა სახეობას.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დაყოფას მუდმივ და ცვალებად ინფორმაციად, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ან მარეგულირებელი კოეფიციენტებით. ამისათვის არსებობს ამ კოეფიციენტთა გაანგარიშების სპეციალური მეთოდიკა. მუდმივი და ცვალებადი ინფორმაციის შესწავლა იძლევა ისეთ ფართო მასალას, რომლის საფუძველზეც დადებითად წყდება ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების რთული საკითხები.

რამდენადაც მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი მეტაკლებად დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავებასთან, ან წარმოადგენს მონაცემთა მასივებს, ისინი გვევლინება დამუშავების პროცესის სტრუქტურულ ელემენტებად.

სამუშაო პროცესის დაპროექტებისა და აღწერის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მათი დაყოფა ოთხ მსხვილ კომპლექსად: 1. მონაცემთა ხელით დამუშავება ელექტრონულ გამომთვლელი მანქანისათვის ინფორმაციის მომზადების ჩათვლით. 2. დირექტიული, განკარგულებითი, საკონტროლო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და ავტომატიზებული დამუშავების სისტემაზე გადაცემა. 3. მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემა ინფორმაციის მომზადებისა და ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე დამუშავების ჩათვლით. 4. მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავებით მანქანური დოკუმენტების (მავსინოგრაფების, ტაბულაგრაფების და სხვ.) გამომეშვება ცალკეულ (მოსამსახურებელ) ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებსათვის მართვითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

მართვის ავტომატიზებული სისტემის მჭიდრო კავშირი თავის დაქვემდებარების ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ზემდგომი და ქვემდგომი საფინანსო ორგანოების დამახასიათებელი მართვითი ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენების მაღალ დონესა და ოპერატიული კონტროლის რაციონალურ ორგანიზაციას უზრუნველყოფს.

დასკვნა

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილეობს სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგი, ამიტომ მის საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო მმართველობის სოციალისტური წესი.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური მართვის სრულყოფის პროცესში უაღრესად მტკიცდება კავშირი ბიუჯეტურ-ფინანსურ და სააღრიცხვო-საკონტროლო მუშაობას შორის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს საფინანსო ორგანოების, სახელმწიფო და მშენებლობის ბანკების საფინანსო გეგმებზე დამყარებულ ფართო ურთიერთკავშირს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებთან და ბიუჯეტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან.

ასეთი ურთიერთკავშირი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებ-

150

ბის აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციის და კომპლექსური მექანიზაციის საფუძველს, რომელიც მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფინანსების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემების დაარსების ბაზაზე უნდა განხორციელდეს.

ფინანსების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემების მთავარი ამოცანაა სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო და ფაქტიური შესრულების უზრუნველყოფა ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ძირითად რგოლებში. მათ შორის საფინანსო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მოკავშირე რესპუბლიკების, რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფულადი სახსრებისა და ხარჯების ბუჰალტრული ასახვა და კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებებმა — ხარჯთუსხების შესრულება და აღრიცხვა, აგრეთვე ფინანსურ-მეურნეობრივი საქმიანობის პროცესზე ოპერატიული კონტროლი.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვა და კონტროლი საფინანსო ორგანოებში ჯერ კიდევ დეცენტრალიზებული წესით ხორციელდება, რაც დიდად უშლის ხელს მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალი ორგანიზაციული ფორმების განვითარებას. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ახალი ორგანიზაციული ფორმების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს ფინანსების მართვის ავტომატიზებული ქვესისტემების რაციონალური ორგანიზაცია ელექტრონული გამოთვლელი ტექნიკის გამოყენების ბაზაზე.

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საფინანსო ორგანოებში იყენებენ კლავიშთან საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს და ზოგან „ასკოტა“-170 კლასის ტიპის ბუჰალტრულ მანქანებს. საფინანსო ორგანოების ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის დანერგვის დასაწყისში ე. ი. მისი ამოქმედების პირველ ეტაპზე ადგილებზე არსებული ყველა ტიპის გამოთვლელი მანქანების რაციონალური გამოყენება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის საქმიანობა ემყარება ყველა სახეობის გამოთვლელი ტექნიკის ფართო გამოყენებას ელექტრონული, პერფორაციული, კლავიშისა და სხვა ტიპის გამოთვლელი მანქანების ჩათვლით.

აქედან გამომდინარე რასაკვირველია, მართვის ავტომატიზებული სისტემის ძირითად საფუძველს ეგმ წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც წარმატებით მუშავდება სააღრიცხვო და საკონტროლო ინფორმაციები, რომლებიც ეკონომიკური ინფორმაციის შემადგენლობაში მოცულობით ყველაზე უფრო დიდი და დასამუშავებლად რთული ობიექტებია. ეს ინფორმაციები დისკრეტულია, მისი ფიქსირება ხდება სტრიქონობრივად. თავისთავად მათი მათემატიკური დამუშავება დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, რამდენადაც ადგილი აქვს ერთგვაროვანი ოპერაციების მასობრივად განმეორებას, მაგრამ ამ ინფორმაციის ლოგიკური გარდაქმნა მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი, მოითხოვს მონაცემთა ამოკრებას, მრავალ დაჯგუფებას, რაც ერთი და იგივე სააღრიცხვო მონაცემების სხვადასხვა ვარიაციებში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსური საქმიანობის კონტროლისა და ანალიზის დროს.

შ. ი. ბურდული, ნ. ი. ზედელაშვილი

ОРГАНИЗАЦИЯ УЧЕТА И КОНТРОЛЯ ИСПОЛНЕНИЯ БЮДЖЕТА В АВТОМАТИЗИРОВАННОЙ ПОДСИСТЕМЕ УПРАВЛЕНИЯ ФИНАНСОВ

Резюме

В совершенствовании хозяйственного механизма важная роль возлагается на всестороннее улучшение финансово-хозяйственной и учетно-контрольной деятельности органов финансово-бюджетных служб путем создания АСУФ.

Согласно требованиям учета и контроля исполнения государственного бюджета в условиях действия автоматизированных систем управления, в статье рассматриваются вопросы улучшения организации, механизации и автоматизации учетно-контрольной деятельности по исполнению местных бюджетов на основе внедрения автоматизированных подсистем управления. Обоснована целесообразность выделения учета и контроля исполнения бюджета в качестве самостоятельных подсистем в составе АСУФ на базе широкого применения вычислительной техники. Показан метод исчисления экономического эффекта, получаемый в результате внедрения прогрессивных форм централизации и механизации учета исполнения бюджета.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აღრიცხვისა და ფინანსების
ჯგუფმა

Т. А. БЕРИДЗЕ

О КРИТЕРИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ РЕГИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ

Одной из актуальных задач, исследуемых политической экономией на современном этапе, является проблема эффективности общественно-го производства. Являясь экономической категорией и отражая одну из сторон социалистических производственных отношений, она в то же время включает в себя множество вопросов, касающихся функционирования социалистической экономики. Одним из них является вопрос эффективного функционирования региональной экономики.

На XXVI съезде КПСС Л. И. Брежнев указал на более умелое сочетание отраслевого и территориального развития, перспективных и текущих проблем, обеспечение сбалансированности экономики¹.

Особенно актуальное значение территориальная организация производства приобретает в условиях развитого социализма, когда функционирование экономики как единого народнохозяйственного комплекса вызывает необходимость строгой сбалансированности в развитии всех ее звеньев, специализации их деятельности, четкого взаимодействия и тесной взаимосвязи и взаимообусловленности.

В постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР «Об улучшении планирования и усилении воздействия хозяйственного механизма на повышение эффективности производства и качества работы» отмечается, что к числу важнейших направлений улучшения всей плановой работы относятся «рациональное сочетание отраслевого и территориального развития, перспективных и текущих планов, совершенствование межотраслевых и внутриотраслевых пропорций, обеспечение сбалансированного роста экономики»².

В развитии теории пространственной организации производства большой вклад внесли такие ученые, как Аганбегян А. Г., Алампов П. М., Белоусов И. И., Граник Г. И., Кистанов В. В., Некрасов Н. Н., Немчинов В. С., Пробст А. Е., Павленко В. Ф., Силаев Е. Д., Шаталин С. С. и др. В Грузии проблемам региональной экономики посвятили свои исследования Гвелесиани Г. Г., Гуния А. Л., Гугушвили П. В., Микеладзе И. С. и др.

В нашей работе анализируются вопросы формирования и функционирования критерия эффективности региональной экономики, в качестве объекта исследуется союзная республика.


¹ Материалы XXVI съезда КПСС. М., 1981, с. 31.

² ЦК КПСС и Совета Министров СССР, «Коммунист», 1979, № 12, с. 5.

Народное хозяйство представляет собой единое целое, в рамках которого имеет место общественное, частное (или отраслевое) разделение труда. Вместе с тем, существует в тех же рамках «территориальное разделение труда, закрепляющее определенные отрасли производства за определенными районами страны»³.

Народное хозяйство страны образует диалектическое единство двух структур. Отраслевая, которая, следуя от общего к частному, предстает в виде: народное хозяйство — отрасль производства — предприятие (объединение) и базируется на общественном разделении труда; и региональная структура: народное хозяйство — регион — комплекс предприятий, основой которой является территориальное разделение труда.

Схематически это можно изобразить следующим образом:



Экономика страны представляет собой имманентное единство отраслевого и территориального разделения труда. Значение каждого региона в экономике страны определяется масштабами и структурой протекающего в них воспроизводства, их долей в общественном производстве отдельных видов продукции. Задача состоит в нахождении оптимального сочетания отраслевого и территориального подходов к планированию.

В основе структуры народного хозяйства лежит функционирование производственных отношений. Совершенно справедливо пишут некоторые авторы: «Производственные отношения (и, соответственно, экономические законы) сами по себе, вне организационно-хозяйственных форм, не проявляются»⁴. Отсюда, на наш взгляд, можно сделать важный вывод, что в основе существования различных структурных хозяйственных звеньев народного хозяйства лежат производственные отношения, а не формы управления, как это распространено в экономической литературе.

Производственные отношения, проявляющиеся на региональном уровне, являются порождением самой специфики региональной экономики, ее двойственного положения в процессе общественного воспроизводства, когда, с одной стороны, выступая в качестве воспроизводственной подсистемы единого народнохозяйственного комплекса, производственные отношения, присущие всему народному хозяйству, находят отражение в региональной экономике; с другой стороны, относительная самостоятельность и в определенной мере замкнутость воспроизводственных процессов вызывают отличительные черты ее развития, ко-

³ Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 23, с. 366.

⁴ Экономические проблемы развитого социалистического общества, Киев, 1977, с. 14. Такой же точки зрения придерживается Сергеев А. Л.: «...организационно-экономические отношения есть форма реализации общественно-произв. отношений (см. Сергеев А. Л. Структура производственных отношений социализма. М., 1979, с. 100).

торые непосредственно отражаются на характере проявления производственных отношений в пространственном аспекте.

Происходящие на региональном уровне народнохозяйственные процессы выступают в качестве механизма функционирования региональных подсистем, отражающего объективный ход развития производительных сил и производственных отношений на этапе развитого социализма.

Исследование вопросов региональной экономики требует ее двоякого рассмотрения: с одной стороны, как системы экономических отношений, с другой — как подсистемы общественного производства, вступающей в экономические связи с народным хозяйством в целом. В территориальном разрезе особенности регионального воспроизводства предполагают специфические региональные формы проявления и особый механизм действия экономических законов на региональном уровне. Не вдаваясь в дискуссию определения предмета региональной экономики, мы хотим отметить, что оно должно включать в себя как объект исследования формы проявления производственных отношений на региональном уровне. Проявление экономических законов объективно обусловлено отличительными условиями функционирования народного хозяйства региона, которые возникают в результате неодинаковой степени обобществления производства на разных уровнях хозяйственной иерархии, относительной обособленности воспроизводственного цикла, имеющихся различий в развитии производительных сил в территориальном разрезе, различной эффективности производства, вызванной природными, экономическими и социальными факторами развития народного хозяйства в экономических районах страны.

В связи с этим хочется сказать, что народнохозяйственная эффективность размещения производительных сил и экономическая эффективность региональной экономики — понятия не идентичные. Рассмотрение вопросов региональной экономики только с позиций размещения производительных сил сужает проблему. При таком подходе остаются вне поля зрения обменные и распределительные процессы, накопление и потребление, экономические факторы, уровень жизни населения, вопросы социального развития. Тем не менее, в экономической литературе встречается точка зрения, согласно которой эффективность размещения производства является выражением региональных особенностей воспроизводственного процесса⁵.

Исследуя понятие эффективности регионального развития, мы невольно сталкиваемся с двумя сторонами одного и того же явления: что и с какими затратами регион может (должен) дать всему народному хозяйству; какие затраты должны понести все народные хозяйства (все общество), чтобы удовлетворить потребности региона.

Выше было отмечено, что основой формирования структурных звеньев народного хозяйства являются особые формы проявления про-

⁵ См. например: Грамотеева Л. И. Эффективность территориальной организации производства. М., 1979, с. 6.

изводственных отношений на региональных уровнях. Критерий же эффективности невозможно получить априори, вне данных производственных (экономических) отношений. Разработка вопросов критерия эффективности региональной экономики способствует ускорению процесса выравнивания экономического развития районов СССР.

Множественность и системность производственных отношений обуславливает множественность и системность критериев эффективности производства как в «вертикальном», так и в «горизонтальном» разрезах народного хозяйства, а соподчиненность этих отношений обуславливает соответствующую соподчиненность названных критериев.

Когда мы говорим о системе элементов, то мы обязательно подразумеваем один системообразующий элемент, вокруг которого в строго субординированном порядке расположены остальные элементы. Следовательно, неправомерны попытки рассматривать в качестве взаимоисключающих вопросы о множестве критериев и едином критерии эффективности социалистического производства: имеется ряд критериев эффективности, но они едины, ибо есть определяемый основным экономическим законом социализма главный критерий, которому подчинены все другие.

Необходимо отметить, что существуют как различные аспекты эффективности производства, так и соответствующие им различные критерии. С достаточным основанием можно поставить вопрос о различении критериев технической, экономической и социальной эффективности производства⁶.

Существует и другая точка зрения, касающаяся различных аспектов эффективности, которая предлагает различать концептуальный и расчетный аспекты эффективности. По мнению сторонников данной трактовки, говорить отдельно о технико-экономической и социально-экономической эффективности — значит якобы исходить из неверной позиции, «в определенной мере разрывающего комплексное рассмотрение эффективности общественного производства и умножающего количество экономических критериев»⁷.

Эффективность общественного производства — единая проблема, но ведь единой научной проблемой является и способ производства, «многослойность» которого требует анализа этой категории в аспекте производительных сил, в аспекте производственных отношений, в плане их единства. В проблеме же эффективности общественного производства прямо проецируются эти две стороны, два аспекта способа производства. Речь идет, следовательно, об адекватном теоретическом отражении экономической действительности, а вовсе не об искусственном умножении экономических категорий.

Существует точка зрения Феодоритова В. Я. и Федоровой Т. А., которые, рассматривая эффективность социалистического производ-

⁶ См. Черковец В. Н. Теоретические проблемы социально-экономической эффективности общественного производства. М., 1979.

⁷ Хачатуров Т. С. Эффективность общественного производства — Вопросы экономики, 1976, № 6, с. 130—131.

ства на различных его уровнях с точки зрения затрат и целей, предлагают различать стационарную, функциональную и квазифункциональную эффективность: первая выражает оценку эффекта в точке его появления, вторая — в точке его реализации, третья сочетает элементы функциональной оценки эффекта, идущего от хозяйственных звеньев низших уровней, со стационарной его оценкой в данной точке организационной структуры общественного производства⁸.

В советской экономической литературе неоднократно исследовались различные аспекты эффективности, не говоря уже о множестве форм ее проявления⁹.

Важным моментом исследования структуры территориальной организации производства является изучение производственных отношений по составным звеньям экономики, которые позволяют установить иерархическую соподчиненность составных частей территориальной организации производства.

По всей сущности территориальная организация производства иерархична. Полиструктурный подход дает возможность более глубокого исследования территориальной организации производства и выработать методологические основы ее формирования и развития по отдельным структурным подразделениям. Структурные отношения, будучи отношениями системообразующими, являются существенными отношениями и в этом смысле выражают внутреннюю организацию содержания, закон взаимосвязи его компонентов.

Выделение структурных уровней развития производственных отношений неразрывно связано с принципами движения от абстрактного к конкретному, а также единства логического и исторического.

Общественное производство выступает как целостная система трех генеральных структурных уровней: технический уровень, общественно-экономический уровень (уровень общественно-производственных отношений), уровень планового руководства (организационно-экономический уровень).

Существование критерия региональной экономики обусловлено существованием территориальной организации производства, в основе которой лежат формы проявления производственных отношений на региональных уровнях.

Мы согласны с мнением ряда советских исследователей, которые в качестве критерия эффективности региональной экономики предлагают максимизацию произведенного национального дохода, взятого по отношению к примененным ресурсам рабочей силы и производственным фондам¹⁰.

⁸ См.: Экономические науки, 1980, № 7, с. 123.

⁹ Наиболее полная классификация форм эффективности социалистического производства дана в книге Егорова Е. Г. «Проблемы региональной экономики», Новосибирск, 1979, с. 51.

¹⁰ См. например: Некрасов Н. Н. Региональная экономика. «Экономика». М., 1978, с. 131; Грамотеева Л. И. Эффективность территориальной организации производства. М., 1979, с. 24, и др.

При исчислении эффективности региональной экономики необходимо ввести коэффициент, который отражал бы динамику произведенного и использованного национального дохода союзной республики.

Выбор национального дохода в качестве эффекта не случаен. В нем находят свое выражение результаты развития всех сторон экономической жизни общества, отражаются уровни развития и степень технического совершенства всех отраслей материального производства, через его величину учитывается влияние на экономику деятельности непродуцственной сферы. Без использования показателя национального дохода в практике экономического анализа эффективности производства невозможно определить важнейшие экономические пропорции расширенного воспроизводства в регионе, измерить вклад региона в народное хозяйство страны.

В отличие от других показателей (валового и конечного общественного продукта) в национальном доходе воплощаются лишь затраты абстрактного труда работников сферы материального производства, т. е. в нем нет двойного учета затрат труда. В то же время национальный доход является единым сквозным показателем для всех звеньев народного хозяйства.

В пользу использования национального дохода говорят и одни из виднейших специалистов региональной экономики акад. Некрасов Н. Н.: «Национальный доход следует рассматривать не только как важнейший синтетический показатель развития народного хозяйства, но и как обобщающий показатель экономического развития любого региона (союзной республики, экономического района СССР, области, края, автономной республики), определяющие степень его участия в территориальном разделении труда, эффективность развития производительных сил региона и его экономическую структуру»¹¹.

Необходимость применения национального дохода (чистого продукта) на уровне региона (союзной республики) обуславливается еще и тем, что в производстве очень часто применяется привозное сырье, а это в некоторой степени искажает величину эффекта.

Следует отметить, что некоторые экономисты считают показатель национального дохода неприемлемым для измерения результатов регионального производства¹².

Выдвигаемые возражения сводятся в основном к следующему:

1) на величину произведенного в регионе национального дохода оказывают значительное влияние территориальные различия в отраслевой структуре производства;

2) действующая методика исчисления национального дохода по союзным республикам не позволяет правильно учесть вклад отдельных регионов в национальный доход страны.

¹¹ Некрасов Н. Н. Региональная экономика. М., «Экономика», 1978, с. 42, 43.

¹² Рутгайзер В. М. Региональные особенности общественного производства. М., «Мысль», 1972, с. 13; Николаев С. А. Межрайонный и внутрирайонный анализ размещения производительных сил. М., «Наука», 1971; Рябцев В. М. Региональный анализ эффективности общественного производства. М., «Статистика», 1977, с. 14.

Можно согласиться с теми экономистами, которые несовершенство действующей методики исчисления национального дохода считают препятствием для использования этого показателя в практических расчетах эффективности. Однако при решении некоторых методических вопросов, связанных с исчислением национального дохода, совершенствованием ценообразования, этот показатель может достаточно хорошо отражать эффект регионального производства.

При исчислении национального дохода союзных республик методика ЦСУ СССР в качестве исходной базы использует основную стадию процесса воспроизводства—производство совокупного общественного продукта и национального дохода. Общая сумма налога с оборота по этой методике распределяется по союзным республикам централизованно, пропорционально производству облагаемой налогом с оборота продукции. При исчислении по методике Госплана СССР к национальному доходу прибавляется налог с оборота, реализованный на территории данной союзной республики. По этой методике исчисляется не произведенный, а реализованный в данной республике национальный доход. Более приемлема, на наш взгляд, первая методика, поскольку она в сравнении со второй позволяет получить более адекватные данные для изучения закономерностей движения совокупного общественного продукта и национального дохода союзных республик.

Для исчисления национального дохода в союзных республиках существенное значение имеет исчисление налога с оборота и его распределение. Налог с оборота представляет одну из форм чистого дохода, причем он изымается преимущественно из оптовосбытовых организаций по месту реализации товаров, иногда же он изымается вне пределов республики, в которой произведен. В условиях осуществления распределенческих функций цен расчет налога с оборота по месту его образования еще сложнее.

В современных условиях ценообразования, когда изъятие налога с оборота происходит в основном из оптово-сбытовых организаций, из существующих методов распределения налога с оборота по союзным республикам наиболее правильным следует признать распределение его пропорционально производству облагаемой налогами с оборота продукции. При этом необходимо последующее уточнение показателя путем прямого исчисления и определения созданного в республике налога с оборота с учетом реально производимой продукции.

При отклонениях цены от его стоимости, усложняющих определение действительного объема созданного в союзных республиках национального дохода, эту задачу можно выполнить на основе определения общественно-необходимых затрат труда. Было бы целесообразно, чтобы налог с оборота изымался и учитывался по месту его производства, то есть непосредственно в производственных предприятиях. Такая система изъятия налога с оборота будет способствовать дальнейшему совершенствованию методики исчисления национального дохода союзной республики, более точному определению объема создаваемого

в них национального дохода. Естественно, что для определения действительного объема создаваемого в той или иной республике национального дохода необходимо расчет его производить по ценам, максимально приближенным к стоимости.

Более дискуссионным, чем проблема измерения эффекта, является вопрос о качественной и количественной определенности затрат, которые необходимо учитывать при определении критерия эффективности рационального производства.

Часть экономистов включает в состав затрат только затраты живого труда¹³, другие — только средства производства¹⁴, третьи — сумму потребленных средств производства и фонда оплаты труда¹⁵.

При расчете критерия эффективности неравномерно исключать затраты какого-либо вида производственных ресурсов или включать средства труда только в размере их годового потребления, поскольку в процессе производства национального дохода участвуют все применяемые ресурсы (рабочая сила, средства труда и предметы труда). При включении всех применяемых ресурсов в обобщающий показатель экономической эффективности регионального производства встает вопрос о приведении их к одной размерности. Простое суммирование стоимости применяемых производственных фондов с фондами заработной платы не снимает проблемы, т. к. при этом суммируются несопоставимые величины — применяемые ресурсы (производственные фонды) и затраты (фонд заработной платы). Более прогрессивным является метод приведения различных факторов производства к одной размерности, при котором производственные фонды (основные и оборотные) измеряются через полные затраты труда на их воспроизводство. Практическая возможность расчета производственных фондов в трудовых оценках появилась с разработкой межотраслевых балансов: производства и распределения продукции, затрат труда и основных производственных фондов.

В качестве результатов производства региона, нацеленных на удовлетворение народнохозяйственных и региональных потребностей, целесообразным является использование национального дохода региона и вывоза продукции. Эти показатели позволяют более точно установить вклад каждого региона в общую копилку народного хозяйства.

Таким образом, при исследовании экономической эффективности производства в регионе необходимо исходить из следующего.

Во-первых, из того, что хозяйство региона представляет собой в известной степени единое целое, комплекс. Значит, необходимо исходить из «образцовой постановки небольшого целого», но именно «це-

¹³ См. Пробст А. Е. О территориальном планировании и оптимизации структуры экономических районов, «Экономико-математические методы», 1974, т. X, № 1.

¹⁴ См. Эффективность производства в регионе: резервы и прогнозы, Лениздат, 1976, с. 120.

¹⁵ См. Телепко Л. И. Уровни экономического развития районов СССР. Москва, «Экономика», 1971, с. 49—52.

лого», т. е. не одного хозяйства, не одной отрасли хозяйства, не одного предприятия, а суммы всех хозяйственных отношений, суммы всего хозяйственного оборота, хотя бы небольшой местности»¹⁶.

Во-вторых, необходимо ориентироваться на вклад хозяйства региона в народнохозяйственную эффективность, на тесную взаимосвязь повышения эффективности производства в регионе и по народному хозяйству в целом.

В-третьих, в отличие от всего народного хозяйства, хозяйство региона не замкнутая, а открытая экономическая система. Показатели, характеризующие закрытую систему, должны отличаться от показателей, характеризующих открытую систему, т. к. это обусловлено внутренней структурой этих двух систем. Следовательно, показатели, характеризующие народное хозяйство (закрытая система), должны отличаться от показателей региона (открытая система).

Современный этап развития региональной экономики характеризуется высоким уровнем экономической интеграции в рамках единого народнохозяйственного комплекса страны, что создает новую производительную силу, при которой «... общая выгода намного превышает простую арифметическую сумму слагаемых — усилий каждой республики, района и области»¹⁷.

Решение проблем эффективности общественного производства во многом зависит от решения отдельных сторон этой проблемы, одной из которых является вопрос критерия эффективности региональной экономики.

При достаточной изученности региональных особенностей экономических явлений и их взаимосвязей становится возможным сознательно использовать экономические законы, и их практическая реализация дает весомые результаты.

Представлена акад. Гугушвили П. В.

¹⁶ Ленин В. И. Поли. собр. соч., т. 43, с. 234.

¹⁷ Брежнев Л. И. Ленинским курсом. Речи и статьи, т. 4, М., Политиздат, 1974, с. 57.

ალექსანდრე ბრეჰევე, ლაშარა მინდორაშვილი
**საქართველოს სსრ ხორციისა და რძის მრეწველობა
 დიდი სამამულო ომის პერიოდში
 (1941—1945 წწ.)**

ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური ჯარების ვერაგულმა თავდასხმამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა. მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი შეწყდა. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ერთსულოვნად დაირაზმა სოციალიზმის დიად მონაპოვართა დასაცავად. კომუნისტური პარტიის მოწოდება „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ფრონტზე გამარჯვებისათვის“ თითოეული საბჭოთა ადამიანის მოქმედების პროგრამა გახდა. მოკლე დროის მანძილზე საბჭოთა ქვეყანა ერთ საბრძოლო ბაზაად გადაიქცა. ასეთ პირობებში საბჭოთა არმია და, საერთოდ, საბჭოთა ხალხი რთულ ამოცანებს უსახავდა კვების მრეწველობას, რომელსაც კვების პროდუქტებით უნდა უზრუნველყოფო ფრონტი და ზურგში დარჩენილი მოსახლეობა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხორცს, რძეს და მის ნაწარმს. მაგრამ, ომის დაწყების პირველ თვეებშივე ჩვენი ქვეყნის ხორციისა და რძის მრეწველობამ, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, დიდი ზიანი განიცადა.

ომის მსვლელობაში გერმანელმა ფაშისტ-დამპყრობლებმა დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე — უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებისა და რსფსრ — ზოგიერთი ოლქების მოსახლეობას წაართვეს, დაკლეს და გერმანიაში გარეკეს 17 მლნ სული მსხვილფეხა საქონელი; დაანგრეს ხორციისა და რძის მრეწველობის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მრავალი წვრილი თუ მსხვილი საწარმო, რომლებიც ომისწინა ხუთწლეულებში აშენდა, საწარმოთა გაწყობილობები გაიტაცეს ან განადგურდა. სსრ კავშირის ხორციისა და რძის მრეწველობის სისტემაში დროებით ოკუპირებულ რაიონებში მთლიანად განადგურდა და დაინგრა 4490 ყველ-კარაქის საწარმო, რძის ქარხანა და ხორცკომბინატი. გერმანელი ოკუპანტების მიერ მხოლოდ რსფსრ-ს ხორციისა და რძის მრეწველობისადმი მიყენებული ზარალი 442 მლნ მანეთს აჭარბებდა¹.

უაღრესად დიდი და მძიმე მოვალეობა დაეკისრა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების სოფლის მეურნეობას, რომელსაც უნდა უზრუნველყოფო ქვეყნის მრეწველობა და არმია სურსათით და ნედლეულით. ამიტომ პარტია

¹ Е. А. Поспелова, Основные вопросы размещения молочной промышленности СССР. М., 1958, с. 59; «Сообщения Чрезвычайной государственной комиссии по установлению и расследованию злодеяний немецко-фашистских захватчиков», 1945, с. 2, 3, 11.

მოუწოდებდა ზურგის რაიონების კოლმეურნეებს დაუღალავად ეზრუნათ ფერმებში პირუტყვის სულადობის გადიდების, მისი პროდუქტიულობის ამაღლებისა და სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. პარტიის ეს მოწოდება საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა, მისი განხორციელებისათვის კოლმეურნე გლეხობა ძალეზა არ ზოგავდა.

ომის პირობებში რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მრავალი ათასი შრომისუნარიანი და საწარმოო გამოცდილების მქონე მუშაკი ფრონტზე წავიდა, მათ ნაცვლად მოვიდნენ ქალები, მოზარდები და მოხუცები, რომლებთაც გამოცდილება აკლდათ. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა კადრების ნაკლებობას საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მათ აკლდათ გამოცდილი მწყემსები, მწველავები, მომვლელები, ვეტქიმიები და სხვ. ამასთან ერთად, დღითიდღე სუსტდებოდა დამამზადებელი ორგანიზაციების ტექნიკური ბაზა; ტრანსპორტის ნაკლებობა აფერხებდა ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების დროულად ჩაბარებას, რაც უარყოფითად მოქმედებდა გადამამუშავებელი მრეწველობის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზებმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. 1939—1941 წწ. მანძილზე კოლმეურნეობებში ჩამოყალიბდა 6141 მეცხოველეობის ფერმა. 1941 წ. 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა იყო 4000—209,6 ათასი სულით, თხისა და ცხვრის ფერმა 3214 — 897,5 ათასი სულით.

თუ 1939 წ. 4115 კოლმეურნეობიდან 47,2%-ს არ ჰქონდა საკუთარი მეცხოველეობის ფერმა; 1941 წლისათვის არ ჰქონდა მხოლოდ 18 კოლმეურნეობას ანუ 0,1%-ს².

საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობაში 1939—1941 წწ. მანძილზე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი გაიზარდა 429 299 სულიდან 554883 სულამდე ანუ 29,2%-ით, მათ შორის, ძროხების რაოდენობა 57,3%-ით, ცხვრისა და თხის — 539173 სულიდან 297477 სულამდე.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდისა და საკოლმეურნეო ფერმების დედა პირუტყვით დაკომპლექტების საქმეში შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს სიღნაღის, წითელწყაროს, ბოვდანოვკის, სამტრედიის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონებმა³. დიდი დახმარება გაეწია კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში.

ომით გამოწვეული სიძნელეების გამო, რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარების ტემპი რომ არ შენელებულიყო, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სახკომსაბჭომ 1942 წლის 13 აპრილის დადგენილებით დასახეს რიგი ღონისძიებები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საქონლის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის დარგ-

² მლისფა, ფოხდი 14, ანაწ. 1, ნაწ. IX, საქ. 11923, ფურც. 11.

³ იქვე, საქ. 11423, ფურც. 154.

ში ახლად ჩაბმული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, საქონლის მოვლისა და კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მიღებულ იქნა სათანადო ზომები დამზადების კანტორების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დიდი ორგანიზაციული მუშაობის გატარების შედეგად საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მეცხოველეობის დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა.

სამამულო ომის წლებში გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მასთან ერთად გადიდა საქონლის წველადობაც. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ომის წლებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდა მიმდინარეობდა არა კოლმეურნეობებში საქონლის სულადობის გადიდებით, არამედ კოლმეურნე გლეხობიდან საქონლის შესყიდვის გზით.

1941—1945 წწ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენდა (ათასობით): 1941 წ. 1572,0, 1942 წ. — 1452,2, 1943 წ. — 1506,0, 1944 წ. — 1503,2, 1945 წ. — 1503,2; ხოლო წვრილფეხა პირუტყვის სულადობა (ათასობით): 1941 წ. — 2193,6, 1942 წ. — 2210,4, 1943 წ. — 1914,2, 1944 წ. — 2056,5, 1945 წ. — 2175,0⁴. როგორც მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა, რესპუბლიკაში მილიანად მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობა მცირდება, მაგრამ იგი, როგორც ითქვა იზრდება საზოგადოებრივ მეცხოველეობაში. ასე მაგალითად, მსხვილფეხა საქონელი შეადგენდა 1941 წ. 614 ათას სულს, 1942 წ. — 620 ათას, 1943 წ. — 647 700-ს, 1944 წ. — 621 500-ს, 1945 წ. — 638,600-ს, ხოლო წვრილფეხა საქონელი 1941 წ. 973,5, 1942 წ. — 1167,4, 1943 წ. — 1104,9, 1944 წ. — 1202,4, 1945 წ. — 1322,1 სულს.

მიუხედავად საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდისა, ომის წლებში შეიძინევა პროდუქტიული მესაქონლეობის წამყვანი დარგის—მეძროხეობის შემცირება. ასე მაგალითად, თუ რესპუბლიკაში ძროხების რაოდენობა შეადგენდა 1940 წელს 562200 სულს, 1945 წლისათვის იგი შემცირდა 516500 სულამდე⁵.

რესპუბლიკის მეცხოველეობა დიდი სიძნელების წინაშე აღმოჩნდა 1942—1943 წლებში, როდესაც გერმანელი ფაშისტები შეიჭრნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და მოადგნენ საქართველოს საზღვრებს. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობა. ვარდა ამისა, ამ რაიონებიდან დიდი რაოდენობით იქნა ევაკუირებული პირუტყვი, რომელთა მოვლა-პატრონობა საქართველოს კოლმეურნე გლეხობას დაეკისრა. ჩრდილოეთ კავკასიიდან მტრის განდევნის შემდეგ კი პირუტყვი, თავის ნამატით, პატრონებს დაუბრუნდა.

ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების დამზადების გვეგის შესრულება, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებიდან შემოყვანილი პირუტყვი, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების გადიდების საშუალებას იძლეოდა. იგი ხმარდებოდა როგორც მოსახლეობას, ისე საბჭოთა არმიას და ფლოტს, აგრეთვე რესპუბლიკის ჰოსპიტლებში მყოფ დაჭრილ მეზრძოლებს.

დიდი სამამულო ომის მოთხოვნილებათა შესაბამისად განხორციელდა ხორცისა და რძის მრეწველობის სტრუქტურული ცვლილება, მის სისტემაში გა-

⁴ ა. ი. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბ., 1958, გვ. 250—251.

⁵ ორცსა (თბილისი), ფონდი 2394, ანწ. 7, საქ. 9, ფურც. 3.

ერთიანდა „საქზორცმრეწვის“⁶, „საქყველკარაქისა“ და „საქნაწლავბროლქ-ტის“ ტრესტები.

ზორცის მრეწველობის შემადგენლობაში შედიოდა 37 საწარმო, მათ შორის 11 ხორცკომბინატი (თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, სამტრედიის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ჭიათურის და გორის). ზოგიერთი მათგანის წარმოებრივი სიმძლავრე ცვლაში შეადგენდა 67 ტონა ხორცი, ხოლო ძეხვეულის საწარმოსი — 13 ტონას⁷. რძის მრეწველობის სისტემაში გაერთიანდა 29 საწარმო, მათ შორის 8 რაიმრეწვი, აფხაზეთის, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველკარაქმრეწვები; 5 ყველის ქარხანა, 10 რაიმრეწვი, თბილისის რძის ქარხანა და სხვა საწარმოები⁸. სამამულო ომის პერიოდში რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ დაბალი იყო, საწარმოებში მოქველდა გაწყობილობები, არ იშოვებოდა სათადარიგო ნაწილები, ხშირად წყობილებიდან გამოდიოდა ორთქლის ქვაბები, არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის საწვავ-საათბობი. ტრანსპორტი ვერ უზრუნველყოფდა საწარმოების გადასამუშავებელი ნედლეულით მომარაგებას, ასევე პროდუქციის დროულად გატანას⁹.

გადასამუშავებელი ნედლეულის ხარისხი უარყოფითად მოქმედებდა პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმურ დავალებათა შესრულებაზე. განსაკუთრებით გაძნელდა მუშაობა 1942 წლის ზაფხულიდან, როდესაც ფრონტი უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. შესუსტდა ეკონომიური ურთიერთობა ცენტრალურ რუსეთთან და აღმოსავლეთის ინდუსტრიულ რაიონებთან. ასეთ პირობებში უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ტექნიკური მასალების ადგილზე გამოჩახვა და მათი დამზადების ორგანიზაციის დაჩქარება. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ამ დროისათვის რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობას ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოთხოვნათა შესაბამისად დევალა რამოდენიმე ათეული ახალი სახის პროდუქციის წარმოება (რძე, მუხუნდოს რძე, ძვლის ბულიონი, გემატოგენი, მრავალი სახის ექსტრაქტი და სხვ.).

რძის მრეწველობის ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით მის დაქვემდებარებაში გადავიდა თბილისის (დიღუბისა და ნავთლულის), აგრეთვე ფოთის მაციერები¹⁰.

ომის პერიოდში რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობაში მოხდა დიდი ცვლილებები. საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეული მუშაკების ნაცვლად საწარმოებში მოვიდნენ ახალი კადრები, უმეტესად ქალები, რომლებსაც არ გააჩნდათ წარმოებაში მუშაობის გამოცდილება, ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კადრების მომზადების დაჩქარებას. ვინაიდან საწარმოთა დაქსაქსულობის გამო წარმოებიდან მოწყვეტილ მათი კვალიფიკაციის ამაღლება შეუძლებელი გახდა, კადრები მზადდებოდა ადგილზე, უშუალოდ საწარმოო პროცესების გაცნობის გზით.

⁶ მოისფა, ფოხდი, 14, ანაწ. 1, საქ. 14093, ფურტ. 153, იქვე, საქ. 269, ფურტ. 24.

⁷ ორცა (თბილისი), ფონდი 2394, ანაწ. 7, საქ. 9, ფურტ. 3.

⁸ იქვე, ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 8, ფურტ. 8, 9.

⁹ ორცა (თბილისი), ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 9, ფურტ. 8.

ბევრი ახლადმოსული მუშა ოსტატის, ოსტატის თანაშემწის, ბრიგადირის, ლაბორანტისა და მიმღების სპეციალობებს დიეუფლა. მიუხედავად ამისა, ომის წლებში ხორცისა და რძის საწარმოებს აკლდათ კვალიფიცირებულა კადრები¹⁰.

მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების სწორი ორგანიზაციის შედგენად სამამულო ომის წლებში მატულობს მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საერთო რაოდენობაში დასაქმებულ ქალთა ხვედრი წონა, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ხორცისა და რძის მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა (1941—1944 წწ.)¹¹

	1941 წ.	1942 წ.	1943 წ.	1944 წ.
მრეწველურ—წარმოებრივი პერსონალი სულ	763	861	1116	1001
მათ შორის:				
ქალები	300	336	533	492
%-ით	39,0	41,9	47,8	49,2

როგორც დავინახეთ, 1941-დან 1944 წლამდე, მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საერთო რაოდენობაში დასაქმებულ ქალთა ხვედრი წონა გაზარდილა 39,0%-დან 49,2%-მდე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია მსხვილ სამრეწველო ქალაქებში განლაგებულ საწარმოებში, მაგალითად, თბილისის ხორცკომბინატში ქალთა რაოდენობის ხვედრი წონა გაიზარდა 38%-დან(1941 წ.) 46,2%-მდე (1943 წ.)¹², თბილისის რძის ქარხანაში 37%-დან 73,5%-მდე. მნიშვნელოვნად გადიდა ქალთა ხვედრი წონა აგრეთვე სამაცივრო მრეწველობაში (თბილისი, ფოთი).

სამამულო ომის დაწყების პირველი თვეებიდანვე რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკები ჩაბმული იყვნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1942 წლის 2 ივნისს თბილისში შედგა მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა საქალაქო თათბირი, სადაც შეჯამდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ სტახანოველთა მიღწევები. ამ თათბირზე კარგი მაჩვენებლებით წარდგნენ ხორცისა და რძის მრეწველობის სტახანოველებიც.

1942 წლის მონაცემებით, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა მუშაკები ჩაბმული იყვნენ როგორც საკავშირო, ასევე თვით საწარმოებსა და სააქროებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში, აგრეთვე ინდივიდუალური ხელშეკრულებით, მაგრამ შრომის ნაყოფიერების ამ ფორმებს ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას. იყო ისეთი საწარმოები, სადაც სოციალისტური შეჯიბრება არ იდგა სათანადო დონეზე, არ მოწმდებოდა ნაკისრი ვალდებულებანი, წარმოების ნოვატორთა გამოცდილება არ იყო განზოგადებული¹³. მაგალითად, რძის მრეწველობაში 1942 წელს ინ-

¹⁰ მლისფა, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 14093, ფურც. 197.

¹¹ იქვე.

¹² ორცსა (თბილისი), ფონდი 1872, ანაწ. 1, საქ. 112, ფურც. 12.

¹³ მლისფა, ფონდი 1872, ანაწ. 1, საქ. 112, ფურც. 16.

დივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიცხვი შეადგენდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 43%-ს, მათ შორის სტახანოველი იყო 37 კაცი, ხოლო დამკვერელი — 50 კაცი (სულ 87 კაცი), რაც ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა საერთო რაოდენობის 34%-ს შეადგენდა, ხოლო მთელი სისტემის მუშაეთა საერთო რაოდენობასთან შედარებით 7,5%-ს¹⁴. მიუხედავად ასეთი ხასიათის ნაკლოვანებებისა, იყო ისეთი საწარმოები, სადაც სტახანოვერი და დამკვერელური მოძრაობა ფართოდ იყო გაშლილი, მაგალითად, თბილისის, ბორჯომის, ქუთაისის ხორც-კომბინატებში, თბილისის რძის ქარხანაში, კუშის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის ყველის ქარხნებში.

1942 წელს კუშის ყველის ქარხნის კოლექტივმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის მიიღო ფულადი პრემია. 1943 წ. ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ აგრეთვე თბილისის ხორცკომბინატის და რძის ქარხნის, კუშის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის საწარმოთა კოლექტივები; მათ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაისრი ვალდებულებები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულეს. ხორცისა და რძის მრეწველობის მოწინავეთა შორის მაღალ მწარმოებლურ შედეგს აღწევდნენ და არა ერთხელ ყოფილან დაჯილდოებული: ნ. ბოკუჩავა, გ. დვალისვილი, ტ. ზანგურაშვილი, თ. მეღაშვილი, ვ. ნახაპეტაიანი, ი. რაზმაძე, ნ. ჩერეპუხინა, ე. ბელიკოვა, ლ. იამანიძე, დ. მანელოვი და სხვ.¹⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ სტახანოველთა და დამკვერელთა საერთო რაოდენობიდან დაახლოებით ნახევარს ქალები წარმოადგენდნენ.

ფართო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად სამამულო ომის წლებში ხორცისა და რძის მრეწველობამ არა მარტო შეინარჩუნა რძისა და რძის პროდუქტების წარმოების 1940 წლის დონე, არამედ ზოგიერთი პროდუქციის წარმოების მხრივ გადაჭარბა კიდევ.

რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობამ თუ 1940 წ. აწარმოა 23513 ათასი მანეთის პროდუქცია, 1943 წლისათვის იგი გაიზარდა—28747 ათას მანეთამდე, ანუ 22,3%-ით¹⁶. ხორცის დამზადების გეგმა შესრულდა: 1941 წ. 95,9%-ით (330997 ტ.), 1942წ.—107,7%-ით (235665 ტ.), 1943 წ.—102,8%-ით (227102 ტ.).

1941 წ. წარმოებულ იქნა 2711 ტ. ძეხვი, 1942 წ. — 2592 ტ., 1943 წ. — 295 ტ. ამ პერიოდში მკვეთრად შემცირდა ზოგიერთი ხარისხის ძეხვის წარმოება, (უმეტესად მოხარშული), ნაცვლად ამისა გაიზარდა ნახევრად შებოლილი ძეხვის წარმოება, რაც აკმაყოფილებდა არმიისა და ფლოტის მოთხოვნებს.

საკვები რესურსების გაზრდის მიზნით, 1942 წლიდან დაიწყო ძვლის ბულონის გამოშვება, იგი მზადდებოდა ძეხვის წარმოების ნარჩენებიდან, რომელსაც ადრე იყენებდნენ ძვლის ფქვილის მიღებისათვის. ამასთან, გაიზარდა სისხლის გამოყენება საკვები მიზნით. 1943 წლისათვის მისმა გამოყენებამ ხორცის მრეწველობაში მიაღწია 89,1%-ს.

1942 წლიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ფართო მოხმარების საგნების წარმოებას. სამამულო ომის დაწყებამდე ხორცის მრეწველობა ფართო მოხმარების საგნებიდან ამზადებდა ღილებს, სავარცხლებს,

¹⁴ ორსვა (თბილისი), ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 8, ფურც. 12.

¹⁵ მლიფბა, ფონდი 14, ანაწ I, საქ. 14105, ფურც. 64—66.

¹⁶ იქვე, ფონდი 14, ანაწ. I, საქ. 14093, ფურც. 9.

თექის ფეხსაცმელს (უმეტესად საბავშვო) და საპონს მცირე რაოდენობით. სამამულო ომის პერიოდში ფართო მოხმარების საგნების წარმოება 1940 წელს შედარებით, თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. 1941 წელს წარმოებულ იქნა 660 ათასი მანეთის, 1942 წ. — 831 ათასი მანეთის, ხოლო 1943 წ. — 1250 ათასი მანეთის პროდუქცია. ამასთან, ათვისებულ იქნა ახალი პროდუქციის წარმოებაც, ასე მაგალითად, ტყავისა და ბეწვეულის წარმოება. თბილისის ხორც-კომბინატში დაიწყო ქურჭებისა და ჯუბების კერვა, ხოლო მათი ნარჩენებისაგან იკრებოდა ტყავის სახელოები. აქვე, 1942 წლიდან ათვისებულ იქნა წებოს წარმოება, 1944 წელს დამზადდა 52 ტონა წებო.

1942—1943 წლების მანძილზე, რესპუბლიკის ხორცის მრეწველობამ ენდოკრინოფერმენტული ნედლეულის შეგროვების ბაზაზე დაიწყო სამედიცინო პრეპარატებისა და სპეცფაბრიკატების დამზადება, მაგრამ წარმოების გაფართოებას აბრკოლებდა ამიაკის, ეთილის სპირტისა და სავიაციო ბენზინის ქაკლებობა.

სამამულო ომის პერიოდში მაღალ მაჩვენებლებს აღწევდა „საქნაწლავ-პროდუქტის“ ტრესტი, რომლის დანიშნულება იყო ძეხვის წარმოების მომარაგება პირუტყვის ნაწლავებით. საწარმოებმა დაამზადეს (ათას მანეთობით): 1941 წ.—240, 1942 წ.—327, 1943 წ.—450, ასეთ ზრდას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ 1943 წლიდან „საქნაწლავპროდუქტის“ ტრესტის სისტემაში ჩამოყალიბდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოება, სადაც მზადდებოდა მუსიკალური სიმები და ამძრავი ღვედები. 1943 წ. გამოშვებულ იქნა 90 ათასი ამძრავი ღვედი და 300 ათასზე მეტი მუსიკალური სიმი, რომლის საერთო ღირებულებამ 250 ათას მანეთს მიაღწია.

რძის მრეწველობის ძირითად პროდუქციას წარმოადგენდა ყველი (ძროხისა და ცხვრის), მათ შორის შვეიცარული. საბჭოური, პოლანდიური, გულის, თუშური, სულგუნი, მოთალი, უცხიმო ყველი და სხვ. აგრეთვე კარაქი.

რძის პროდუქტები 1944—1945 წლების მანძილზე უფრო მეტი რაოდენობით იწარმოებოდა დამზადების ხაზით, ვიდრე გადამამუშავებელი მრეწველობისა. მაგალითად, საწარმოებმა 1944 წ. გამოუშვეს 673 ტონა, 1945 წ.—524 ტ. ყველის პროდუქცია (ძროხისა და ცხვრის); დამზადების ხაზით, შესაბამისად — 1031,0 ტ. და 1001 ტ. ყველის პროდუქცია (ძროხისა და ცხვრის), 1944 წ. საწარმოებმა დაამზადეს 129,5 ტ., 1945 წ. — 123 ტ. კარაქი. ხოლო დამზადების ხაზით, შესაბამისად, 187,4 ტ. კარაქი. რძის პროდუქტების წარმოების ასეთი ტენდენცია დამახასიათებელია წინა წლებშიც, რაც დაკავშირებული იყო თვით პროდუქციის წარმოების ხასიათსა და გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალ დონესთან. აღსანიშნავია ისიც, რომ მრეწველობის საწარმოები ჯერ კიდევ ვერ მოიცავდა მრავალი რაიონის საენდლეულო ბაზას.

როგორც ითქვა, რძის გადამამუშავებელი მრეწველობა ძირითადად ამზადებდა კარაქს და ყველის რამდენიმე სახეს, მათ შორის შვეიცარულსაც, მაგრამ მისი წარმოება სამამულო ომის პერიოდში არ გაზრდილა. მაგალითად, 1944 წ. დამზადდა 109,6 ტ. და 1945 წ. 99 ტ. შვეიცარული ყველი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ყველის სპეციალიზებული ქარხნები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო რაოდენობისა და ხარისხის გადა-

სამუშავებელი ნედლეულით, გარდა ამისა, ამ ქარხნებს დაევალოთ ომის მოთხოვნების შესაბამისად ზოგიერთი ახალი სახის პროდუქციის წარმოება და რძის ძევეე პროდუქტების წარმოების გადიდება. ყველაზე უფრო მეტი რაოდენობით მზადდებოდა ცხერისა და ძროხის ადგილობრივი დამარილებული ყველი (თუშური, ჩეჩილი).

წინა წლებთან შედარებით 1944 და 1945 წწ. შეიმჩნევა ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოების მოცულობის დაკლება, განსაკუთრებით მოუხდელი რძისა და რძის ძევეე პროდუქტების (გადაყვანილ რძეზე), რაც დაკავშირებული იყო ძირითადად „საქყველკარაქმრეწვის“ ტრესტის ორგანიზაციული მუშაობის შესუსტებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ხორცისა და რძის ზოგიერთი გადამამუშავებელი საწარმო ნედლეულის შეკვეცის გამო მუშაობდა არასრული დატვირთვის, რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობამ ძირითადად შეასრულა ის საპასუხისმგებლო დავალება, რასაც საბჭოთა მთავრობა სამამულო ომის პირობებში უსახავდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად აითვისეს და დიდი რაოდენობით დაამზადეს რამდენიმე ახალი სახის პროდუქცია, რომლებიც უშუალოდ ფრონტის საჭიროებისათვის იგზავნებოდა.

საკმარისია ითქვას, რომ 1941 წლის ივნისიდან 1943 წლის ოქტომბრამდე რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების მიერ წარმოებული იყო 366,5 მლნ მანეთის ღირებულების პროდუქცია, აქედან 242 მლნ მანეთის ღირებულების, აგრეთვე რესპუბლიკაში შემოტანილი პროდუქტი 24 მლნ მანეთის ღირებულებისა სამხედრო უწყებებსა და ჰოსპიტლებს გადაეცათ.¹⁷

ომის დროს საბჭოთა არმიას და საზღვაო ფლოტს ჩაბარდა 22 ათასი ტონა ხორცი, 1700 ტ. ძეხვი, 1000 ტ. საკვები ცხიმი, 630 ტ. ყველი და სხვა პროდუქტები.¹⁸

მხოლოდ 1943—1944 წწ. მანძილზე ქვეყნის შეირაღებულ ძალებს გაეგზავნა ხორცი—14604 ტ. ანუ რესპუბლიკაში წარმოებული ხორცის მთლიანი პროდუქციის 78,1%, ძეხვეული—900 ტ., რესპუბლიკაში წარმოებული საკვები ცხიმების მთლიანი პროდუქციის 48,6%, ყველი და ბრინჯა თითქმის 500 ტ. და სხვა რძის პროდუქტები, რომლის მოცულობა შეადგენდა რესპუბლიკაში დამზადებული რძის პროდუქტების ერთ მესამედს.¹⁹ ხოლო რესპუბლიკის რძის მრეწველობამ 1941 წლის 22 ივნისიდან 1944 იანვრამდე დაამზადა და სამხედრო უწყებას გადასცა შემდეგი რაოდენობისა და სახის პროდუქცია: (იხ. ცხრილი 2).

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საბჭოთა არმიას და ფრონტს მხოლოდ ორნახევარი წლის მანძილზე მიუღია წარმოებული ყველის საერთო რაოდენობის 12,5%. ბრინჯა— 25,7%, ხოლო მოუხდელი რძის პროდუქტი რძეზე გადაყვანათ—132%. დანარ ჩენი რძის პროდუქცია სარეალიზაციოდ გადაეცა სავაჭრო ორგანიზაციებს.

¹⁷ მლისტვა, ფონდი 14, აიაწ. 1, საქ. 14093, ფურც. 163.

¹⁸ იქვე, ფურც. 9.

¹⁹ მლისტვა, ფონდი 14, აიაწ. 2, საქ. 1468, ფურც. 13. აგრეთვე ი. პ. აბალაშვილი, *Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны 1941—1945*, Тб., 1977, с. 287.

მონაცემები რესპუბლიკის რძის მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი გაგზავნილი პროდუქციის ხვედრი წონის შესახებ (1941—1944 წწ.)²⁰

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	წარმოებული პროდ. რაოდენობა	მათ შორის გადარცა სპეც. მომარაგებას	ხვედრი წონა %-ით
ცველი (სხე-დასხვა)	ტონობით	4934	620	12,5
ბრინჯა		206	53	25,7
მოუხდელი რძის პროდუქტი გადარცანილი რძეზე		6035	1933	32,0

სამამულო ომის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია, ეს მაჩვენებელი შეადგენდა (ათას მანეთობით 1926/27 წწ. უცვლელ ფასებში): 1940 წ.—20655, 1941 წ.—23844, 1942 წ.—22426, 1943 წ.—27522, 1944 წ.—31480, 1945 წ.—29248²¹. ე. ი. მთლიანი პროდუქცია 1940—1945 წწ. მანძილზე 41%-ით გადიდა.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ხორცისა და რძის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია სამამულო ომის წლებში აღმავლობით ხასიათდება. 1940—1945 წლების მანძილზე იგი გაიზარდა 41,6%-ით.

1941 წ. ხორცის მრეწველობის საქონლური პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება 96,3% უდრიდა, რამაც თავის მხრივ საქონლური პროდუქციის სრული კომერციული თვითღირებულება გეგმისთან შედარებით გაზარდა 0,2%-ით, ხოლო 1940 წელთან შედარებით 2,3%-ით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,3%-ისა. ამის მიზეზი კი იყო დაბალი კონდიციის პირუტყვის ხორცის გადამუშავება, რომელმაც შეამცირა ცოცხალი წონის პირუტყვიდან ხორცის მიღების რაოდენობა.

1942 წელს საქონლური პროდუქციის კომერციული თვითღირებულება უდრიდა 95,5%, რამაც სრული კომერციული თვითღირებულება გაზარდა 78,7 ათასი მან. ანუ 0,7%-ით, წინა წელთან შედარებით კი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,5%-ისა შეამცირა 373,7 ათასი მან. ანუ 3,3%-ით. ამის მიზეზი იყო: ნედლეულის ეკონომია 307,9 ათასი მან., ანუ 3,4%, საქარხნო ხარჯების — 11 ათასი მან., ანუ 2,0%, საერთო საქარხნო ხარჯების—74,2 ათასი მან., ანუ 10,7% და კომერციული ხარჯების—93,1 ათასი მან. ანუ 18,5%.

ნედლეულის ეკონომია წინა წელთან შედარებით უნდა აიხსნას იმით, რომ შემცირდა ძეხვის მისაღებად შემოზიდული ხორცის ხვედრი წონა. ასე მაგ., ძროხის ხორცის საერთო რაოდენობაში შემოზიდული იკავებდა 1942 წ.—26,7%, ნაცვლად 1941 წ.—84,2%, ძროხის—5,8%, ნაცვლად 1941 წ.—11,4%, ცხვრის—09%, ნაცვლად 1941 წ.—5,6%.

²⁰ მლისფა, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 14105, ფურც. 93.

²¹ მლისფა, ფონდი 14, ანაწ. 1, საქ. 14093, ფურც. 199.

რძის მრეწველობის საშუალო-წლიური საქონლური პროდუქციის თვითღირებულება შეადგენდა (ათას მანეთობით): 1941 წ. — 10813,6; 1942წ. — 11962,4; 1943 წ. — 13548,9; 1945 წ. — 15151,4.²²

1944—1945 წწ. საშუალო-წლიური საქონლური პროდუქციის თვითღირებულება გადიოდა 40,1%-ით.

1942 წლის მონაცემებით ერთი ცენტნერი რძის პროდუქციის თვითღირებულება უდრიდა:

ცხრილი 3

პროდუქციის თვითღირებულების გეგმური დავალების შესრულება 1942 წ.

(ერთი ცენტნერი)²³

პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	1942 წ. გეგმა	შესრულება ფაქტ.	გადახარჯვა
1. კარაქი	მან.	910—00	1039—18	124—18
2. შვეცარული ყველი	—	708—61	729—61	21—06
3. პოლანდიური ყველი	მან.	659—83	672—16	12—33
4. თელმური ყველი	"	528—00	543—38	15—38
5. ბრინჯა	"	1050—69	1320—08	269—39
6. კობის ყველი	"	854—41	1127—43	273—02
7. ერბო	"	550—64	593—58	62—94
8. ყველი გლეხური	"	275—39	286—71	11—32

მოტახილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1942 წელს ერთი ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება, გეგმური დავალებასთან შედარებით, მაღალია, რაც დაკავშირებულია თითქმის ყველა ძირითადი პროდუქციის წარმოების გადახარჯვასთან, უმეტესად ეს ჩანს კარაქის წარმოებაში — 124 მან. და 18 კაპ., ბრინჯის (ცხიმინი) — 269 მან. და 39 კაპ., კობის ყველზე — 273 მან. და 2 კაპ. მნიშვნელოვანია გადახარჯვა აგრეთვე მსხვილი ყველის წარმოებაზეც. პროდუქციის წარმოებაზე გადახარჯვის ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თელავის, წითელწყაროს რაიონების ყველმრეწველობაში, სიონისა და წალკის ყველის ქარხნებში და სხვ. ამავე წელს (გეგმურ დავალებასთან შედარებით) დაიკლო შემდეგი სახის პროდუქციის თვითღირებულებამ: საბჭოური ყველი — 12 მან. და 84 კაპ., მოთალი — 134 მან. და 32 კაპ., მოხდილი ყველი — 12 მან. და 64 კაპ., სულგუნი — 9 მან. და 16 კაპ. როგორც ჩანს, ყველაზე დიდი რაოდენობით პროდუქციის თვითღირებულებამ დაიკლო მოთალის წარმოებაზე (134 მან. და 32 კაპ.)²⁴. ეს გამოწვეული იყო ზოგიერთ გატარებულ ტექნოლოგიურ ცვლილებებზე — ნაცვლად სრულცხიმინისა, დამზადდა სტანდარტული ყველი.

ძირითადი პროდუქციის წარმოებაზე გადახარჯვა, რაც შემდეგ წლებშიც შეიმჩნევა, იწვევდა პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. მაგალითად, 1944 წელს გეგმა ითვალისწინებდა პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას 1,1%-ით, ფაქტიურად გაძვირდა 15,5%-ით. პროდუქციის თვითღირებულების ზარდა გამოწვეული იყო ძირითადი პროდუქციის წარმოების გეგმური დავალების შეუსრულებლობით, აგრეთვე ზოგიერთ საწარმოში ხელ-

²² ორცა (თბილისი), ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 8, ფურც. 11.

²³ იქვე, საქ. 8, ფურც. 4.

²⁴ ორცა (თბილ სი), ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 8, ფურც. 11^ა.

ფასის ფონდის გადიდებით. პროდუქციის თვითღირებულებას აძვირებდა ტარაზე გაწეული ხარჯებიც, აგრეთვე ტექნოლოგიური რეჟიმის უხეში დარღვევის შემთხვევები. ვადასამუშავებელი რძის დაბალი ხარისხი უარყოფითად მოქმედებდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხსა და ასორტიმენტზე. მაგალითად, 1944 წ. უმაღლესი ხარისხის კარაქი მიღებულ იქნა 38% (გეგმით 51%), მსხვილი ყველი „ექსტრა“ — 2,9% (გეგმით 4,7%), წვრილი ყველი — 2,5% (გეგმით 7%).

აღსანიშნავია ისიც, რომ რძის პროდუქტების არანორმალურ პირობებში შენახვისა და ტრანსპორტირების გამო 1944 წელს და 1945 წლის რვა თვის მანძილზე 8,7 ტონა დაფშენილი ყველი ანუ წარმოებული ყველის საერთო მოცულობის 0,3% ჩამოიწერა, როგორც საკვებად უყვარგისი. ბოგდანოვის რაიყველმრეწვიდან მიღებული 107 ტონა ყველიდან 86 ტონა აღმოჩნდა მცირე ნაჭრებად დაშლილი, ხოლო 3,7 ტონა საკვებად უყვარგისი. თბილისის რძის ქარხანამ თეთრიწყაროს რაირძემრეწვიდან მიიღო 221 კგ არაყანი, რომლის მოხმარება ჰიგიენური და სანიტარული პირობების გამო შეუძლებელი იყო. ყოველივე ამის შედეგად ზოგჯერ პროდუქციის რეალიზაციის ფასი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ფაქტიური თვითღირებულება, მაგალითად, 1945 წელს ერთი ცენტნერი შვეიცარული ყველის ქარხნული თვითღირებულება შეადგენდა 701 მან. და 20 კაპ., საბჭოური ყველის — 871 მან. და 58 კაპ., პოლანდიური ყველის — 690 მან. და 70 კაპ., რეალიზაციის შედეგად ამოღებულ იქნა შვეიცარული ყველიდან — 514 მანეთი, საბჭოური ყველიდან — 454 მანეთი, პოლანდიურიდან — 398 მანეთი²⁵. ამრიგად მხოლოდ მსხვილი ყველის რეალიზაციიდან მიღებულ იქნა ზარალი 381,8 ათასი მანეთის ოდენობით. მიუხედავად ასეთი ხასიათის ნაკლოვანებისა სხვა პროდუქციის წარმოების უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლების მოპოვებით და რეალიზაციით რძის მრეწველობა სამამულო ომის პერიოდში აღწევს მნიშვნელოვან მოგებას, მაგალითად, 1941 წელს იგი შეადგენდა 2930 ათას მანეთს, ხოლო 1945 წელს — 1121 ათას მანეთს.

1944—1945 წლებში ხორცისა და რძის მრეწველობის როგორც აპარატის, ისე საწარმოების სუსტი მუშაობის მიზეზები გამოვლენილ და საფუძვლიანად შესწავლილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები მუშაობის გარდაქმნისათვის, რაც განხორციელდა მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში.

დიდი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა უძნელესი ვითარების მიუხედავად შესძლეს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელება, რითაც, რესპუბლიკის სხვა მშრომელებთან ერთად, მხიშველოვანი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე დიდი გამარჯვების საქმეში.

²⁵ ორსტა (თბილისი), ფონდი 2394, ანაწ. 9, საქ. 11, ფურც. 1—5.

А. И. БРЕГВАДЗЕ, Л. А. МИНДОРАШВИЛИ

МЯСНАЯ И МОЛОЧНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ ГРУЗИНСКОЙ ССР
 В ПЕРИОД ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ
 (1941—1945 гг.)

Резюме

С самого начала Великой Отечественной войны в соответствии с военным положением были осуществлены структурные изменения в мясной и молочной промышленности республики. В ее систему были объединены тресты «Грузмяспром», «Грузсырмасло», «Грузкишкапром». В годы Отечественной войны техническая база мясной и молочной промышленности республики была на низком уровне, что создавало большие трудности в выполнении возложенных на нее обязанностей. В то же самое время им было поручено освоение до 30 наименований новой продукции, в т. ч. медицинских препаратов. В кратчайшие сроки были решены вопросы обеспечения бесперебойной работы предприятий и подготовки новых рабочих кадров, пришедших в производство (стариков, женщин, детей). В годы войны увеличивается удельный вес женщин, занятых в производстве мясной и молочной промышленности. Если в 1941 г. этот показатель составляет 39%, то в 1944 г. он возрос до 49,2%. На предприятиях широко развернулось стахановское движение и ударничество. Коллективы нескольких предприятий (Тбилисский мясокомбинат, молочный завод, кушские, ахалкалакские, богдановские сырные заводы и др.) часто выходят победителями республиканских и союзных развернутых социалистических соревнований.

В годы Отечественной войны увеличивается валовая продукция мясной и молочной промышленности. Этот показатель составлял (в тыс. руб. в неизменных ценах 1926—1927 гг.), в 1940 г. — 20655, в 1941 г. — 23844, 1942 г. — 22426, 1943 г. — 27525, 1944 г. — 31480, 1945 г. — 29248. Таким образом, валовая продукция за 1940 г. — 1945 гг. увеличилась на 41,6%. Вместе с увеличением производства мясной и молочной продукции, было освоено и произведено несколько продуктов нового образца только для нужд вооруженных сил страны. В годы войны Советской Армии и Морскому флоту было сдано 22 тыс. тонн мяса, 1700 тонн колбасы, 1000 тонн питательных жиров, 630 тонн сыра и других продуктов.

Только в 1943—1944 гг. Вооруженным силам страны было послано 14604 тонн мяса или 78,1% валовой продукции производимого в республике мяса, 900 тонн колбасных изделий, 48,6% валовой продукции производимых в республике жиров, почти 500 тонн сыра и брынзы и других молочных продуктов, объем которых составлял $\frac{1}{3}$ произведенной в республике молочной продукции. В годы Великой Отечественной войны трудовые коллективы предприятий мясной и молочной промышленности, несмотря на тяжелые условия, с успехом осуществляли задачи, поставленные перед ними Коммунистической партией и Советским правительством.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განიარბებისა და ეკონომიკური აზრის განყოფილებამ

დალი შენგელია

მეხილეობა საბჭოთაგდელ საქართველოში

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებით, ტოპონომიკური მონაცემებით, ვაზისა და ხეხილის როგორც კულტურული, ისე გარეული და გაგარეულებული ჯიშების სიმრავლით, ანტიკური პერიოდის უცბოელ მწერალთა და მეცნიერ-მოგზაურთა წერილობითი ცნობებით, ლეგენდებით და სხვა სარწმუნო წყაროებით დასტურდება რომ საქართველო წარმოადგენს მევენახეობისა და მეხილეობის ერთ-ერთ უძველეს კერას, ვაზისა და ხეხილის ერთ-ერთ სამშობლოს.

„უკვე ასურული ლურსმული წარწერებისა და წყაროებითგან ჩანს,—წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი — რომ მუსკებს და ტაბალებს მევენახეობა ჰქონიათ.... ამიტომ, ცხადია, რომ მიწისმოქმედების სხვა დარგებიც, მათ შორის მეხილეობა, მეხილეობაც იქნებოდა გავრცელებული. შემდეგშიც ჭანებს შავი ზღვის სანაპიროზე და იბერ-მესხ-კოლხებს ამიერკავკასიაში, ქსენოფონტესა და სტრაბონის ცნობებით, თავიანთ სამშობლოში ყველაფერი ჰქონიათ. საქართველო მათ ყოველგვარი სიკეთით შემკულ, ყოველნაირი ხეხილითა და ნაყოფით სავსე ქვეყნად აქვთ დახასიათებული... მეხილეობის ასეთი მრავალფეროვნება, უეჭველია, იმის მომასწავებელია, რომ მეხილეობა საქართველოში ძალიან განვითარებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი ბერძენთა ზემოდასახელებულ მწერლებს კონკრეტული ცნობები მოყვანილი არა აქვთ, ამიტომ მაშინდელი მეხილეობის შესახებ რეალურად არაფერს თქმა არ შეიძლება.“¹ ამასთან, მეცნიერს ჭეშმარიტად მიაჩნდა ის გარემოება, რომ როგორც შუამდინარეთიდან და მცირეაზიიდან გადმოსულებს და ასურელთა მეზობლებს, ქართველ ტომებსაც მეხილეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა გაძლიერების ისეთივე მაღალი ცოდნა და კულტურა უნდა ჰქონოდათ, როგორითაც განთქმული იყო ძველი აღმოსავლეთი.

საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობასთან ერთად მეხილეობის ხანგრძლივი ისტორიის შესახებ მეტყველებენ ურარტურ მეფეთა წარწერები (ძველი წელთაღრიცხვის 1 ათასწლეული), რომლებიც პროფ. გ. მელიქიშვილმა ამოიკითხა. „როგორც ლეთაება ხალდიმ მიბრძანა, — გვამცნობს ერთ-ერთი წარწერა—იმგვარად მე ეს ვენახი გავაშენე და იქ ნათესი მინდვრის და ბაღის მოწყობა ვბრძანე“². ურარტუსადმი მიძღვნილ სხვა გამოკვლევაში მეცნიერი ასკვნის, რომ მაშინდელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს.

¹. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, ტფ., 1934, გვ. 108.

². გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961, გვ. 109.

მეცხოველეობასთან ერთად საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული მევენახეობა და მეხილეობა³.

თუ ეს დასკვნა ტექსტითაა, ე. ი. თუ ურარტუს ეპოქაში მევენახეობა და მეხილეობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მაშინ ბუნებრივია, რომ ამ დარგთა ისტორიის საწყისები უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქლიავის, ალუჩის, ვაშლის, კომშის, ბლის, ბროწეულისა და კაკლის ნარჩენების, ატმის კურკისაგან დამზადებული მძივებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, რომელთა ხნოვანებაც ძველი წელთაღრიცხვის II—I ათას წლებით თარიღდება, აკად. ბ. ბ. პოტროვსკის მიაჩნია, რომ მებაღეობა ამიერკავკასიაში ურარტუელთა მისვლამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, ხოლო ბაღების მშენებლობამ ურარტუს ეპოქაში კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო⁴. ასეთ თვალსაზრისზე დგას აკად. პ. მ. ჟუკოვსკიც, რომელიც მიუთითებს, რომ ქართველები, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, უძველესი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მატარებელი არიან და საცხებით ბუნებრივია, რომ აქ შენარჩუნებულა ხეხილისა და სხვა მცენარეთა უამრავი სახეობა⁵. ვ. ნ. გევესკი, რომელმაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეისწავლა მეხილეობის მდგომარეობა მესხეთში (ე. ი. სამხრეთ საქართველოში), შენიშნავს, რომ კარგი ჯიშის ვაშლი რუმინელებმა და ბერძნებმა ევროპაში გადაიტანეს მცირე აზიიდან, კავკასიიდან და კასპის ზღვის სანაპიროებიდან... ახალციხის ძველ ბაღებში გვხვდება ვაშლისა და მსხლის ძირები, რომელთა დიამეტრი ერთ არშინზე მეტია. ეს გარემოება კი, — მისი აზრით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეხილეობას ახალციხეში მისდევდნენ შორეული დროიდან, როცა ევროპის საუკეთესო ვაშლისა და მსხლის ჯიშები ჯერ კიდევ არ იყო გამოყვანილი⁶.

დადგენილია აგრეთვე, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში დიოსკურია (ე. ი. სოხუმი) წარმოდგენდა სავაჭრობის ბაზას, უპირატესად მცირე აზიასა და ინდოეთში ადგილობრივი წარმოების ყურძნის, ღვინისა და ხილის გასატანად⁷.

საქართველოში მეხილეობის უხსოვარი დროიდან არსებობის დასტურად შეიძლება მოგვეტანა აგრეთვე პომელოსის, პეროდოტეს, ჰიპოკრატეს და ანტიკური პერიოდის სხვა მწერალთა და მეცნიერთა გამონათქვამები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამისათვის ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიც საკმარისია.

მევენახეობასთან ერთად მეხილეობით ქართველი ხალხის ძლიერი გაცაცების, ამ დარგისადმი მისი დიდი სიყვარულისა და დაუტყობელი ზრუნვის, მათი გაძლიერების მაღალი კულტურისა და სხვა გარემოებათა შესახებ ცნობები შემდგომი ხანის მწერალთა და მეცნიერთა ნაწერებშიც უხვად მოგვეპოვება. ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის გადმოცემით მესხეთის მკვიდრებს, როგორც თავიანთი შრომისა და ცოდნის წყალობით დახელოვნებულ მიწათმოქმედებს, მიუხედავად მთაგორიანი ადგილისა, ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილნაყოფიც საკმაოდ

³ გ. მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ. 37.

⁴ Пиотровский Б. Б. Ванское царство (Урарту), М., 1959, с. 144.

⁵ Жуковский П. М. Культурные растения и их сородичи, М., 1971, с. 306.

⁶ Сборник Кавказского общества сельского хозяйства, т. II, Тифлис, 1879, с. 30.

⁷ კ. მოღებაძე, მეღვინეობა, თბ., 1959, გვ. 12.

ჰქონიათ, ხოლო მე-10 საუკუნის არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ისტაპარის ცნობით იმდროინდელი თბილისი მეტად აყვავებული, ხილ-ბოსტნეულთა და ნათესებით გარემოცული ქალაქი ყოფილა⁸.

ეს ცნობები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებთან ერთად ხილიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მისი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ეს იმითაც დასტურდება, რომ მე-10 და მე-11 საუკუნეებში მოსახლეობას სახელმწიფო და საეკლესიო გადასახადებს ხილითაც ახდევინებდნენ⁹. მეხილეობის ასეთი როლით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ხილის თვალსაჩინო ხვედრითი წონით და ამ დარგის განვითარების მაღალი დონით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში „მეკუტურქლეთუხუცესის“, „მედღინეთუხუცესის“ და სხვა სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობებთან ერთად „მეხილეუთუხუცესის“ თანამდებობაც არსებობდა¹⁰.

როგორც ჩანს, ქართველი მიწისმოქმედი ვენახისა და ბაღბოსტნის გაშენებისა და ამ ძვირფას კულტურათა მოვლა-მოყვანისათვის არც ძალღონეს ზოგავდა და არც ქონებრივ სახსრებს. მე-9 საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს ცნობით შავშეთისა და კლარჯეთის მთავარიან, ძნელად მისასვლელ ადგილებში დამკვიდრებულ ბერებსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ იქ სახნავი და თვით სათიბი მიწებიც თითქმის არ მოიპოვებოდა, დიდს „ჭირითა და ურვიით“ მცირე ზომის ვენახი და ბაღ-ბოსტანი მაინც ჰქონიათ გაშენებული¹¹.

ხილის, ბალის და მეხილეობის (მეხილეობის) შესახებ არაერთი ცნობაა წარმოდგენილი აგრეთვე მომდევნო პერიოდის ქართველი მწერლების—გიორგი მთაწმინდელის, იოანე შავთელის, სარგის თმოგველის, შოთა რუსთაველისა და სხვათა მხატვრულ ქმნილებებში, ხოლო უფრო გვიან, „მეხილეობის ინტენსიურმა განვითარებამ, მისმა მრავალფეროვნებამ და ფართო გამოყენებამ... თავისა ასახვა პოემა მე-17 საუკუნის ქართული პოეზიის სიტყვაკაზმული მწერლობის ისეთ ნიმუშებში, როგორიცაა: გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“, თეიმურაზ II „ხილთა ბაასი“, პაპუნა ორბელიანის „ხილთა ქება“ ანბანზე თქმული და სხვ. ყველა აღნიშნული ნაწარმოები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იქ ხილეულის მრავალფეროვნების, გამოყენება-გაერცელების მნიშვნელოვანი გარემოებებია განხილული. ამასთან, მათში ხსენებული ხილეულის მთელი რიგი ჯიშები დღევანდელი ბაღების იშვიათ ეგზემპლარებს წარმოადგენენ¹²“.

საქართველოს ბაღ-ვენახებით, ამ დარგთა გაძლიერების კულტურით და პროდუქციის მაღალი ხარისხით მოხიბლულა მე-17 საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენიც. „კავკასიის მთა, — წერდა იგი, — მთელ სიმაღლეზე მოსავლიანია; აქ უხვად არის თავლი, ხორბალი, ღომი... აგრეთვე ღვინო,

⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, ტფ., 1934, გვ. 110—111.

⁹ ათონის მონასტრის აღაპთა კრებული მოსე ჯანაშვილის რედაქციით, 1875, გვ. 15.

¹⁰ ხელმწიფის კარის ვარიგება, პროფ. ექვთ. თაყაიშვილის გამოც. ტფ., 1920, გვ. 8.

¹¹ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა), თბ., 1978, გვ. 152.

¹² საქართველოს მეხილეობა, 1, მთავარი რედაქტორი პროფ. ნ. ხომეზურაშვილი, თბ., 1969, გვ. 132.

ხილი, ღორი და მსხვილფეხა საქონელი¹³. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მორწყული მიწები საქართველოში.. „უხვად იძლევა სხვადასხვა სახის მარცვლეულის, მწვანეხილისა და ხილის მოსავალს... ხილი საუცხოოა და მრავალნაირი. ვერობის არც ერთ ადგილას არ მოდის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი. აზიაში არსად მოიძებნება აქაურზე უკეთესი ბროწეული“¹⁴.

იმავე საუკუნის იტალიელი მისიონერი პიეტრო დე ლაველა ხეხილის მოვლა-მოყვანაში დახელოვნებულ ქართველებს ბაღებითა და მებაღეობით მსოფლიოში ძველთაგანვე განთქმულ სპარსელებზე უფრო მაღლა აყენებდა. მისივე გადმოცემით ირანის შაჰის შაჰ-აბასის კარზე სამუშაოდ მიუწვევიათ მებაღეობის ჩინებული მცოდნე ვინმე გიორგი, რომელიც საქართველოს (კახეთის) დედოფლის — წამებული ქეთაევანის მხლებელი ყოფილა¹⁵.

საქართველოს მეზალოების შესახებ ანალოგიური ცნობებია მოცემული რიგ სხვა მეცნიერთა და მოგზაურთა ნაწერებში, ხოლო ამ დარგისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა ვადაგილება-გავრცელების ზონების, განვითარებისა და ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მათი როლის შესახებ უფრო დეტალური და სარწმუნო მონაცემები დაგვიტოვა მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა). ამ სახელოვანი მეცნიერის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა გავრცელების მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ზონებად დაყოფის პირველ ცდას, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი ღირებულება, ვახუშტის ცნობით, მეხილეობას, ისევე როგორც მევენახეობას, მეტ-ნაკლები ზომით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მისდევდნენ და ბევრგან (განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში) ეს ორი დარგი შემოსავლისა და მამასადამე, ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოს ეკონომიკასა და ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებაში მევენახეობისა და მეხილეობის დიდი მნიშვნელობა უთუოდ კარგად გაეგებოდათ სხვა, პირველ რიგში კი, მეზობელ ქვეყნებსაც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენი სამშობლოს მტრები—სპარსი, თურქი და სხვა დამპყრობლები, რომლებიც სხვადასხვა დროს აოხრებდნენ და ძარცვავდნენ საქართველოს, ხელაღებით ჩეხავდნენ და წვავდნენ ბაღ-ვენახებსაც, რათა ამით არსებობის უმნიშვნელოვანესი წყარო მოესპოთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ხალხისათვის.

მაგრამ ქართველ ხალხს შემოსავლისა და გამორჩენის ამ ძირითადი წყაროს გარეშე თავის აწმყოსა და მომავალზე ფიქრიც კი არ შეეძლო. თანაც, მას ეს დარგები მარტოოდენ გამორჩენის წყაროდ როდი მიაჩნდა. როგორც აღია ჰაეჰავაძე წერდა, „ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომ, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩენის წყაროდ კი არ მიაჩნდა, არამედ იმ წინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და

¹³ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1975, გვ. 270.

¹⁴ იქვე, გვ. 296.

¹⁵ დ. შავლიაშვილი, მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1, თბ., 1974, გვ. 16.

მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებური გლენჯაკის თვალში მის ვენახს, მის ხეხილს ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია—ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი საღაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა¹⁶.

წინაპართა ჯაფის, გარჯისა და მხნეობის ამ კემშარიტ საღაროსა და გამორჩენის წყაროსადმი ხალხის უანგარო სიყვარულმა, უტეხმა ნებისყოფამ, დაულაღავემა შრომამ და საქართველოს მადლიანმა ბუნებამ ძლიეს ყოველივეს. უხსოვარი დროიდან ვახსა და ხეხილს შეზრდილმა ქართველმა ხალხმა შეძლო არნახულ ქარცეცხლსა და განსაცდელში გამოეტარებინა და ჩვენამდე მოეტანა სოფლის მეურნეობის ეს ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი დარგები.

ქვეყნის ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენისა და კულტურულ—ეკონომიკური აღორძინების საქმეში ჯეროვანი როლი შეასრულა საქართველოს რუსეთთან შეერთებამ. ცარიზმის თვითმპყრობელური სახელმწიფო ახორციელებდა ეროვნული ჩაგვრისა და კოლონიური ძარცვის პოლიტიკას, რაც თავდაზნაურთა, ეკლესიების, ვაჭარ-მეფახშეებისა და საზოგადოების გაბატონებული ნაწილის სხვა წარმომადგენელთა მხრივ უღმობელ ექსპლოატაციასთან ერთად, მძიმე ტვირთად აწვა მშრომელთა და განსაკუთრებულ განაპირა მხარეების მოსახლეობის ძირითად მასებს. მაგრამ, ამასთან ერთად, რუსეთი წარმოადგენდა იმ დროისათვის მაღალი კულტურის, მოწინავე ლიტერატურის, მეცნიერების, მოწინავე იდეებისა და ეკონომიურად საკმაოდ ძლიერ ქვეყანას, რის გამოც მასთან შეერთებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საქართველოს სახალხო მეურნეობისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება და უფრო სწრაფი განვითარება.

რუსეთის ცარიზმი და ბურჟუაზია დანტერესებული იყვნენ იმით, რომ საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია გადაეტეიათ იაფი სამრეწველო ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმწოდებელ მხარედ, რუსეთის აგრარულ-სანედლეულო დანამატად. ამისათვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო შესაბამისი დარგებისა და კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

1850 წელს მეფის ნაცვლის მ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსდა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ზრუნვა, როგორც მარცვლეულისა და სხვა ერთწლიან კულტურათა, ისე მეხილეობის, მევენახეობა-მელენეობის სხვა დარგთა განვითარებისათვის, მათი შემდგომი გაფართოებისა და პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის.

ამვე დროიდან ძლიერდება თვით ქართველი მოღვაწეების ყურადღება და ინტერესი ეროვნული სოფლის მეურნეობისა და, პირველ რიგში, მისი ტრადიციული დარგების—მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისადმი.

1862 წელს გამოსვლა დაიწყო პირველმა ქართულმა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალმა „გუთნის დედამ“, 1868 წლიდან გამოდიოდა ყოველკვირეული „სასოფლო გაზეთი“, 1887 წლიდან — გაზეთი „ცისკარი“ (კვირაში ორჯერ), 1888 წლიდან ყოველკვირეული გაზეთი — „მეურნე“, 1909 წლიდან — ორკვირეული სასოფლო-სამეურნეო საოჯახო ჟურნალი „მოსავალი“, 1912 წლიდან—ყო-

ველკვირეული სამეურნეო-საოჯახო ეურნალი „სასოფლო გაზეთი“ და სხვ. ამ პერიოდული გამოცემებისა და აგრეთვე გაზ. „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა ძრავალგვარი ცნობები მეხილეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა მდგომარეობის შესახებ, რჩევა-დარიგებანი ხეხილოვან მცენარეთა, ვაზისა და სხვა კულტურათა მოშენების, მოვლა-მოყვანისა და ჯიშობრივი გაუმჯობესების შესახებ; წერილები სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგთა და, მათ შორის, მეხილეობის გაძლიერებაში მოპოვებული, როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ და ა. შ.

მეხილეობის განვითარების, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ერთ-ერთი ხელშეწყობი ფაქტორი გახდა აგრეთვე ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო. ერთი მხრივ, იმატა ხილის გატანამ საზღვარგარეთ, ხოლო მეორე მხრივ, გაიზარდა მასზე საშინაო (როგორც საქართველოს, ისე რუსეთის) ბაზრის მოთხოვნილება. ამასთან ხილის მნიშვნელოვან ნაწილს მისი მწარმოებლებისაგან ადგილზევე ყიდულობდნენ ე. წ. — „ბაყლები“ (გადაწყვიდელები), რომლებიც ამით კიდევ უფრო აძლიერებდნენ მეხილეობის სავაჭრო-სასაქონლო ხასიათს. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, საქართველოს მეხილეობის ძირითად რაიონში — გორის მაზრაში, 1890-იანი წლების შუა ხანების მონაცემებით, თითოეული ძირი ვაშლის ხის საშუალო მოსავალი 5—8 ფუტს აღწევდა. აქედან 4—5 ფუთი, ე. ი. ნახევარზე მეტი გაჰქონდათ გასაყიდად და, მაშასადამე, საქონლად იქცეოდა, ხოლო დანარჩენს შინ მოსამარად იყენებდნენ¹⁷.

ქართველ მეხილეთა დაინტერესებას და ინტენსიური მეხილეობის განვითარებას ერთგვარი ბიძგი მისცა იმანაც, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე, რომელთა მოწყობაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, მათ საშუალება ეძლეოდათ, ერთის მხრივ, დარწმუნებულიყვნენ საკუთარი მიღწევების სხვათა მიერ მოწონება-აღიარებაში, ხოლო მეორე მხრივ, გაცნობოდნენ რუსეთის სხვა კუთხეებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას, ხეხილის ჯიშებს, მისი გაშენება-შოვლის პროგრესულ მეთოდებს და დაენერგათ ისინი თავიანთ მეურნეობებში.

ისტორიამ შემოგვინახა სახელები გასული საუკუნის მეორე ნახევრის არაერთი ენთუზიასტისა, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოში ხეხილის საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების გამოვლინებასა და გავრცელებაში, მაღალხარისხოვანი ევროპული ჯიშების შემოტანასა და დანერგვაში, მეხილეობის ახალ და ეფექტიან აგროლონისძიებათა პოპულარიზაციაში, ამ დარგისადმი ხალხის სიყვარულის, რწმენისა და დაინტერესების განმტკიცება-გაძლიერებასა და, მაშასადამე, მის უფრო ინტენსიურად განვითარებაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ი. ფურცელაძე (სოფ. მერეთი), ნ. კეცხოველი (სოფ. ტყვიავი), ს. ხეთაგური (სოფ. ნიქოზა და კასპი) და სხვები. ამ სახელოვანი მამულიშვილების მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ მათ თავიანთ სოფლებში მოაწყვეს ხეხილის საცდელი სანერგეები, სადაც აშენებდნენ, ცდიდნენ და ამრავ-

¹⁷ Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, ч. 1, Тифлис, 1895, с.

ლებდნენ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ჯიშებს. ამრავლებდნენ, და ამ საქმეში კარგად სპეციალდებოდნენ, შემდეგში თვითონაც მისი ენთუზიასტები, ხდებოდნენ, და თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას მომავალ თაობებს გადასცემდნენ¹⁸.

საქართველოში მეხილეობის განვითარებას და მისი კულტურის ამაღლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ი. წინამძღვრიშვილმა, ი. ჭავჭავაძის, ი. ვაგებაშვილისა და სხვა პროგრესულ მოღვაწეთა მხარდაჭერით, 1883 წელს თავის მშობლიურ სოფელში (წინამძღვარიანთკარი) გახსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც ამზადებდა საშუალო განათლების სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. ეხებოდა რა ამგვარი სკოლების დაარსების მნიშვნელობას და მიზანშეწონილობას, ი. ჭავჭავაძე წერდა: „რამოდენა შეუძლიან ჩვენს ქვეყანას ან ხილი მოიყვანოს, ან ღვინო დააყენოს, რამოდენა ადგილი უჭირავს ხილნარსა და ვენახებსა, რამოდენა შესაძლო, რომ კვლავ დაიჭიროს სავენახე და სახილნარე ადგილები, რა ადგილი უფრო რის მომცემია, სად რა სიკეთის ხილი და ღვინო მოდის,—ამაებისა ჩვენ თვითონ ძალიან ცოტა რამ ვიცით, და იმათ, რომელთაც ამ მხრივ შეველა ჰსურთ ქვეყნისა, ხომ სრულებით არა იციან-რა“¹⁹. თავისი ქვეყნის ეს დიდი მოჭირნახულე ხედავდა, რომ ასეთი და სხვა მსგავსი ჰაკითხების წარმატებით გადაჭრა შეეძლო მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით შეიარაღებულ სპეციალისტებს, რომელთა მოსამზადებლადაც საჭირო იყო შესაბამისი სასწავლებლები. თუ პირველ წელს წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში 18 ახალგაზრდა იქნა ჩარიცხული, მალე მისაღები კონტინგენტი გაიზარდა და სპეციალისტებმაც იმრავლა.

მე-19 საუკუნის 70—80-იანი წლებიდან წეროლობით წყაროებში უკვე ჩნდება მონაცემები საქართველოს ცალკეულ რაიონებში ხეხილის ჯიშობრივი შემადგენლობის, ბაღების ფართობის, მოსავლიანობის, საზღვარგარეთ გატანილი ხილის რაოდენობის და მეხილეობის ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის შესახებ.

აკადემიკოს ა. გილდენშტეტის გადმოცემით, მტრის მიერ ქართლ-კახეთის აოხრების მიუხედავად, აქ თითოეულ კომლს ბაღში გაშენებული ჰქონდა ვაზი და ხეხილი. ქართლ-კახეთის მოსახლეობა განსაკუთრებით მონდომებით უვლიდა ბაღ-ვენახებს. ბაღ-ვენახებს დაწული ან ძეძვის ღობეები ჰქონია შემოვლებული, ვენახებში ვაზის ვარდა მრავლად ყოფილა გაშენებული ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი, ლეღვი, ბროწეული, ნუში, ატამი, გარგარი, თხილი და სხვა ხილი, რომელიც კარგი თვისებებით გამოირჩეოდა²⁰.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი ვ. ზაგურსკი, რომელსაც ახალციხის მხარის შესწავლის მიზნით აქ უმოგზაუ-

¹⁸ საქართველოს მეხილეობა, ტ. I, მთ. რედაქტორი პროფ. ხომიჭურაშვილი, თბ., 1969, გვ. 138.

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 348.

²⁰ Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия г-на академика И. А. Гильденштедта через Россию и по Кавказским горам, в 1779, 1771, 1772 и 1773 годы. Изд. АН СПб, 1809 г., с. 153.

რია წერს: „ახალციხეში გავრცელებულია ვაშლის 35 და მსხლის უფრო მეტი, ჯიში“²¹.

ამავე მხარეში, ვ. გევესკის გადმოცემით, 1880 წლისათვის ხეხილი მასობრივად ყოფილა გავრცელებული. 183 სოფლიდან ბაღები ჰქონია 115-ს. ხეხილის ნარგავებს ფართობი (მიხსლოებით) 870 დესეტინამდეა ნაფარუდები. ოფიციალური მონაცემებით, ახალციხის მხარეში წელიწადში 20.000 ფუთ ვაშლს მოიწვედნენ; ვ. გევესკი მიუთითებს, რომ ფაქტიურად მოსავალი უფრო მეტიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილის დადგენა ძნელდება, რადგან გადასახადის შეწერის შიშით მოსახლეობა სწორ ცნობებს არ აძლევდა²². მისივე გადმოცემით, ამ მხარეში ქლიავის 9 ჯიშზე მეტი ყოფილა გავრცელებული.

გორის მაზრაში მეხილეობის შესახებ ცნობებს იძლევა ნ. სპლენგევა კრებულში „მეხილეობა კავკასიაში“; როგორც კრებულის მონაცემებიდან ჩანს, მეხილეობა გორის მაზრაში, სხვა მაზრებთან შედარებით უფრო მეტად ყოფილა განვითარებული. 1895 წ. ხეხილის საერთო ფართობი აქ დაახლოებით 700 დესეტინას უდრიდა, რომელთაგან 200 დესეტინა ერთიან ნარგაობად, ხოლო 500 დესეტინა ვენახში ყოფილა შერეული²³.

მრავალწლიანი ნარგაობიდან ფართობის მიხედვით ვაზის შემდეგ მეორე ადგილზე ყოფილა ვაშლი, ხოლო მესამეზე — მსხალი. თითოეული ძირი ვაშლის საშუალო მოსავლიანობა 5—8 ფუთს აღწევდა, ხოლო წლიური მოსავალი საშუალოდ — 70 000 ფუთს, აქედან 4—5 ფუთი გაჰქონდათ გასაყიდად, დანარჩენს კი შინ მოსახმარად იყენებდნენ²⁴. ამასთან ნ. სპლენგევა მიუთითებს გორის მაზრაში ხეხილის განსაკუთრებით ვაშლის და მსხლის ჯიშთა სიმრავლეზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში (ახალციხე, გორი) ხეხილი გაშენებული ყოფილა როგორც სხვა კულტურებთან შერეულად, ისე ცალკე, ერთიანი ნარგაობის სახით.

ვ. გევესკი და ამიერკავკასიის სახაზინო ბაღების გამგე გ. შარერი, შრომაში „ამიერკავკასიის მეხილეობის მოკლე ნარკვევი“ აღნიშნავენ: „დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო), აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, მეხილეობა ნაკლებად არის განვითარებული, რადგან აქ მეტი სინოტივეა და ხეხილს ავადყოფობა აზიანებს. აქ ვაშლი და მსხალი ერთიან ნარგავებად არ გვხვდება, არამედ ასაშინდე ადგილებში, ვაზებსა და სხვაგან გაფანტულად“²⁵. ე. ნაკაშიძეს შრომაში—„ამიერკავკასიის მეხილეობის კრებულში“, მოცემული აქვს მასალები იმერეთის მეხილეობის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ იმერეთში გავრცელებული ყოფილა კურკოვანები, კენკროვანები, ვაშლი და მსხალი; ვაშლის საშუალო მოსავლიანობა ძირზე 3—5 ფუთს უდრის. ე. ნაკაშიძე მიუთითებს, რომ ხეხილი ძლიერ დაუზიანებია სოკოვან დაავადებას, რაც გამოიწვია ზედმეტმა სინოტივებმა²⁶.

²¹ Поездка в Ахалцихский уезд. Записки Кавк. отдел. императорского географического общества, 1873, с. 55.

²² Сборник Кавказского общества сельского хозяйства, ч. II, Тифлис, 1879, с. 39.

²³ Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, ч. I, Тифлис, 1895, с. 78.

²⁴ Там же, с. 28.

²⁵ Геевский В., Шарер Г., Краткий очерк садоводства Закавказья, Труды Кавказского общества сельского хозяйства, т. 8, 9, Тифлис, 1885, с. 544.

²⁶ Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, ч. I, Тифлис, 1895, с. 18.

დასახელებული „ნარკვევის“ ავტორები ასეთივე ცნობებს გვაწვდიან ბათუმის და ართვინის ოლქების შესახებ, 1883 წელს ბათუმის ოლქში ყოფილა 18000 ძირზე მეტი ვაშლი, 17000 ძირი მსხალი, 1200 ძირი ქლიავი, 1860 ძირი კომში, 660 ძირი ბალი. მათივე ცნობით, ართვინში, ბათუმის ოლქთან შედარებით, მეხილეობა უფრო მეტად ყოფილა განვითარებული. ართვინიდან 1882 წელს გასაყიდად გაუტანიათ 8425 ფუთი ვაშლი და მსხალი. 193 ფუთი ატამი და ჭერამი, 300 ფუთი ქლიავი, 607 ფუთი კომში და 1002 ფუთი ბალი და ალუბალი. 1878 წლის ნოემბრიდან 1880 წლის იანვრამდე ბათუმის, ართვინის და აჭარის ოლქებიდან ბათუმის ნავსადგურით გაუტანიათ 44054 ფუთი ვაშლი²⁷. ხეხილი ყოფილა სოხუმის ოლქშიც, რასაც ადასტურებს „ნარკვევი“ წარმოდგენილი ცხრილი.

ცხრილი 1

სოხუმის ოლქიდან სხვადასხვა ნავსადგურებში გატანილი ხილი (ფუთობით)²⁸

პროდუქციის დასახელება	1875 წ.	1876 წ.	1880 წ.	1882 წ.
ვაშლი	6762	3010	182	2387
მსხალი	—	—	390	502
ატამი	2000	804	150	1180

რაგორც ცხრილიდან ჩანს, სოხუმის ოლქიდან გასაყიდად 1875 წელს, სხვა წლებთან შედარებით, გაცილებით მეტი ვაშლი და ატამი გაუტანიათ, მაგრამ შემდგომ წლებში ხილის გატანა შემცირებულა. ჩანს ისიც, რომ სასაქონლო პროდუქციაში დიდი ხვედრი წონითაა წარმოდგენილი ვაშლი, შემდეგ ატამი და უმნიშვნელო რაოდენობით მსხალი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მრეწველობისა და საერთოდ საქალაქო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების, რკინიგზის მშენებლობის, ტვირთბიდვისა და მიმოსვლის გაადვილების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მანქანა-იარაღების უფრო ფართოდ გამოყენებისა და სხვა მოვლენების კვალობაზე სამრეწველო მეხილეობის განვითარებას კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი ეძლევა. შენდება ხეხილის ახალი საცდელი სადგურები და სანერგეები, იზრდება ბაღების ფართობები, ხილის მოსავლიანობა და მოსავალი, მატულობს მეხილეობის პროდუქციის ხვედრითი წილი, სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში და სოფლის მოსახლეობის ფულად შემოსავლებში.

ყველა ამ პროცესმა, რომლებიც რუსეთის რიგ გუბერნიებშიც ხორციელდებოდა, განაპირობა ის, რომ საზღვარგარეთიდან რუსეთის ბაზრებზე ხილის შემოტანამ კლება დაიწყო. ვ. ი. ლენინი, იშველიებდა რა ვ. პაშკევიჩის მონაცემებს, წერდა, რომ „1893/94 წ. მეხილეობის მდგომარეობის გამოკვლევამ ცხადყო მისი როგორც სამრეწველო დარგის მნიშვნელოვანი განვითარება ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მებაღეებზე და ბაღის მუშებზე მოთხოვნის ზრდა და სხვ. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ ამ აზრს: ხა-

²⁷ Геевский В. и Шарер Г. Краткий очерк садоводства Закавказья. Тр. Кавказского общества сельского хозяйства, т. 8, 9. Тифлис, 1885, с. 576.

²⁸ Там же, с. 566.

4. „მცნე“, ეკონომიკისა და საბაზრობის სერია, 1981, № 4

ლის გადაზიდვა რუსეთის რკინიგზებზე მატულობს, საზღვარგარეთიდან ხილის შემოტანა რაც რეფორმის შემდეგ პირველი ათი წლის განმავლობაში იზრდებოდა ახლა კლებულობს²⁹. თუ 60-იან წლებში საშუალო-წლიურად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ დაახლოებით ერთი მილიონი ფუთი ხილი, 1878—1880 წლებში შემოიტანეს 3,8 მილიონი ფუთი, ე. ი. თითქმის ოთხჯერ მეტი. სამაგიეროდ, 1886—1890 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 2,6 მილიონ ფუთამდე, ხოლო 1889—1893 წლებში—2 მილიონ ფუთამდე³⁰.

იმავე პერიოდში, უჩვეულო ტემპებით გაიზარდა ხილის გატანა საქართველოდან. თანახმად ხუთწლეულების მიხედვით დაჯამებული მონაცემებისა, რაც უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკური პროცესების დინამიკას და ტენდენციებს სოფლის მეურნეობაში, საქართველოს რკინიგზების სადგურებიდან რუსეთში და საზღვარგარეთ გატანილი ხილის რაოდენობამ 1890—1894 წლებში შეადგინა 897 ათასი ფუთი. 1900—1904 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1180 ათასფუთამდე, ე. ი. 31,5 პროცენტით ხოლო 1909—1913 წლებში—3953 ათასფუთამდე, ანუ 4,4-ჯერ და მეტად. 1909—1913 წლებში გატანილი ხილის საერთო რაოდენობიდან 2014,7 ათასა ფუთი ანუ 51% მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოზე, 1516,6 ათასი ფუთი ანუ 38,4%—დასავლეთ საქართველოზე და 422 ათასი ფუთი ანუ 10,6%—აჭარაზე³¹.

აღმოსავლეთ საქართველოში მეხილეობის ძირითად კერას წარმოადგენდა ქართლი, პირველ რიგში კი, ახალციხისა და გორის მაზრები. 1900 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოს ბაღების მთელი ფართობის 44,2% მოდიოდა ახალციხის მაზრაზე, 28,4% — გორის, 14,1% — ახალქალაქის, 9,5% — თბილისის, 1,3% — თელავის, 1,1% ბორჩალოს, 1% — თიანეთის და მხოლოდ 0,4% — სიღნაღის მაზრაზე³².

ეს იყო პერიოდი, როცა მემამულეთა, ვაჭართა და სხვა მსხვილ მესაკუთრეთა ბაღებში უკვე ინტენსიურად იწერებოდა ხეხილის საუკეთესო უცხოური, უპირატესად ევროპული ჯიშები, მისი მოვლა-მოყვანის პროგრესული მეთოდები და, საერთოდ მტკიცედ იკიდებდა ფეხს ევროპული მეხილეობა. ევროპული წესით გაშენებული ბაღებიდან გორის მაზრაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ი. ფურცელაძის, კ. გაუსმანის, ა. ერისთავისა და ალიბეგოვის, ახალქალაქის მაზრაში — თარხნიშვილის³³, თელავის მაზრაში—ზატყავაშვილის, დანდუროვის, ლენიძის, ჯანდიერის, ჭავჭავაძის, ვერმიშვილისა³⁴ და სხვათა ბაღები.

1910 წელს ჟურნალ „მოსავლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნარკვევებში „ჩვენი სოფლის მოღვაწენი“ ე. იოსელიანი ი. ფურცელაძის ბაღის შესახებ წერდა: „პატარა ლიახვის ხეობაში ფურცელაძის ხეხილის ბაღი ყველას გაუგონია, იგი მართლაც შესანიშნავია. ოცდაათზე მეტი დღიური საუკეთესო ვაშ-

²⁹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 348, 349.

³⁰ იქვე, გვ. 349.

³¹ საქართველოს სსრ ორსია, ფ. 243, ანაწ. 7, საქ. 828, ფურც. 12.

³² Сборник статистических сведений по Закавказскому краю, ч. I, Тифлис, 1902, стр. 220.

³³ С п е ш н е в, Очерк плодоводства Горьского уезда, Сборник сведений по плодоводству в Закавказском крае, вып. II, 1895, с. 35.

³⁴ Б. Баграмов, Современное состояние плодоводства в Картли и пути его развития, «Кавказское хозяйство», 1917, № 13—16.

ლით, მსხლით და ატმით არის სავსე... ისაია ფურცელაძის ბაღმა თვალი გაახილეს ლინა სოფელს, საღერღელი აუშალა ფულის შოვნისა და ესლა ეს ბაღი საშენი თუმანზე მეტ შემოსავალს იძლევა წელიწადში³⁵.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბაღების მშენებლობა და მეხილეობაში სიახლეთა დანერგვა ძირითადად ხელმისაწვდომი იყო გაბატონებული ფენებისა და, საერთოდ, სოფლის შეძლებულთათვის. გლეხურ მეურნეობათა უდიდეს უმრავლესობას კი, მიწის სიმცირისა და ხეხილის ნაძვენის (ნერგის) სიძვირის გამო, ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა და სახელმწიფოს მხრივაც ფაქტიურად არავითარი დახმარება არ ეძლეოდა. მეფის ხელისუფლების „ზრუნვა“ ამ დარგის განვითარებისა და კერძოდ მეხილეთა კრედიტით უზრუნველყოფის საქმეში იმით გამოიხატა, რომ მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარი სამართაველოს მიერ 1905-დან 1914 წლამდე ანუ მთელი ათი წლის განმავლობაში, ბაღების გასაშენებლად კრედიტის სახით გაცემული იქნა 390 მანეთი³⁶. რაც შეეხება აგროდახმარებას და სხვა რჩევა-დარიგებებს, რაც მეხილეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა ინტენსიურად განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ძალზე მცირე ყურადღება ექცეოდა. ამაზე, მეფის ჩინოვნიკები ნაკლებად ზრუნავდნენ, ხოლო „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას“ საჭირო სახსრებისა და სპეციალისტების ნაკლებობის გამო ამ მიმართულებით რაიმე ქმედითი ღონისძიების განხორციელება არ შეეძლო. მებაღეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით 1895 წელს თბილისში დაარსდა „რუსეთის მებაღეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, მაგრამ მასაც რაიმე მნიშვნელოვანი და რეალური არაფერი გაუკეთებია, გარდა კეთილი სურვილებისა და დადგენილებებისა, ამიტომ იყო, რომ „ყოველმხრივ ისმოდა ჩივილი სოფლის მეურნეობის დაცემაზე, მრეწველობის ამა თუ იმ დარგის შემოუსავლიანობაზე, საქმის რაციონალურად წარმართვისათვის საფუძვლიანად მომზადებულ პირთა ნაკლებობაზე, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით ქვეყნის ჩამორჩენილობაზე და სხვ.“³⁷

მიუხედავად ყოველივე ამისა, ხეხილით დაკავებული მიწის ფართობი მემამულეთა, ვაჭართა, კულაკთა და სხვა შეძლებულთა მეურნეობების გვერდით გლეხურ მეურნეობებშიც ასე თუ ისე იზრდებოდა და მეხილეობის პროდუქტიც თანდათანობით მატულობდა. 1913 წლის მონაცემებით ხეხილის ბაღების საერთო ფართობმა საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა 30,8 ათასი ჰექტარი, ხოლო, 1917 წლისათვის 32,1 ათას ჰექტარს მიაღწია³⁸.

იმავე 1913 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში მემცენარეობის პროდუქციის ხვედრითი წილი უდრიდა 44,9%, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციისა 55,1 პროცენტს³⁹. რაც შეეხება მემცენარეობის პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურას, ამის შესახებ 1909—1913 წლების მონაცემების მიხედვით წარმოდგენას იძლევა მე-2 ცხრილი. როგორც ვხედავთ, მემცენარეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში მეხი-

³⁵ ყურნ. „მოსავალი“, 1910, № 6.

³⁶ Кавказское сельское хозяйство, 1916, № 7—8, с. 9—10.

³⁷ Кавказское сельское хозяйство, 1900, № 326—327, с. 210.

³⁸ Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сборник, часть I, Тб., 1967, с. 217.

³⁹ Там же, с. 20.



ლოებზე წილად 5.6% მოდიოდა და ამ დარგს მარცვლეული მეურნეობის, მესხეთის, ბოსტნეობის, მევენახეობისა და ტექნიკური კულტურების შემდეგ პირველი (ანუ რიგით მეხუთე) ადგილი ეკავა. თუმცა ადგილის ამგვარად განსაზღვრა არ იქნებოდა გამართლებული. ვინაიდან მემცენარეობის დარგობრივი სტრუქტურის დადგენისას მარცვლეულ და პარკოსან კულტურებს, ბოსტნეულს და ტექნიკურ კულტურებს ან შესაბამის პროდუქციას უნდა შეედაროს არა მეხილეობა ან მისი პროდუქცია ცალკე აღებული, არამედ მრავალწლიანი ნარგავები ან ამ დარგთა პროდუქცია ერთად აღებული. ამ გაგებით კი, როგორც ვხედავთ, მრავალწლიან ნარგავებზე, და კერძოდ, მევენახეობისა და მეხილეობის პროდუქციაზე მოდიოდა მემცენარეობის მთლიანი პროდუქციის 25,1% ანუ ერთ მეთხედზე მეტი. სამრეწველო მეხილეობის განვითარება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ასეთი დანიშნულების ბაღების ფართობის ზრდას და ხილის სასაქონლო პროდუქციის მატებას, მისი რეალიზაციის გადღეობას. აღსანიშნავია, რომ ხილის რეალიზაციის საქმეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინახანებშიც ძირითადად ისევე „ზაყლები“ განაგებდნენ. მათი შუამავლობით საღებოდა სასაქონლო ხილის 80—90%. სარგებლობდნენ რა მეხილე გლეხთა შვიმე ეკონომიკური პირობებით (უღრობა, უსახსრობა, სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობა და სხვ.) ისინი ხილს ადგილზევე ყიდულობდნენ (ხშირად ჩაღის ფასად) და უფრო მაღალ ფასებში ასაღებდნენ, როგორც თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების ბაზრებზე, ისე რუსეთის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ხილის ნაწილი კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საზღვარგარეთ ვადავდა.

ცხრილი 2

მემცენარეობის პროდუქციის დარგობრივი სტრუქტურა საქართველოში 1909—1913 წწ.

დარგები და პროდუქცია	ხვედრითი წილი მემცენარეობის მთლიან პროდუქციაში (%)
1. მარცვლეული და პარკოსანი კულტურები	45,0
2. ტექნიკური კულტურები	18,0
3. კარტოფილი და საკვები ძირხვენიები	1,3
4. თივა	4,7
5. მემღლეობა	2,9
6. მებოსტნეობა	28,0
7. მევენახეობა	19,5
8. მებაღეობა (მეხილეობა)	5,6
ს უ ლ 100	

900-იანი წლებიდან გახშირდა ცდები ჩარჩ-ვაჭართა და მეცაზმეთა ძალმომრეობისაგან მეხილეთა დაცვის, ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავების, ხილის რეალიზაციისათვის ნორმალური პირობების შექმნისა და საერთოდ მეხილეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით კოოპერაციულ ამხანაგობათა დასაარსებლად. მათგან ერთ-ერთი პირველი იყო ძმების—ღისამიძეებისა და ხეხილის ბაღის მქონე რამდენიმე სხვა მეურნის თაოსნობით სოფ.

40 მონაცემები ამოღებულია პ. გუგუშვილის ნაშრომიდან „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, თბ., 1941, გვ. 138.

საქაშეთში დაარსებული მეხილეთა ამხანაგობა, მაგრამ საჭირო სახსრების უქონლობისა და სხვა ხელშემშლელ გარემოებათა გამო მისი მოქმედების არეალი თვით საქაშეთსა და ახლო მდებარე რამოდენიმე სოფელს არ გასცილებია და მოკლე ხანში დაიშალა. 1911 წელს ასეთივე ამხანაგობა დაუარსებიათ ოზურგეთის მაზრაში (გურია), რომლის მოქმედების არეალიც სამაზრო ცენტრიდან 12-დე კილომეტრის რადიუსით განისაზღვრებოდა, მაგრამ იგიც ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მალევე დაიშალა⁴¹.

იმავე ხანებში, ქ. გორში მოწვეულმა მეხილეთა კრებამ აირჩია სპეციალური ბიურო 10 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შესაბამისი ამხანაგობის შექმნისათვის პირობების შესწავლა-შემზადება და, ბოლოს, მისი ორგანიზაცია. ბიუროს თაოსნობით მართლაც 1912—1913 წლებში დაარსდა მეხილეთა კოოპერაციული ამხანაგობა „ქართლი“. მართალია ამ ამხანაგობამ ძრავალი წელი იარსება, მაგრამ ვერც მან შეძლო თავისი მისიის წარმატებით შესრულება; ვერ უზრუნველყო კოოპერაციულ საწყისებზე მრავალრიცხოვან მეხილეთა საქმიანი შეკავშირება ხეხილის ნარგავთა გაშენების, მოვლა-მოყვანისა და ხილის რეალიზაციისათვის ხელშემწყობი, კეთილნაყოფიერი პირობებისა შექმნა. შედარებით უფრო ძლიერ ამხანაგობას წარმოადგენდა სოფ. თორტიზმის სამომხმარებლო კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა ამავე სოფლის, ხელთუბნის, კარაღეთის, დიდი გარეჯვარისა და პატარა გარეჯვარის მეხილეებს და მათ მიერ მოწვეული ხილის მთელ სასაქონლო პროდუქციას კოოპერატიული ქსელის მეშვეობით ასაღებდა. ამ კოოპერატივის თაოსნობის შედეგი იყო საზღვარგარეთიდან ტრაქტორის, სალენი მანქანისა და სხვა ტექნიკურ საშუალებათა შემოტანა, უწყლო ტირიფონაზე მექანიკური ძრავის წისქვილის აშენება, ხიდების აგება, გზების გაყვანა, მეხილეთა მინერალური სასუქებით, შხამქიშიკატებითა და მათი გამოყენებისათვის საჭირო აპარატებით მომარაგება და რიგ სხვა ღონისძიებთა განხორციელება, რაც ხელს უწყობს ამხანაგობის საშემდგომო არეალში მეხილეობის განვითარებას და მეხილეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას⁴². სამწუხაროდ ეს პროგრესული ძვრები ქართლის ნხოლოდ ერთ მიკრო რაიონზე ვრცელდებოდა და მათ არ შეეძლო „ამინდის შექმნა“ მთელს რეგიონში—საქართველოს მეხილეობაში, გარდა ზემოთ დასახელებული ხაკოვანებებისა და ხარვეზებისა, ხეხილის ბაღები უმრავლეს შემთხვევაში ჯერ ისევ უსისტემოდ, ძირებს შორის საჭირო მანძილის დაცვის გარეშე შენდებოდა, ხოლო მათი მოვლა-მოყვანის პროცესები ძირითადად ნარგავთა ძირების შემობარვით და მორწყვით ამოიწურებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წინა ხანებში ხილის გადამუშავებაც ჯერ ისევ ძველთაძველი, კუსტარული მეთოდებით ხორციელდებოდა. კუსტარული წესით ამზადებდნენ ბექმებს, ტყლაპს, მურაბას, ხილფაფას და სადილისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საკაზმებს. ასეთივე წესით ხდიდნენ ზეთს თხილისა და კაკლისაგან და ა. შ. ეს პროდუქტები ძირითადად შინამომხმარებლისათვის მზადდებოდა, ხოლო ბაზარზე მათი მცირე ნაწილი გადიოდა და მაშასადამე, მწარ-

⁴¹ ე. ნაკაშიძე, „სასოფლო ვაზეთი“, 1911, № 59.

⁴² საქართველოს მეხილეობა, I, პრობ. ნ. ხომეზურაშვილის რედაქციით, თბ., 1969, გვ. 151—152.

მოებელთათვის ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენდა.

საქართველოს მეხილეობის, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს და მთელ სახალხო მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა ჭერ პირველმა მსოფლიო ომმა, ხოლო შემდეგ მენშევიკურა მთავრობის ანტიხალხურმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ. შრომისუნარიან მამაკაცთა დიდი ნაწილის ომში გაწვევამ მკვეთრად შეამცირა მუშახელის რაოდენობა, ხოლო რკინიგზებით და საზღვაო ტრანსპორტით კომერციული ტვირთზიდვის შეზღუდვამ უკიდურესობამდე გააუარესა ხილის, სახალხო მოხმარების სხვა პროდუქტებისა და სამოქალაქო წარმოებისათვის განკუთვნილი ნედლეულის რეალიზაციის პირობები. ამასთან, შეწყდა უცხოეთიდან (ინგლისი, საფრანგეთი და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებისა და ინვენტარის, ბალ-ვენახებისა და სხვა მცენარეთა შესაწამლი აპარატურის, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა საშუალებათა შემოტანა, რამაც განსაკუთრებით მიმომე მდგომარეობა შეუქმნა მეზღვეობას და მევენახეობას. ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1914 წელს გამოცემული სპეციალური კანონით აიკრძალა ღვინითა და სხვა მაგარი სასმელებით ვაჭრობა და იმავე წელს დაწესდა აქციზი ღვინოზე, რაც ძლიერ მაღალი განაკვეთებით ხასიათდება⁴³.

ყველა ამ გარემოებამ და ომით გამოწვეულმა სხვა სიძნელეებმა შესუსტა მეზღვეობა, მევენახეთა და სხვა მწარმოებელთა მატერიალური დაინტერესება, შეაფერხა მათი სამეურნეო საქმიანობა და დასცა მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მენშევიკების ბატონობამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა და გააუარესა. მენშევიკური მთავრობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და არა თუ მათ მიერ მშრომელთა ექსპლოატაციის მოსასპობად, არამედ მის შესამსუბუქებლადაც კი ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია. მენშევიკებმა საქართველო რუსეთის ჩამოაცილეს და ფაქტიურად გაწყვიტეს მასთან ეკონომიკური ურთიერთობა. შეწყდა რუსეთიდან წარმოების საშუალებების, პურისა და სხვა სასურსათო პროდუქტების შემოტანა, რამაც ერთი ორად და ერთი სამად გააძვირა ეს პროდუქტები და გააწვევა შინაგანი, კლასობრივი წინააღმდეგობანი. ამასთან ერთად, მენშევიკური მთავრობის წყარუებით საქართველოში თავისუფლად დაიწყეს თარეში უცხოელმა (გერმანელმა, ინგლისელმა და სხვა ქვეყნების) ინტერვენტებმა, ოფიცრებმა, ჯარისკაცებმა და სხვა ჯურის მძარცველებმა, რომლებიც აწიოკებდნენ გლეხებს, იტაცებდნენ პროდუქტებს და პირუტყვს, თვითნებურად აწერდნენ და ახდევინებდნენ სოფლებს გადასახადებს და, ყოველივე ამით, კიდევ უფრო აძლიერებდნენ სოფლის მეურნეობის მოშლისა და გაჩანაგების პროცესს.

ალსანიშნავია, რომ მენშევიკური მთავრობის ასეთი ანტიხალხური პოლიტიკის გარდუვალ კრახს ბოლო ხანებში თვით მისი მესვეურებიც გრძობდნენ და აღიარებდნენ. „ამ რამდენიმე ხნის წინათ,—ვკითხულობთ 1920 წ. 13 ოქტომბერს თბილისში მოწვეული ეკონომიკური თათბირის მასალებში,— ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისაკენ მივისწრაფით.

⁴³ კ. ჩ ა რ კ ე ი ა ნ ი, „მედღენიება და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში“, თბ., 1960, გვ. 53.

შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული, ასე რომ სიტყვებს კიდევ შეეჩვივნენ, თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია. დღეს თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივიღივართ კატასტროფამდე, არამედ ჩვენ უკვე მივედით იქამდე⁴⁴.

უპურობითა და საერთოდ მწვავე სასურსათო კრიზისით განაწამები გლახობა, რომელსაც აღარ გააჩნდა ბალ-ვენახების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო სახსრები და საწვავლებები, მატერიალური ინტერესი და ხვალისდელი დღის იმედი, იძულებული გახდა დაეწყო ამ ძვირფასი ნარგავების აჩეხვა-ამოძირკვა და მათ ადგილზე პურისა და სიმინდის თესვა.

უყურადღებობისა და მოუვლელობისაგან ბალ-ვენახების გაპარტახების პროცესი მსხვილ მამულესაც მოედო. მაგალითად, 1922 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ასახავს მენშევიკთა ბატონობის ნაკვალევს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, გვაუწყებს, რომ მოუვლელობისა და დიდი ხნის დაუმუშავებლობის გამო უამრავი ვანხმარი ხე მდგარა მაწიმის სახელმწიფო მამულში, სადაც მეურნეობის ძირითად დარგს მეხილეობა წარმოადგენდა, ხოლო ზუგდიდის მახლობლად მდებარე ეგრისის მამულში 4 დესეტინა ხეხილის ბაღი გაუჩეხიათ და სახნავად გადაუტყვევათ. ასეთივე ბედი სწვევია 40 დესეტინა ვენახს სოფ. სალხინოში მდებარე ანტუანეტა მიურატის ყოფილ მამულში. გაპარტახებული ყოფილა სამეგრელოს ყოფილი მთავრის დადიანის ერთ დროს საუცხოოდ მოწყობილი და საქვეყნოდ განთქმული მანული სოფ. გორდში, სადაც ვაშლის, მსხლის, ბლისა და სხვა ძვირფასი ხეხილის ნარგავებს 430 დესეტინა ეკავა და ა. შ.⁴⁵

მეტ-ნაკლებად ასეთივე იყო მდგომარეობა ქართლის, კახეთის, ახალციხის, იმერეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ბალ-ვენახებში.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად ბაღების საერთო ფართობი საქართველოში, რომელიც 1917 წელს 32,1 ათას ჰექტარს უდრიდა, 1921 წლისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის 30,8 ათას ჰექტარამდე ანუ 1,3 ათასი ჰექტარით შემცირდა⁴⁶. იმავე პერიოდში შესამჩნევად დაეცა ხილის მოსავლიანობა და გაუარესდა მეხილეობის სხვა საწარმოო მაჩვენებლები.

ამრიგად, საბჭოთა საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო საკმაოდ გაპარტახებული და გაჩანაგებული მეხილეობა, რომლის შენარჩუნების, აღდგენა-განახლების, გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის ბრძოლა ახალი ხელისუფლების კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ პირველნაბრძნოვან სამეურნეო ამოცანად გადაიქცა.

⁴⁴ საქართველოს ისტორია, ტ. 11, პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 374.

⁴⁵ საქ. სსრ ორცხა, ფ. 288, ანაწ. 1, საქ. 290, ფურც. 55—57.

⁴⁶ Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сборник, часть I, Тб., 1967, с. 217.

დ. ჯ. ШЕНГЕЛИА

ПЛОДОВОДСТВО В ДОСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

В статье показаны особенности развития одной из старейших и основных отраслей сельского хозяйства плодородства до советизации Грузии.

На основе анализа архивных материалов и соответствующей научной литературы определяется место и роль плодородства в развитии народного хозяйства.

Наряду с другими древними странами Грузия издавна славилась разнообразными отраслями сельского хозяйства, здесь производство различных земледельческих культур в соответствующие исторические периоды находилось на высоком уровне развития.

Местное население, исходя из хозяйственных и почвенно-климатических особенностей края, в условиях малоземелья, характерного для Грузии, успешно сочетало плодородство с другими отраслями сельского хозяйства.

Плодородство существовало в Закавказье намного раньше прихода урартийцев.

В эпоху урарту происходит резкий рост площадей садов, о чем свидетельствуют обнаруженные при раскопках памятники материальной культуры I—II тысячелетий и письменные источники.

Вместе с другими народами Кавказа, грузины являются проводниками высокой культуры древнейшего земледелия и совершенно естественно, что здесь сохранилось много эндемических видов, в том числе более 200 сортов яблок и груш. Это подтверждает то обстоятельство, что на Черноморском побережье нашей страны плодородство находилось на высоком уровне развития, им широко занимались предки нынешних грузин и восточных славян.

Издавна различные плодовые культуры разводились не только для внутреннего потребления, но и с целью создания мест отдыха вокруг населенных пунктов, поселений, что в свою очередь способствовало развитию отрасли.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განზოგადებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

Т. М. АЛИЕВ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РАЗРАБОТКИ И ПРИМЕНЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ МОДЕЛЕЙ

В девятой пятилетке в нашей стране на всех уровнях планирования и управления широким фронтом развернулись работы по разработке автоматизированных систем учета, планирования и управления, основу которых составляют современные методы экономико-математического моделирования и системного анализа, новейшая электронно-вычислительная техника, оргтехника и средства связи с соответствующей технологией и организацией работ. В решениях XXV съезда КПСС проблемы совершенствования планирования и управления народным хозяйством и его отраслями нашли широкое и многогранное отражение, так, в частности, в отчетном докладе ЦК КПСС XXV съезду подчеркивалось: «...перед нами сейчас встала задача поднять уровень плановой работы, привести ее в соответствие с новыми масштабами и обликом нашего хозяйства, с новыми требованиями времени... Для решения этих задач много предстоит сделать плановым и хозяйственным органам. Здесь широкое поле для приложения усилий экономической науки, для внедрения научных методов, в том числе экономико-математических, для использования автоматизированных систем управления» [1, с. 59].

Одним из основных путей решения поставленных задач по совершенствованию планирования должна стать разрабатываемая в настоящее время автоматизированная система плановых расчетов (АСПР) Госплана СССР и союзных республик, министерств и ведомств, которая представляет собой систему разработки согласованных проектов планов на всех уровнях народно-хозяйственного планирования [2].

Составным элементом АСПР, ее основным звеном территориального планирования является АСПР союзной республики, которая в свою очередь является головным звеном республиканской автоматизированной системы управления (РАСУ) [3]. АСПР республиканского уровня предназначена для составления планов развития хозяйства, годоведомственного Совету Министров республики, комплексных планов развития народного хозяйства союзной республики, планов комплексного развития автономных республик, областей, административных районов, хозяйств крупных городов и контроля за их доведением и выполнением на отраслевом, ведомственном и территориальном уровнях.

льном уровне в условиях системного использования экономико-математических методов и моделей и вычислительной техники.

При создании АСПР на всех уровнях должны быть решены многие важнейшие проблемы, среди которых особого внимания заслуживают вопросы методического обеспечения, а именно вопросы совершенствования методики и технологии составления народнохозяйственных планов на основе постепенного комплексного использования в плановой практике экономико-математических моделей. В сочетании с прямыми плановыми расчетами и экспертными решениями это должно обеспечить более глубокий анализ экономических процессов, происходящих в народном хозяйстве и его отдельных звеньях, и на основе этого повысить научную обоснованность долгосрочного, среднесрочного и краткосрочного планов, рассмотреть альтернативные пути движения экономики, оценить их эффективность, обеспечить оперативность контроля за ходом выполнения, доведением и корректировкой плана.

Таким образом, в соответствии с общей концепцией проектирования АСПР в целом, важная роль в ней отводится вопросам объединения в единую систему экономико-математических моделей с целью образования комплекса алгоритмически, информационно, программно и технологически взаимосвязанных моделей, позволяющих системно решать планово-экономические задачи, получая при этом взаимосогласованные экономические показатели. Причем необходимо отметить, что «структура системы моделей определяется составом задач, решаемых в процессе планирования, является нерархически построенной ступенчатой «пирамидой», где каждому ее уровню соответствует своя совокупность моделей. Разделение на уровни должно производиться по структурно-функциональным признакам, по признаку продолжительности планового периода или на основе их сочетания. Каждой ступени соответствует комплекс моделей, связывающий определенную совокупность соответствующим образом агрегированных показателей одного уровня» [4, с. 25].

В настоящее время только в АСПР союзной республики разрабатывается более 30 функциональных подсистем, объединяющих головную подсистему «Сводный народнохозяйственный план», сводные ресурсо-балансовые и сводно-функциональные подсистемы и отраслевые подсистемы. Причем необходимо отметить, что в составе сводных и отраслевых подсистем выделяются функциональные блоки, а в составе последних — структурные функциональные элементы (подблоки, комплексы задач, задачи). В соответствии с приведенной иерархической структурой АСПР выделяют следующие системы (или комплексы) экономико-математических моделей:

- для решения планово-экономических задач сводного народнохозяйственного уровня союзной республики [5, с. 46];
- для решения планово-экономических задач в сводных подсистемах АСПР — ресурсо-балансовых и сводно-функциональных [5, с. 47];

— для решения планово-экономических задач отраслевого уровня, решаемых в отраслевых подсистемах АСПР [5, с. 47].

ზემოხსენებულის გამო, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის მეცნიერული შესწავლა. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა, საეკლესიო სამართლის ცნობილმა მკვლევარმა პროფესორმა ვლადიმერ ბენეშევიჩმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ბერძნული ნომოკანონის ძირითადი ქართული ხელნაწერების აღწერილობა. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა და საჭირო ცნობებს აწვდიდა ქართული ფილოლოგიის დიდი მოამბე აკად. კ. კეკელიძე.

„დიდი სჯულისკანონის“ გამოცემა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში განზრახული ჰქონია აკად. კ. კეკელიძეს. მაგრამ სამწუხაროდ ეს მას არ დასცალდა. სამაგიეროდ მის მიერ წამოწყებული საქმე ღირსეულად და სასახლოდ დაამთავრეს მისმა მოწაფეებმა.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია „დიდი სჯულისკანონის“ ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები. გამოკვლევაში „14 ტიტლოვანი ნომოკანონის ქართული თარგმანი“, დისერტანტი შემდეგ ძირითად ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს განიხილავს: ზოგადი ცნობები 14 ტიტლოვანი ნომოკანონის შესახებ, ქართული კანონიკური მწერლობა XI ს. ბოლომდე, „დიდი სჯულისკანონის“ თარგმნის დრო და მთარგმნელის ვინაობა, „დიდი სჯულისკანონის“ შედგენილობა, „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენელ ნაწილთა ფილოლოგიური ანალიზი, „შეისწავენი“, „სხოლონი“ და სხვადასხვა შენიშვნები, „დიდი სჯულისკანონი“ და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“.

გამოკვლევის ამ ძირითად ნაწილებს ერთვის „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემისათვის გამოყენებული რვა ხელნაწერის აღწერილობა.

გამოკვლევაში მთელი რიგი საკითხებისა პირველად და დასმული და გადაწყვეტილი, ხოლო რიგ საკითხებზე, რომლებიც ადრე სხვა მკვლევართა მიერ იყო განხილული, გამოთქმულია ახლებური თვალსაზრისი. ასეთი საკითხებია: ბერძნული ნომოკანონის ქართული თარგმანის დათარიღება, ძეგლის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების განხილვა, ქართული თარგმანის მნიშვნელობა ბერძნული დედნის რიგი ბუნდოვანი საკითხების გარკვევისათვის და სხვ.

ნაშრომის მეორე ნაწილში — „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა“, განხილულია რუის-ურბნისის კრების მოწვევის მიზეზები და მიზნები, რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღისათვის, კრების ორგანიზაციული მხარე, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის და თხზულების წყაროები, „ძეგლისწერის“ შედგენილობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

მკვლევარმა დაამტკიცა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც „ძეგლისწერა“ შეადგინა, მოწვეული იყო არა 1103 წელს, როგორც ეს დღემდე მიღებული იყო, არამედ 1105 წელს; ძეგლისწერის ტექსტის გულმოდგინე ანალიზის შედეგად გამოიკვლია, რომ მისი ძირითადი წყაროა

„დიდი სჯულისკანონი“, გამოთქვა ახალი მოსაზრება „ძეგლისწერის“ მუხლობრივი შედგენილობის შესახებ; მოგვცა „ძეგლისწერის“ მუხლობრივი კომენტარები მათი წარმოშობისა და ისტორიული საფუძვლის თვალსაზრისით; დაადგინა, რომ რუის-ურბნისის კრება ორგანიზებული იყო მსოფლიო კრებების მსგავსად, გაარკვია და დაადგინა „ძეგლისწერის“ სინოდიკონში მოხსენიებულ ზოგიერთ პირთა ვინაობა, რაც აქამდე უცნობი იყო: ახალი მასალებისა და ცნობების მოხმობით, აღადგინა და განამტკიცა ტრადიციული შეხედულება „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობის შესახებ.

ასეთია საკითხთა წრე, რომელიც განხილულია და გამოკვლეულია სარეცენზიო ნაშრომში. ამ საკითხების გაშუქებით მკვლევარმა ე. გაბიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XI—XII სს. ქართული კანონიკური მწერლობის ისტორიის შესწავლაში.

ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია ნაშრომის მიმართ გამოვთქვით შემდეგი შენიშვნები:

1. ნაშრომის მე-5 გვერდზე ვკითხულობთ: „ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ისტორიაში პირველი ცხრა საუკუნე ძირითადი კანონიკური კოდექსის წყაროთა ჩამოყალიბებისა და მათ საფუძველზე სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის კანონიკური კრებულების შედგენის პერიოდი იყო“. მართებულია ავტორის აზრი, რომ 883 წლის 14 ტიტლოვანი ნომოკანონის წინაპერიოდი წარმოადგენს ნომოკანონის კანონიკური კრებულის შედგენისა და ჩამოყალიბების პერიოდს. მაგრამ არასწორია მთელი ამ ცხრასაუკუნოვანი პერიოდის ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ისტორიისადმი მიკუთვნება. ბიზანტიური საეკლესიო ლიტერატურა ამ ხნისა და ასე ძველი მწერლობა არ არის. როგორც ცნობილია, „ბიზანტიური ლიტერატურა“ გულისხმობს ბერძნულენოვან ლიტერატურას, რომელიც ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში IV—VI საუკუნეებში და თავისი ისტორია დაასრულა XV ს-ში.

მკვლევარი ალბათ გულისხმობს საერთოდ ქრისტიანული ბერძნულენოვანი საეკლესიო მწერლობის ისტორიას, რომლის საწყისები „სახარებიდან“ მომდინარეობს. მაგრამ მეოთხე საუკუნემდელი ბერძნულენოვანი მწერლობა ბიზანტიურ ლიტერატურად არ ითვლება. ქრისტიანული მწერლობა და ბიზანტიური საეკლესიო მწერლობა ერთი და იგივე არ არის. ქრისტიანული მწერლობა უფრო ძველი მწერლობაა. იგი აღმოცენდა ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად, ხოლო ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ისტორია დაკავშირებულია ბიზანტიური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიასთან.

2. „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“ ერთადერთი განჩინებაა შუასაუკუნეების წერილობითი მემკვიდრეობიდან“ (გვ. 3). ეს დებულება ზუსტად არ არის გამოთქმული. შუა საუკუნეების ცნება საქართველოში 10 საუკუნეზე მეტ ხანას მოიცავს. როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს „ძეგლისწერის“ წინა პერიოდი. მართლაც, XII საუკუნემდე ჩვენ არ ვაგვაჩნია ორიგინალური ქართული საეკლესიო სჯულდება. დავით აღმაშენებელამდე საქართველოში ბევრი საეკლესიო კრება იყო მოწვეული და სავარაუდებელია, რომ საეკლესიო განჩინებები ძეგლისწერამდეც იქნებოდა შედგენილი, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის შემდგომ პერიოდს (XVI—XVIII სს), როგორც ცნობილია, ჩვენ მოგვეპოვება არაერთი ორიგინალური საეკლესიო სჯულდება.

3. ნაშრომის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს „ძეგლისწერის“ შედგენილობა. ძეგლისწერის წესებში ტექსტი გაბმულადაა ნაწერი, მუხლებად და პარაგრაფებად დაყოფილი არ არის. ძეგლი პარაგრაფებად (15 პარაგრაფი) პირველად თ. ჟორდანიამ დაყო.

აკად. კ. კეკელიძე ძეგლისწერას სამ ნაწილად ჰყოფს; შესავალი, კანონები და სინოდისკონი. აკად. ივ. ჯავახიშვილი კი ძეგლისწერაში ოთხ ნაწილს გამოყოფს: შესავალი, კანონები, შესხმა და სინოდისკონი. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი ძეგლის შესხმას — „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ — ცალკე ნაწილად მიიჩნევს, რაც, ცხადია, სწორი და მართებულია.

ძეგლისწერის ტექსტის შედარებით კრიტიკული გამოცემა, ორი უძველესი ნუსხის მიხედვით, პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ (ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970, № 6). ამ გამოცემის მიხედვით ძეგლისწერის ტექსტი ოთხი ნაწილისაგან შედგება. თითოეული ნაწილი გამოყოფილია ქვესათაურებით: შესავალი, კანონთა ტექსტი, „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ და მოსახსენებელი). ქვესათაურების ტექსტი დაყოფილია მუხლებად, შესაბამისად დასათაურებით, ხოლო მუხლები შინაარსის მიხედვით დაყოფილია აბზაცებად, რაც ხშირად მუხლის პუნქტებს ან ქვეპუნქტებს გულისხმობს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ძეგლისწერის შედგენილობის საკითხი მეტად რთული საკითხია. იგი თავისებური, განსაკუთრებული შედგენილობის ძეგლია. ეს თავისებურება პირველ რიგში ძეგლის მესამე ნაწილს, ე. ი. შესხმას — „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ — ეხება.

ძეგლის პირველი ნაწილი ანუ შესავლის შემდეგ, ვიდრე მეორე ნაწილი ანუ კანონთა ტექსტი დაიწყება, საეკლესიო კრება აქება-დიდებას ასხამს დავით აღმაშენებელს. ამ ხოტბაში თითქმის იგივე ეპითეტებია გამოყენებული, რომლებიც შემდეგ ძეგლის მესამე ნაწილში, შესხმაში მეორდება. ისმის საკითხი: მას შემდეგ, რაც საეკლესიო კრებამ ერთბაშად ქება შეასხა და მადლობა გადაუხადა სახელოვან მეფეს, რალა საჭირო იყო კვლავ შესხმის გამეორება და ისიც ერთი პირის სახელით.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ძეგლისწერის პირვანდელი სახე დამახინჯებული ჩანს და ჯერ კიდევ აღდგენას სჭირდება“. ძეგლის თავდაპირველი შედგენილობისა და სისტემის დადგენისათვის ამ საკითხის გარკვევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ძეგლის მესამე ნაწილის შესახებ შესაძლებელია ასეთი ვარაუდი გამოვთქვათ. ძეგლისწერის დედანში თავდაპირველად იყო მხოლოდ ერთი „შესხმა“ — საეკლესიო კრების სახელით შედგენილი ქება-დიდება დავით აღმაშენებლისა. ხოლო მეორე, მონაზონი არსენის მიერ შეთხზული ხოტბა, ძეგლის შედგენის ე. ი. 1105 წლის შემდეგ დაურთეს ძეგლს. არსენის შესხმა თითქოს ორგანულად არ არის დაკავშირებული ძეგლის დადგენილებით ნაწილთან, იგი იწყება იქ, სადაც მთავრდება „ძეგლისწერის“ უკანასკნელი მუხლი, რომელიც ხატთმებრძოლ ეობას ეხება. „შესხმა“ თითქოს

დამოუკიდებელი ნაწარმოებია, ჩართულია ძეგლის კანონებსა (მუხლებსა) და სინოდიკონს შორის და ძეგლიდან რომ ამოვიღოთ, ძეგლის ქსოვილი არც კი დაირღვევა.

შესაძლოა „შესხმა“ მონაზონმა არსენმა, როგორც დავით აღმაშენებლის სულიერმა მამამ და მოძღვარმა, თავისი კერძო თაოსნობით კრების დამთავრების ცოტახნის შემდეგ შეადგინა და სწორედ ამიტომ მხოლოდ თავის სახელით მიუძღვნა მეფეს. თუ ამ ვარაუდს დავუშვებთ, მაშინ, ცხადია, „შესხმა“ არ შეიძლებოდა საეკლესიო კრების მსჯელობის საგანი ყოფილიყო. ანდა შესაძლოა, საეკლესიო კრებამ საკმარისად ჩათვალა ის შესხმა, რომელიც ძეგლის შესავალსა და კანონთა დადგენილებებს შორისაა მოქცეული და ამიტომ არსენის მიერ შეთხზული ვრცელი ქება-დიდება, ვითარცა პიროვნული ხოტბა, კერძო ხასიათის აქტად ჩათვალა, მას კანონიკური ხასიათი არ მინიჭა და ამის გამო ძეგლის ბოლოს გადაიტანა.

ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ძეგლისწერის“ ყველა ხელნაწერში მხოლოდ ორი სათაურია: „ძეგლისწერაჲ წმიდისა კრებისაჲ“ და „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. ორივე სათაური დაწერილია სინგურით. ძეგლის არცერთი სხვა ნაწილი (შესავალი, კანონები და სინოდიკონი) სათაურებით გამოყოფილი არ არის. ეს შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ეს სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამით საკანონმდებლო კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ძეგლისწერა ორი სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს საეკლესიო კრების მიერ დადგენილ სჯულდებას, ხოლო მეორე — კერძო ნაწარმოებს, რომელსაც თითქოს ოფიციალური ხასიათი არა აქვს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებებში იმპერატორთა „შესხმა“ კრების სახელითაა დაწერილი. ამასთან, მათი სისტემატვ განსხვავებულია „ძეგლისწერის“ სტრუქტურისაგან. მსოფლიო კრების დადგენილებები, მაგ., VI კრებისა, იწყება შესავლით, შემდეგ მოდის იმპერატორის „შესხმა“, შემდეგ — კანონები, ხოლო ბოლოს კრების მონაწილეთა ხელრთვები. „ძეგლისწერაში“ კი დავით აღმაშენებლის „შესხმა“ კანონთა ბოლოშია მოქცეული.

რა თქმა უნდა, ყველა ვითარებაში „შესხმა“ შედგენილია დავით აღმაშენებლის ნებითა და თანხმობით.

4. „ძეგლისწერის“ შედგენილობის საკითხთან დაკავშირებულია კანონთა ტექსტის მუხლებად დაყოფა, გარკვევა იმისა თუ რამდენ მუხლს შეიცავს ძეგლი.

თუ რამდენად რთული და ძნელი საქმეა ძეგლისწერის მუხლებად დაყოფა, ეს ჩანს იმსქემიდან, რომელიც მოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს. ეყრდნობა რა ეფრემ მცირეს მიერ შემოღებულ განკვეთილობის ნიშნებსა და თითოეული დადგენილების (პარაგრაფის) გამომყოფელ სიტყვებს, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ მე-5 და მე-6 პარაგრაფები ორ მუხლად უნდა გაიყოს და ამრიგად, ძეგლი მთლიანად 17 პარაგრაფად უნდა დაიყოს. სამართლიანად შენიშნავს ე. ვაბიძაშვილი, რომ არც განკვეთილების ნიშნები და არც თითოეული კანონის საწყისი სიტყვები ტექსტის მუხლებად დაყოფის საფუძვლად არ გამოდგება.

ეხება რა „ძეგლისწერის“ ჩვენი გამოცემის მუხლობრივ შედგენილობას,

ავტორი წერს: „ძეგლისწერის მორიგ გამოცემაში, რომელიც აკად. ი. დოლიძეს ეკუთვნის, 16 კანონია გამოყოფილი და მსგავსი შინაარსის კანონთა ჯგუფები ქვესათაურებით არის წარმოდგენილი, დასახელებულ გამოცემაში პირველად არის ცალკე კანონად გამოყოფილი „ძეგლისწერის“ კანონთა ტექსტის უკანასკნელი პუნქტი ხატმებრძოლეობის შესახებ“.

ე. გაბიაშვილის აზრით, „ძეგლისწერის“ ძირითადი ნაწილის კანონებად დაყოფა მხოლოდ შინაარსობრივი ნიშნით არის შესაძლებელი. ამ პრინციპით ძეგლისწერაში 19 კანონი (მუხლი) გამოიყოფა. ამასთან, ძეგლისწერის მე-4 კანონი ორ მუხლად, ხოლო მე-6 კანონი სამ მუხლად უნდა გაიყოს. მასშადად, სულ 19 მუხლს მივიღებთ. მართლაც, „დიდი სჯულისკანონის“ 1975 წლის გამოცემაში, აგრეთვე „ძეგლისწერის“ 1978 წლის ცალკე გამოცემაში კანონები 19 მუხლადაა დაყოფილი.

რა თქმა უნდა, ამა თუ იმ საკანონმდებლო ძეგლის ცალკეულ მუხლებად დაყოფის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ტექსტის შინაარსობრივი ნიშანი და ტექსტი ამის მიხედვით უნდა გაიკვეთოს. მაგრამ ტექსტის ყოველგვარი გაკვეთა, ტექსტის ცალკე მუხლებად გამოყოფას არ საპირიბებს. როცა ძეგლის თითოეული მუხლის შემცველი ტექსტი შინაარსობრივად ერთსა და იმავე საკითხს ეხება, მაშინ ტექსტი მუხლის შიგნითვე აბზაცებით უნდა გამოიყოს, რაც პუნქტების ან ქვეპუნქტების მაჩვენებელია.

კანონთა თითოეული მუხლი შესაძლოა რამდენიმე ისეთი პუნქტის ან ქვეპუნქტისაგან შედგებოდეს, რომლებიც, შინაარსობრივადაც განსხვავდებოდნენ, მაგრამ მაინც ერთ მუხლს შეადგენდნენ.

სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ იურიდიული ნორმის (მუხლის) ორ ნაწილს — დისპოზიციას და სანქციას. დისპოზიციია ნორმის ის ნაწილია, რომელიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი, ხოლო სანქცია ნორმის იმ ნაწილს ეწოდება, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოყვება ნორმის შეუსრულებლობას დისპოზიციის აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში. დისპოზიცია და სანქცია ქმნის მუხლის მთლიანობას, ეს ნაწილები განუყოფელია, არ შეიძლება დისპოზიციის რომელიმე ნაწილის სანქციისაგან მოწყვეტა და მისი ცალკე მუხლად გამოყოფა. შეიძლება კანონთა ზოგიერთი მუხლი მხოლოდ დისპოზიციას შეიცავდეს და სანქციას არ ითვალისწინებდეს. ასეთი მუხლები „ძეგლისწერაშიც“ არის. მაგრამ როცა მუხლი დისპოზიციასაც შეიცავს და სანქციასაც, მაშინ მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა არ შეიძლება.

„ძეგლისწერის“ მე-2 მუხლი, რომელსაც გამომცემელი ორ მუხლად ყოფს, სამღველოთა უწყისო და უკანონო ხელთდასხმას ეხება. მუხლის პირველ აბზაცში კანონი განსაზღვრავს ხელთდასხმულთა ასაკს, ხოლო მეორე აბზაცში უწყისო და უკანონო ხელდასხმელთა და ხელდასხმულთათვის სსსკელია გათვალისწინებული: ისინი „ერთბამად უნდა განიკვეთნენ მღვდელთბისაგან“. ეს სანქცია მთელ მუხლს ეკუთვნის და არა მხოლოდ მეორე აბზაცს. ამიტომ, ამ ტექსტის ცალკე მესამე მუხლად გამოყოფა უსაფუძვლოა.

გამომცემელი წერს: თუკი მესამე მუხლის მეორე მუხლთან გაერთიანება შეიძლება, როგორც ეს სხვა გამოცემაშია, მაშინ ჩვენი გამოცემის მეოთხე

მუხლიც მასთან უნდა გაეერთიანებინათო. არა, ეს მცდარი მსჯელობაა. ამ ორი მუხლის გაერთიანება არ შეიძლება, რადგან ერთი ხელთ დასხმის წესს ადგენს, ხოლო მეორე ხელთ დასხმის აღსრულების წესს განსაზღვრავს. ეს ორი სხვადასხვა წესია და ამიტომ, მათი გაერთიანება არ შეიძლება.

ასევე უმართებულად არის დაყოფილი მე-6 მუხლი სამ მუხლად მე-7, 8 და 9-ე მუხლებად. გამომცემელი წერს „აქ სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საკითხთან გვაქვს საქმე და თითოეული მათგანი ცალკე კანონის ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი“ (გვ. 93). არა, ეს შეცდომაა. მეექვსე მუხლის სამივე ნაწილი ერთ საკითხს — გვირგვინთა კურთხევის წესს ეხება, ე. ი. მთლიანად მუხლი გვირგვინთა კურთხევას აწესრიგებს. ამიტომ, მუხლის ბოლოს სამივე ნაწილს ერთი სანქცია აქვს, წესის დამრღვევთათვის სასჯელად განწესებულია ხუცვის განკვეთა და ერისკაცის უზიარებლობა. ამ სანქციის მუხლის სხვა ნაწილებისაგან მოწყვეტა და მხოლოდ ერთი ნაწილისათვის მიკუთვნება გაუმართლებელია.

ამრიგად, „ძეგლისწერის“ გამომცემლები და აკად. კორნელი კეკელიძე არ ცდებოდნენ, როცა მე-6 მუხლის სამივე ნაწილს ერთ მთლიან მუხლად წარმოიდგენდნენ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო „ძეგლისწერის“ მუხლობრივი შედგენილობა 16 მუხლით უნდა განისაზღვროს.

5. მეტად მნიშვნელოვანია „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობის საკითხი, რაც მოითხოვს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

ა) მთლიანად ძეგლი (შესავალი, კანონები, შესხმა, სინოდიკონი) კოლექტიური შემოქმედების (საეკლესიო კრების), თუ ინდივიდუალური (ერთი ავტორის) შემოქმედების ნაყოფია?

ბ) თუ ძეგლი ორივე შემოქმედების ნაყოფია, მაშინ ძეგლის რომელი ნაწილი ეკუთვნის საეკლესიო კრებას და რომელი — ერთ ავტორს?

გ) თუ ძეგლს ერთი ავტორი ჰყავს, მაშინ რა წვლილი აქვთ შეტანილი ძეგლის შედგენაში სინოდიკონში ქება-დიდებათ მოხსენიებულ ცნობილ მოღვაწეებს?

დ) ვინ არის ძეგლისწერის ავტორი: არსენ იყალთოელი, „მონაზონი არსენი კალიპოსელი“ თუ „არსენ ბერი“?

ე) რას ნიშნავს ძეგლის ავტორობა? მთელი ტექსტის დამოუკიდებლად შედგენას, თუ ტექსტის აზრობრივ ფრაზეოლოგიურ ჩამოყალიბებას?

„ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობის საკითხს ქართულ ისტორიო-გრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ანტონ პირველიდან მოყოლებული დღემდე 200 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ეს ისტორია მოკლედ განხილულია სარეცენზიო ნაშრომში. ჩვენ მხოლოდ ორი გამოჩენილი მეცნიერის აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებებს შევვებით.

ივ. ჯავახიშვილის აზრი ასეთია: „რუსი-ურბნისის კრების ოქმებისა და საზოგადოდ ძეგლისწერისა და მეფისადმი სამადლობელი ქებადიდებათ შედგენა, როგორც ჩანს, არსენი მონაზონსა ჰქონია მინდობილი. ის ყოფილა, როგორც ესლა იტყოდნენ. ამ კრების მდივან“ (ქართ. სამართ. ისტ. I, 1928, გვ. 42). ამრიგად, ივ. ჯავახიშვილს მონაზონი არსენი კრების მდივნად მიაჩნია და არა ძეგლის-

წერის ავტორად. ძეგლის შემქმნელად ის მხოლოდ საეკლესიო კრებას თვლის.

იმოწმებს რა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას იმის შესახებ, რომ მეფემ გამოჩენილ სამღვდლო და საერო პირებთან ერთად „მეცნიერნი შემოკრიბნა“. ივ. ჯავახიშვილი წერს „ერთერთი მათგანი უნდა იყოს არსენი მონაზონი კალიპოსელი“ (იქვე, გვ. 41). მამასადამე, ივ. ჯავახიშვილის აზრით, არსენ კალიპოსელი ძეგლისწერის ერთერთი და არა ერთადერთი შემდგენელია.

ამავე დროს, დიდი მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს რუის-ურბნისის კრების ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობაში იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესს გიორგის შეუსრულებია. ივ. ჯავახიშვილი წერს: „კრების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მისი ნაყოფიერებისა და წარმატებისათვის თქვის შესჯელობითა და საბუთიანობით საუკეთესოდ ხელი შეუწყვია საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესსა და დავით აღმაშენებლის გაბედული სახელმწიფოებრივი და კულტურული მიღვაწეობის თანამზრახველსა და დაუღალავ მონაწილეს. გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესის ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ვითარცა „თულად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა“, კრების ძეგლისწერაში მისი მრავალამიერობაც შეუტანია“ (იქვე, გვ. 42).

აკად. კ. კეკელიძის აზრით, ძეგლისწერა არსენ ბერს ეკუთვნის. „შესხმა“ გავრძელება ძეგლისწერისა და მისი ორგანული ნაწილია. ორივე ნაწილში დავით მეფე ერთგვარი ენაშუბობითა და ებითეტიბითა შემკობილი და დახასიათებული. სახელოვანი მეცნიერი ამ დებულების დაწვრილებით განხილვას და დასაბუთებას არ იძლევა.

ე. გაბიაშვილი საფუძვლიანად მსჯელობს, როცა აღნიშნავს, რომ საეკლესიო კრების მიერ სანქცირებული კანონმდებლობა არ შეიძლება ერთი პირის საქმიანობას მივაწეროთ. მისი აზრით, ძეგლისწერის შესვალი და დავით მეფისადმი მიძღვნილი „შესხმა“ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. რაც შეეხება ძეგლისწერის ძირითად ნაწილს (კანონთა ტექსტს), კრების მიერ მიღებული კანონების აზრობრივ-ფრაზეოლოგიური ფორმულირება შესავლისა და „შესხმის“ ავტორსაც ეკუთვნის.

ამრიგად, ე. გაბიაშვილი ძეგლისწერის შესვალსა და „შესხმის“ ავტორად არსენ იყალთოელს თვლის. რაც შეეხება ძეგლის ძირითად ნაწილს ანუ კანონებს, არსენს მათი აზრობრივ-ფრაზეოლოგიური ფორმულირება ეკუთვნისო. მაგრამ გამოკვლევის სხვა გვერდებზე არაერთგზის აქტიცებს, რომ მთელი ძეგლის ავტორად არსენი უნდა მივიჩნიოთ (გვ. 50, 53, 56, 61). 67-ე გვერდზე კი დაასკვნის: „ამრიგად ჩვენ მიერ მოტანილი ყველა არგუმენტის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ძეგლისწერის“ ავტორი არსენ იყალთოელია“.

ჩვენი აზრით, „ძეგლისწერის“ ძირითადი ნაწილის დადგენილებების თუნდაც აზრობრივ-ფრაზეოლოგიური ფორმულირების მთლიანად და მხოლოდ არსენ იყალთოელისათვის მიკუთვნება მართებული არ იქნება. შესაძლოა კანონთა თითოეული მუხლის შედგენა-ჩამოყალიბებაში მთავარი როლი არსენს ეკუთვნის, მაგრამ მასთან ერთად ამ საქმეში

აქტიურ მონაწილეობას იღებენ „კრების თვალი“ გიორგი მწიგნობართუხუცესი, კრების „თავი და წინამძღვარი“ იოანე კათალიკოსი და კრების მონაწილე სხვა გამოჩენილი სამღვდლო პირნი.

გიორგი მწიგნობართუხუცესის ეპითეტი „კრების თვალი“ არა მარტო იმ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რომ იგი სახელმწიფო მოღვაწე და დავით აღმაშენებლის მარჯვენა ხელი იყო, არამედ ამ შემთხვევაში იმ განსაკუთრებული როლის აღნიშვნითაც, რომელიც მან „ძეგლისწერის“ შედგენის საქმეში შეასრულა. „კრების თვალი“ აზრის, გონებისა და სჯულის მეცნიერებაში დიდი განსწავლულობის სიმბოლოა.

ჩვენი აზრით, ძეგლისწერის ავტორობის საკითხი თვით ამ კანონების სათურშია გადაწყვეტილი. ძეგლისწერის სათაური ნუსხებში ასე იწყება: „ძეგლისწერაა წმიდისა და ღმრთივ შეკრებულთა კრებისაჲ — ე. ი. შემდგენლებმა ძეგლს კრების სჯულდება უწოდეს, მის ავტორად და შემდგენლად მთლიანად საეკლესიო კრება აღიარეს, რითაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძეგლისწერა კოლექტიური შემოქმედების, კოლექტიური აზრისა და განსჯის ნაყოფია.

რაც შეეხება არსენ იყალთოელს, მას მთლიანად და უცილობლად ძეგლის მხოლოდ მესამე ნაწილი, ე. ი. შესხმა — „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ — ეკუთვნის. ასევე იგი შეიძლება „ძეგლისწერის“ შესავლის ავტორად მივიჩნიოთ. მაგრამ საქმის არის, რომ ძეგლისწერის შესავალი, რომელიც თეოლოგიურ დოგმატური ხასიათის თხზულებაა, სტილისტურად განსხვავდება ძეგლის ძირითადი ტექსტისაგან. ჩვენ ვფიქრობთ ეს სხვაობა სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ეს ნაწილები მარტო ერთი პირის მიერ არ არის დაწერილი.

სინოდისკონი არსენის ხელიდან უნდა იყოს გამოსული. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, არსენი საკანონმდებლო კრების ერთ-ერთ საჩინო და საპატიო სჯულის მოძღვრად გამოდის და საეკლესიო კრების სახელით მოქმედებს.

ხოლო, როცა ძეგლისწერის კანონთა ტექსტს, მის დადგენილებით ნაწილს ვიხილავთ, ჩვენი აზრით, ლაპარაკი ერთ რომელიმე ავტორზე უმართებულო იქნება, „ძეგლისწერის“ დადგენილებანი მთლიანად მთელი კრების კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია, ძეგლის ამ ნაწილს არ ჰყავს ერთპიროვნული ავტორი. ვიმეორებთ, რომ კანონთა ტექსტის ფორმულირებასა და ჩამოყალიბებაშიც არსენ იყალთოელს, ვითარცა სჯულის მეცნიერსა და კრების მდივანს, ერთ-ერთი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი როლი მიუძღვის.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ნაშრომის ზოგიერთი საკითხის მიმართ. ეს შენიშვნები ნაშრომის ძირითად დებულებებს ვერ არყვეს. მკვლევარმა მაღალხარისხოვანი ნაშრომი წარმოგვიდგინა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, საფუძვლად დაედება ქართული კანონიკური მწერლობის ისტორიის შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს.

ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა რესპუბლიკური კონფერენცია

საქართველოში დიდი ზემოთ აღინიშნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც 26—27 მარტს მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტები სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტები ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოებიდან.

შესავალ სიტყვაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. გუნიამ ილაპარაკა იმ დიდ ენთუზიზმზე, რომელიც გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილმა ზემოთ. სასიხარულო იყო ის, რომ ამ ჭეშმარიტად საერთო სახალხო ზემოთ მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რამაც საზეიმო ღონისძიებებს განსაკუთრებული ელფერი მისცა.

აკადემიკოსმა ა. გუნიამ ილაპარაკა იმ დიდ ამოცანებზე, რომელიც დასახა სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებმა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და მათ შორის ეკონომიკური მეცნიერების წინაშე. აღნიშნა, რომ ისეთი ღონისძიებები, როგორცაა ახალგაზრდა მეცნიერთა შემოქმედებითი შეხვედრები, აზრთა ურთიერთგაზიარება მათ დიდ სარგებლობას მოუტანს.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა 6 მოხსენება, რის შემდეგაც კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა. პოლიტიკური ეკონომიის (ხელმძღვანელი ე. მ. კ. გველესიანი), სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის (ხელმძღვანელი ე. მ. კ. ვ. ბურდული), მრეწველობის ეკონომიკის (ხელმძღვანელი ე. მ. კ. ნ. არევაძე), სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ეკონომიკის (ხელმძღვანელი ე. მ. კ. ა. ჯიბუტი) სექციებში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ.

პლენარულ სხდომაზე განხილული იყო პოლიტიკური ეკონომიისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტმა ე. მექვაბიშვილმა მოხსენებაში — „თავისუფალი დროის გეგმაზომიერი რეგულირებისა და პროგნოზირების რეგიონული ასპექტები“ ილაპარაკა თავისუფალი დროის სპეციფიკურობაზე, რომ იგი ნაკლებადაა რეგლამენტირებული საზოგადოების მხრივ, ვიდრე სამუშაო

დრო, განიხილა თავისუფალი დროის რეგულირების ცნება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისუფალი დროის პროგნოზირების საკითხებს. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რ. შენგელიამ ილაპარაკა შრომის საშუალებების ეკონომიკური ფორმების თავისებურებებზე სხვადასხვა ფორმაციაში, ძირითადი ფონდების ადგილსა და როლზე სოციალისტური კლავწარმოების სისტემაში. ე. მ. კ. ა. სისვაძის (ესი) მოხსენება ეხებოდა საქართველოს სსრ მრეწველობის საბრუნავი ფონდების სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხებს. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მრეწველობის საბრუნავი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ დიდ რეზერვს და, ამავე დროს, შეუსწავლელ მიმართულებას მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია წარმოადგენს. მოყვანილ იქნა აღნიშნული სტრუქტურის გაანგარიშების მეთოდი და მისი მიღწევის ეკონომიკური მექანიზმის შექმნის საკითხები. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. ელიზბარაშვილმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე „რეალური შემოსავალი, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებელი“, რომელშიც ავტორმა განიხილა რეალური შემოსავლის სტრუქტურა სტატისტიკისა და დინამიკაში, მოიხილა მონაცემები მოსახლეობის რეალურ შემოსავალში ფულადი შემოსავლისა და არასასაქონლო ხარჯების ზრდის ტემპსა და შემოსავლის იმ ნაწილს შორის თანაფარდობის შესახებ, რომელიც იხარჯება საქონლის შესაძენად. ავტორმა წამოაყენა მოსაზრებები ამ თანაფარდობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ც. ბენაშვილმა (ესი) თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხებზე. მან გამოთქვა აზრი, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმში უშუალოდ უნდა გამომდინარეობდეს ეფექტიანობის არსიდან და შემოიყვანა კრიტერიუმის ცნება ვაჭრობის დარგისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. მანვე შემოგვთავაზა და დაასაბუთა მაჩვენებელთა გარკვეული სისტემა ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. ე. მ. კ. ი. ლიტვინოვი (თსუ) თავის მოხსენებაში შეეხო ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებისათვის საწარმოო კოლექტივების მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს. როგორც მან აღნიშნა, ეკონომიკური სანქციების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ მათი ქმედითუნარიანობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, თანამედროვე პირობებში, არასაკმარისად მაღალია, ჩამოაყალიბა და დაასაბუთა რიგი პირობების, რომელიც მათი ქმედითუნარიანობის ამაღლებასეა ორიენტირებული. კერძოდ, მიუთითა, რომ სანქციის დადგენის დროს უფრო სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთო ნეგატიური შედეგები, რომელთაც სახელშეკრულებო დავალებების შეუსრულებლობა იწვევს. უნდა გაძლიერდეს გამოსაყენებელი სანქციების შესაბამისობა საწარმოო კოლექტივებისა და ცალკეული მომუშავეების ეკონომიკურ ინტერესებთან, გაფართოვდეს გამოსაყენებელი ეკონომიკური სანქციების დიაპაზონი საწარმოების მიერ სახელშეკრულებო დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ფართოდ განვითარდეს სოციალისტური შეგებრება დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებების მილიანად და დროულად შესრულებისათვის.

პოლიტიკური ეკონომიის სექციაზე განხილულ იქნა სოციალისტური სა-

ზოგადობის განვითარების თეორიული პრობლემები, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები (დ. ჯანგულაშვილი, ა. სიჭინავა, მ. ჯიბუტი), მომხსენებლებმა იმსჯელეს სოციალისტური შეჯიბრების არსზე, მისი განვითარების ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, მის ადგილზე და როლზე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მეურნეობრივ მექანიზმში. აღნიშნული იყო, რომ საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის ამაღლება და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან ამ მიზნის განხორციელებისათვის კეთდებოდა ყველაფერი, მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცნობილი ისტორიული გარემოებანი ზღუდადნენ ჩვენს შესაძლებლობებს ამ მიმართულებით. განვითარებული სოციალიზმის პირობებში შეიქმნა მტკიცე საფუძველი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამის განსახორციელებლად. მონაწილეებმა აგრეთვე განიხილეს სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სტრუქტურისა და ეკონომიკურ კანონთა სტრუქტურის დამოკიდებულების საკითხები. ანალოზის საფუძველზე მიღებულ იქნა დასკვნა, რომ საქონელწარმოებითი ურთიერთობების კანონებსა და საერთო ეკონომიკურ კანონებს შორის სოციალიზმის დროს არ არსებობს უშუალო შეხების წერტილები, მათი ურთიერთმედება გაშუალებულია გეგმაზომიერი ურთიერთობებით.

პოლიტიკური ეკონომიის სექციაზე განხილული იყო აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენის პრობლემა წარმოებითი ურთიერთობების ხასიათზე (რ. ხარბედია, ზ. რევიშვილი, ლ. ხურციძე). კერძოდ, მომხსენებლებმა განიხილეს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავებათა დაძლევის აქტუალური პრობლემები, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული მომენტები, მისი გავლენა შრომის პროცესზე. აღინიშნა უშუალო კავშირი მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასა და სოფლისმეურნეობრივი კადრების კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდას შორის და ამ უკანასკნელის გავლენა წარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის საკითხები განიხილეს ნ. სესაძემ, ნ. დავლაშვიტიძემ, ვ. მელიქიძემ, რომლებმაც აღნიშნეს ანარქიზმის ანტიკომუნისტური არსი, მუშათა კლასის ინტერესებთან მისი დაპირისპირებულობის, უმუშევრობის თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიების უმუშევრობის კენსურ თეორიასთან გენეტიკური კავშირის შესახებ.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სექციაზე ახალგაზრდა მეცნიერებმა გააშუქეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, რომლებიც წამოყენებულ იქნა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებზე, აგრეთვე სკკპ ცკ და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის ცნობილ დადგენილებაში.

მომხსენებლებმა ფ. თოფურაძემ, ვ. ბაჩილავამ, ა. კობახიძემ განიხილეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფის საკითხები. ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი თემების შერჩევა, შერჩეული თემატიკის შესრულების კონტროლი. მიმოიხილეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ახალი ორგანიზაციული ფორმის

თავისებურებანი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არსი და ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული ახალი ტექნიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფინანსო და ეკონომიკურ-ანალიტიკურ საკითხებს ეხებოდა ნ. კვატაშიძის, კ. გორბატკოვის, ლ. ქოქიაურის, მ. ნარსიას, ე. კუპრეიშვილის, ნ. ტრაშვილის, მ. გველესიანის, თ. სიბოშვილის მოხსენებები. მათ გააანალიზეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის სრულყოფის გზები, საბალანსო მოგების შემცირების ტენდენციის გამოწვევი მიზეზები, საწარმოებისა და ორგანიზაციების საინფორმაციო სამსახურების ორგანიზაციის სფეროში არსებული ნაკლოვანებები, დანახარჯების აღრიცხვის ნორმატიული მეთოდის დანერგვის ძირითადი წინამძღვრები ღვინის მრეწველობაში და სხვა საკითხები.

მრეწველობის ეკონომიკის სექციაში განხილულ იქნა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხები მრეწველობის ცალკეულ დარგებში (რ. აბესაძე, დ. პაპავა, ზ. ბასოშვილი, ვ. მუჯირიშვილი, ლ. ლომსაძე, ი. ჭილაძე), სექციაზე იმსჯელეს შრომისნაყოფიერებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებსა და მისი ამაღლების გზებზე საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში, მოცემულ იქნა ელექტროენერჯის დეფიციტის გადაჭრისათვის გარკვეული რეკომენდაციები, წინადადებები ნედლეულის ნარჩენების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში, განიხილეს მზა პროდუქციის ხარისხის საკითხი საქართველოს საკონსერვო მრეწველობაში.

სექციაზე იმსჯელეს აგრეთვე წარმოების პროპორციების სრულყოფის და ოპტიმიზაციის საკითხებზე (კ. ჩუგუაშვილი, ი. ნათელაური, მ. მუჩიაშვილი, გ. წერეთელი). მომხსენებლებმა განიხილეს საქართველოს სსრ მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საკითხები პროდუქციის წარმოებისა და განაწილების საანგარიშო დარგთაშორისო ბალანსის საფუძველზე, მოგვეცეს პროდუქციის შემოტანისა და გატანის მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდიკა და გააანალიზეს პროდუქციის შემოტანისა და გატანის დინამიკა საქართველოს სსრ-ში, წარმოადგინეს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების მეთოდები, დასვეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით წარმოებისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის ამოცანა, მოგვეცეს საწარმოო და გარემოს დაცვის ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობის ოპტიმალური ვარიანტის განმსაზღვრელი ორმიზიანი მოდელი და მისი ამოხსნის მეთოდი.

„სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების“ სექციაში განხილულ იქნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემები და თავისებურებანი სოფლის მეურნეობაში (ი. ფიფია, თ. ქოჩიაშვილი, კ. კილანავა). აღინიშნა, რომ სამუშაოების სეზონურობით გამოწვეული წარმოების საშუალებათა დიდი ნაწილის გამოუყენებლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნივერსალოზაციითა და უნიფიკაციით. დაასაბუთეს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების პრაქტიკულად გამართლებულ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მე-

ქანიზაციის რაიონული გაერთიანების ფორმირება აბაშის რაიონში. სექციებში განხილულ იქნა შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემა სოფლის მეურნეობაში (მ. ქებურია, რ. მოწყობილი, ე. ჩიქოვანი). მომხსენებლებმა განიხილეს სამუშაო ძალის გვეგმურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, შრომითი რესურსების კვალიფიკაციური სტრუქტურის საკითხები სოფლის მეურნეობაში, მოიყვანეს სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციური სტრუქტურის ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა.

სოფლის მეურნეობის სექციაში განხილული იყო აგრეთვე მეცხოველეობისა (თ. ბრელიძე, ზ. გავოშიძე, ა. ოქროცვარიძე, თ. კანდელაკი) და მევენახეობის (დ. ტატიშვილი) ეფექტიანობის ამაღლების საკითხები. განიხილეს სამეურნეობათაშორისო საწარმოთა ეკონომიკური კავშირუბრთიერთობის ძირითადი ბერკეტები, იმსჯელეს ღორის ხორცის წარმოების გადიდების რეზერვებზე საქართველოს სსრ-ში, კოლმეურნეობრივი მეფრინველეობის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე, მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის საკითხებზე საქართველოს სსრ მთლიან რაიონებში, საქართველოს მევენახეობის თავისებურებებზე, იმ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ დარგის არსებულ მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს.

გაერთიანებულ დასკვნით სხდომაზე სექციების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ჩატარებული მუშაობის შესახებ. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. გუნიამ, რომელმაც აღნიშნა სექციებში მუშაობის საქმიანი ხასიათი, რომ ახალგაზრდები სერიოზულად მიუდგნენ მოხსენებების სათანადო მეცნიერულ დონეზე მომზადებას. აკადემიკოსმა ა. გუნიამ გამოთქვა რწმენა, რომ ასეთი სახის შეხვედრების რეგულარულად ჩატარება მომავალშიც დიდად დაეხმარება ახალგაზრდა მეცნიერებს შემდგომი მუშაობის სწორად წარმართვაში.

მ. მუჩიაშვილი

ვალერიან ირაკლის ძე მელქაძე



ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ქართული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვალერიან ირაკლის ძე მელქაძე**.

ყველგან, სადაც პროფ. ვ. მელქაძეს უმოღვაწია, კეთილი კვალი დაუტოვებია, როგორც მეცნიერსა და პედაგოგს, მისი ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებით ფართოდ გამოვლინდა რესპუბლიკის ეკონომიკური კვლევის ერთ-ერთი სამეცნიერო ცენტრის — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობის დროს.

ვ. მელქაძემ გარკვეული წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების კანონზომიერებათა პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ნაშრომები მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის საგნის, მეთოდის და ამოცანების, ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების არსის, სოციალისტური მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე და სხვ. მისი კვლევის შედეგები ზორცს ისხამდა სამეურნეო პრაქტიკაში, ემსახურებოდა უშუალოდ ცხოვრების მიერ დაყენებული პრობლემების მეცნიერულად გადაწყვეტას.

პროფ. ვ. მელქაძის თანაავტორობით 1961 წ. ქართულ ენაზე გამოვიდა პოლიტიკური ეკონომიის ორიგინალური დამხმარე სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოსა და კაპიტალისტური კრიზისების თეორიის შესახებ ნარკვევისათვის ვ. მელქაძეს 1964 წ. მიენიჭა ი. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

მონოგრაფიას—„საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“, რომლის შექმნის ინიციატორი, ერთ-ერთი ავტორი და მთავარი სამეცნიერო რედაქტორი ვ. მელქაძე იყო, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ვ. მელქაძის მიერ ეროვნული შემოსავლის საკითხების კვლევა, რომლის შედეგებიც თავმო-

ყრილია მონოგრაფიაში — „საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის კვლავ-
 წარმოების კანონზომიერებანი“.

პროფ. ვ. მელქაძე სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად მუ-
 შაობდა ეკონომიკური სტრატეგიის საერთო თეორიული საფუძვლების და სა-
 ქართველოს სინამდვილეში მათი გამოყენების თავისებურებათა საკითხებზე,
 იკვლევდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მატერიალური
 წარმოების მთავარი დარგების შემდგომი აღმავლობის, საგეგმო დავალებების
 სრულყოფის აქტუალურ პრობლემებს. რეგიონალური ეკონომიკის პრობლემე-
 ბის გამოკვლევას ვ. მელქაძემ ნაშრომების სპეციალური ციკლი მიუძღვნა.

ვ. მელქაძე სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ნაყოფიერ სამეც-
 ნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
 და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მას, როგორც მეცნიერსა და
 პედაგოგს, დიდი წვლილი მიუძღვის მაღალი კვალიფიკაციის ეკონომისტთა და
 ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაში.

ვ. მელქაძე არჩეული იყო სკკპ XIX ყრილობის და საქართველოს კომპარ-
 ტიის რამდენიმე ყრილობის დელეგატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრა-
 ლური კომიტეტის წევრად, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სარევიზიო კო-
 მისიის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და თბილისის სა-
 ქალაქო საბჭოს სხვადასხვა მოწვევის დეპუტატად. იგი იყო საქართველოს კომ-
 პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის
 პრობლემების კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო
 კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული საზოგადოებ-
 რივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „ეკონომისტიისა“ და ჟურნალ „მაც-
 ნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის სარედაქციო კოლეგიების წევრი.

პროფ. ვ. ი. მელქაძის დამსახურება და მრავალმხრივი ნაყოფიერი საქ-
 მიანობა მთავრობის მრავალი ჯილდოთი იყო აღნიშნული.

ვალერიან მელქაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, თანამ-
 შრომლების, მოწაფეებისა და ყველასათვის, ვისაც მასთან ურთიერთობა
 ჰქონია.

უფრნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის
 1981 წლის შინაარსი, № 1—4

ამხანაგ ლონიდ ილის ძე ბრეენეს, № 4

ეკონომიკა

კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამა, № 1.

- ტ. ალიევი, ეკონომეტრიკული მოდელების დამუშავებისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხები, № 4.
- ა. ბრეგვაძე, დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 60 წლის მანძილზე, № 1.
- ვ. ბურღული, ღინამიკური დარგთაშორისი მოდელების გამოყენება მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, № 3.
- ვ. ბურღული, ნ. ზედელაშვილი, ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია ფინანსების მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემაში, № 4.
- თ. ბერიძე, რეგიონალური ეკონომიკის ეფექტიანობის კრიტერიუმის შესახებ, № 4.
- ა. ბრეგვაძე, ლ. მინდორაშვილი, საქართველოს სსრ ზოცისა და რძის მრეწველობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, № 4.
- მ. გალდავა, რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის სრულყოფის საკითხები, ელექტრონულ-გამომოვლელი მანქანების გამოყენებით, № 1.
- ლ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების თავისებურებანი (1921—1937 წწ), № 1.
- პ. გუგუშვილი, საქართველოს რევოლუციონერ-დემოკრატიული ეკონომიკური იდეები (1860—1880), № 3.
- ლ. დათუნაშვილი, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები აჭარის კოლმურნეობებში, № 2.
- გ. თოფურია, სოციალისტური დაგროვების არსის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები, № 1.
- ა. თეთრაული, საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების ტემპები და სტრუქტურა, № 2.
- მ. კეკელიძე, ს. ქურკვეიძე, ა. ართმელაძე, რეგიონული ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირების მეთოდოლოგიური საკითხები, № 2.
- თ. კანდელაკი, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხისათვის, № 2.
- შ. ლობჯანიძე, სამეურნეო ანგარიში, როგორც სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორია, № 1.
- შ. ნათენაძე, სამეურნეო მექანიზმი და დაგეგმვის სრულყოფის ახალი ეტაპი № 1.
- ნ. როკეტლიშვილი, საფინანსო კონტროლის მნიშვნელობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დაფინანსება-დაკრედიტებაში, № 1.
- ი. რუბინიშვილი, ე. მექვაბიშვილი, ვ. ბაჩილავა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმები და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, № 3.
- გ. სიბოშვილი, სამეურნეო ანგარიშისათვის შესაძლებლობათა გამოთანაბრება, № 2.
- თ. ქავთარაძე, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ზოგიერთი საკითხი ოჩამჩირის რაიონში, № 2.
- თ. ქურდაძე, ბრუნვის გადასახადის არსის საკითხისათვის, № 2.
- ჯ. შათირიშვილი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის პირველად აღრიცხვის სრულყოფის საკითხები, № 3.
- დ. შენგელია, მუხილეობა საბჭოთამდე სსრ საქართველოში, № 4.
- ო. ჩიკვაძე, საქართველოს სსრ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების საკითხისათვის, № 3.
- გ. წერეთელი, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ეკონომიკური საკითხები, № 2.
- გ. კინჭარაული, სამუშაო ძალის დასაქმების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, № 3.
- ა. ჯიბუტი, აგროლურ-სამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფის საკითხისათვის, № 3.

სამართალი

- ი. ბაჩიაშვილი, სოციალური პროცესები: მართვა და რეგულირება, № 4.
- ი. გომიაშვილი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის რეგიონული პრობლემები (აფხაზეთის ასსრ მავალითზე), № 2.
- ი. გომიაშვილი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ზოგიერთი თავისებურება, № 4.
- თ. ლილუაშვილი, სკვპ ეკონომიკური პოლიტიკა და სამართალი, № 1.
- გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე, იოანე ბატონიშვილის ერთი წინადადების თაობაზე, № 1.
- გ. ნადარეიშვილი, ძმის ადგილმამულის ფასდაკლებით ყიდვის უფლება ძველ ქართულ იურიდიულ პრაქტიკაში, № 4.
- გ. შალვაძე, რისკისადმი მიდრეკილების თავისებურებანი კანონმორჩილ და დამნაშავე მოზარდებთან, № 3.
- გ. ნიშნიანიძე, დამნაშავეობის ზოგიერთი თავისებურებანი საქართველოს კურორტებზე, № 3.
- ი. ტყეშელაშვილი, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა პიროვნების კრიმინოლოგიური დახასიათება, № 2.

რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

- ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა სკოლა-სემინარი, № 3.
- მ. გველსიანი ე. მექვაბიშვილი, მონოგრაფია პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, № 2.
- რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, № 3.
- დიდი სჯულის კანონი და რუსი ურბნისის ძველისწერა მეცნიერების მიღმა, № 4.

ახალი წიგნები

- დ. დიასმიძე, სკვპ XXVI ყრილობა საკოლმეურნეო საკუთრების საერთო სახალხოსთან დაახლოების გზების შესახებ.
- ა. ჯიბუტი, თ. ქოჩიაშვილი, აგროსამრეწველო სინთეზის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.
- ბ. დარისპანაშვილი, წმინდა შემოსავლის წარმოების, განაწილებისა და გადანაწილების რეგიონალური თავისებურებანი.
- ი. რუბინშტეინი, სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის ეფექტურობა. შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები.
- კაპიტალურ დაბანდებათა კვლავწარმოების ეკონომიკური ეფექტურობის რეგიონალური პრობლემები; ავტორთა ჯგუფი.
- ა. გუნია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში.

ხერხის უახლოეს ნომრებში დაიბეჭდება:

- ა. გუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკვპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ეკონომიკური არის შესახებ.
- ა. ბრეგვაძე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური კავშირები მოამე სოციალისტურ რესპუბლიკებთან.
- ე. მექვაბიშვილი, თავისუფალი ღროის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის.
- შ. მელაძე, თ. ბრელიძე, სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო კოოპერირება—სკვპ აგარულ პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება.
- მ. კალანდია, მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი.
- მ. ჯიბუტი, ღირებულების კანონი და საერთოკომუნისტური ეკონომიკური კანონები.
- ბ. კუნცია, მიხალსკა, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებანი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.
- ნ. ბაჩილავა, შობადობაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორები საბჭოთა საქართველოში.
- ბ. როჯავა, კანონიერების განმტკიცების საკითხისათვის.

626/13



ფასი 70 კპვ.

Индекс 76 196